



ახეული

ლიტერატურული ჟურნალი
№2, 2015



„წელს მზეები
ღაიბადნენ ადრე“



რომანო
მოიხსნე იქით





ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი - კეთილ საქმიან თანამდგომი


71-ე საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები, პედაგოგებთან – ხათუნა გვარამიძესა და მია ირემაშვილთან ერთად, ესტუმრნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს, სადაც მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საღამო – „მუზეუმების გაზაფხული“.

მოსწავლეები პირადად გაეცნენ თანამედროვე პოეტებს; გაგა გომართელს, მერაბ სადღობელაშვილს, ედუარდ უგულავას, გოგა ლომიძეს, რამაზ ბერაძეს, ნათელა გოხელაშვილს, გულნაზ გვალიას, თამარ შაიშმელაშვილს, ჯუბა ღებელს...

მოსწავლეებმა პოეტებთან ერთად კიდევ ერთხელ გაიხსენეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, მხატვრულად წაიკითხეს როგორც ტატოს ლექსები, ასევე – საკუთარი. გამართეს დისკუსია.

სასიხარულოა ისიც, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი პირველი გამოეხმაურა ჟურნალ „ანეულის“ ინიციატივას – სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეგროვების თაობაზე. მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ნანა ელიზბარაშვილმა გვაცნობა, რომ მუზეუმი 335 წიგნს აჩუქებს სკოლას.

დიდი მადლობა ქალბატონ ნანას და მუზეუმს ასეთი დიდი და საქირო თანადგომისათვის!



ანეკდა

№ 2. ივნისი. 2015 წელი

ლიტერატურული ფუნქციონირება

კლასიკა	
მელან ხანიძე ჰამლეტ გონაშვილი	3
პოეტის დამბუნება	
ლანი ჯაფარიძე „და ვლგავარ შენი გულის კუთხეში“	4
პოეტის ხომალტზე ჯაფარიძე მედია კახიძეს	4
პტტა	
ანანასიძე პანიძე სახლი	5
ნინო ჭინჭაძე აქ იყო მუსიკა	7
პოეტის	
ბორჯა ხანიძე	9
ბაბა მახვილიძე	12
მიმართვა ასალგაზრდებისადმი	
ლევან ბოთა ლამაზ მთებს იქით	15
მთგნებში	
თამარ შიქაძე ირაკლი ფარუჯიანი, რამაზ ჩხიკვაძე, თამაზ ჩხენკელი.....	19
ლინა ბახთაშვილი ხელოვნური გულით ვერ იცხოვრებდა.....	21
ერთი ლექსი ჯაბა ლეიანი	22
პოეტის	
იანა ქადაგიძე	23
ბაბა ბოთაძე	25
პტტა ლანა მანჯიანი მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო	28
ბოლო ჭილაძე გაფიქრება	30
ლამაზი დღე რომში	34
თამარ შიქაძე ინტერვიუ ნინო ქუთათელაძესთან	35
სოსო ჯაფარიძე მამა ილია ზაქარაძე – 95	37
პოეტის	
ლანი ბანიძე	38
ნიკა-მანია ბანიძე	40
თორნიკე ბობინაძე	42
მსაფრთხე თამარ შიქაძე „ტკივილი რაღაცის სანაცვლოდ გვერდება“	45
ერთი ლექსი ლინა ჭილაძე-სახელმწიფო	46
პოეტის გასწვრივ	
ნანი ბანიძე რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს	47
ბელო უბის წიგნაღიდან	
ჯაბაძე ჭილაძე რამ გამახსენა?!	50
ლინა ბოლოზანი-ხინია რაინდად დაბადებული	51
ლილი თაბორიძე კვლავ ქართლის ბედთან „მიმართებით“	51
„გნებანი გნებებს“	
ზინა ბახთაძე – გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი	53
ლიტერატურული კრიტიკა	
ბაქრაზ ბანიძე დავით შემოქმედელი – „ცოდვის ტირილი“	54
ივანე ჯაფარიძე მუღამ სიკეთის მთესველი	56
თარგმანი	
ნინოჯიანი პოეზია (იტალიურიდან თარგმან ნიკოლოზ შამუგია)	57
ნინოჯიანი პოეზია (სერბულიდან თარგმან ლეოპოლდ ზურაბიანი)	59
ბიკი პანიძე პოეზია (გერმანულად და რუსულად თარგმან ნინო მჭედლიშვილმა).....	61
ნინოჯიანი სოსო მანჯიანი	65
ლიტერატურული მუშაობა 26 საუკუნე საქართველოში	68
სოსო ჯაფარიძე გარდაიცვალა იოლანდა მარვეი	71
პოეტის თამარ შიქაძე	72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლელია ქიტოშვილი –
სახლთს უცხოშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ სმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შანიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

კომპიუტერული რედაქტორი

გორა სოზიაშვილი

გაზეთი: 1111 ბათონის ფინანსური რედაქცია

კანონის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტ-ფოსტა: aneuli@mail.ru

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი



ჰამლეტ გონაშვილი

მე საქართველოს თბილ მიწას ვლოკავ,
მაგრამ არ ვიშლი თქვენს შორის როკვას,
ჩემი ხმა იყო ხატივით სუფთა,
და ამიტომაც დავჭირდი უფალს.
არ მითესია შური და გესლი,
მე მხოლოდ კაცის სიყვარულს ვთესდი,
არ გაკვირდი, ვით ბუკნა ჭოტი,
ბულბულის ყელით უფალთან ვბჭობდი.
ანგელოზია ჩემი ხმა ფუძის,
მიწაზე ყოფნა მიტომაც უმძიმს
და, როცა ჭმუნვა გეწვევათ მძაფრი,
მე გადავაბამ გულს გულზე ძაფით.
ჩემი ხმა მშიერს მოუკლავს შიმშილს,
და ცივ ზამთარში გაათბობს შიშველს,
და ასე მუდამ კარიკარ ივლის,
ზვრებში, ჯეჯილში დაიწყებს ლივლივს.
შემოგიჯდებათ ერდოზე მერცხლად,
იმედად, ლოცვად გიტოვებთ ჩემს ხმას,
ნუ დამივიწყებთ „წინწყაროს“ პატრონს,
ნუ მიმატოვებთ საფლავში მარტოს.
ვიცი, ჩემი ხმა ათას წელს გაძლებს,
გიტოვებთ ჩემს ხმას ისე, ვით ანდერძს,
ჩემი ხმა იყო ხატივით სუფთა
და ამიტომაც დავჭირდი უფალს!

ღანი ჯაფარიძე

„და ვდგავარ
შენი გულის კუთხეში“...

კაცობრიობის მარადიული საწინააღმდეგო – „სადაურსა
სად წაიყვან“. მედია კახიძის ბედისწერაც ეს გამოდგა,
– გულით, გონებით, შემოქმედებით ქართულ მიწას შე-
სისხლხორცებული პოეტი, გერმანიაში ქალიშვილთან
დროებით ჩასული, ავადმყოფობის გამო უცხო მიწას
დიდხანს შერჩა. მანამდე კი ყოველწლიურად, გამოიხაფ-
ხულვებდა თუ არა, ყვარლის მახლობლად ახალსოფელში,
მამისეულ სახლს უბრუნდებოდა და გვიან შემოდგომამდე
იქ რჩებოდა. ივსებოდა მონატრებული ფერებით, ჰანგე-
ბით, სურნელით, ადამიანებით... რომ ეს ავლადიდება
გამოეზოგა მომავალ ზაფხულამდე. შემდეგ უბრუნდებოდა
საყვარელ ადამიანებს გერმანიაში, რადგან მათ გარეშე
ყოფნა არ შეეძლო. კი, წერდა ერთ ლექსში, – უხანოა
გულის წვერზე მინასკული სისხლისმიერის მონატრე-
ბაო. გერმანიაში ყოფნისას მომავალ ზაფხულზე ფიქრი
და საქართველოში კვლავ დაბრუნების იმედი ასულდგ-
მულვებდა, მაგრამ როდესაც ბოლო 6 წელი საშინლად
გაიწელა, ერთ სწეულვებს მეორე დაემატა, გოდებასავით
ამოთქვა, – „შენ მწამდი მთელი ჩემი სიცოცხლე, რას
ვიფიქრებდი, თუ ვერ განხავდი!“

პოეტმა ადრევე იწინასწარმეტყველა ერთ ლექსში,
– „ვიცი, ისევ მარტოობა შემეგულვებს, გადავჭკნები,
როგორც ველი გაცელილი, თუ ყოველდღე არ გავშალე
ხელისგულზე მზის სხივები დოლის პურის მარცვლე-
ბივით“.

და ვეღარ გაუძლო ერთდროულად ავადმყოფობას და
სამშობლოს მონატრებას. ამ ნატვრაში მიეზარა უფალს.

გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებული მისი
ფერფლი კი 20 მაისს საბურთალოს პანთეონის მიწამ
მიიბარა, საყვარელი მეუღლისა და შვილის გვერდით
ჰპოვა განსასვენები.

90-იანი წლების შემდეგ მოსული თაობები,
სამწინააღმდეგო, არ იცნობენ მედია კახიძის შემოქმედებას.
არადა მის მშვენიერ ლექსზე „ჩემი მიწის სადღერძელო“
რუსუდან სებისკვერადის მიერ შექმნილ არაჩვეულებრივ
სიმღერას აგერ უკვე 50 წელია ისმენს „გარსკვლაკების
ჩიხტიკობით დახურული, საქართველოს მადლიანი ზეცა“
და სრულიად საქართველო. ამ ლექსის გარდა რამდენი
ხელისხელსაგომანები სტრიქონი და პოეტური ხატია
დავანებული მის წიგნებში! არის და ელის პროფესიონალ
შემფასებელს.

მედია კახიძეს სათანადო პატივი ვერ მიაგო ქვეყ-
ნამ! მე არ ვიცი, რა კრიტერიუმით ანიჭებენ შემოქ-
მედებს რუსთაველის თუ სახელმწიფო პრემიებს. ნუთუ
აუცილებელია ავტორის აქტიურობა, მიდგომ-მოდგომა?

მერე რა, რომ პოეტი ბოლო 6 წელი საქართველოში
არ იყო. აქ ხომ გვქონდა მისივე ხარჯით გამოცემული
ლექსების ორი სრული კრებული და „ინტელექტის“
მიერ დასტამბული „100 ლექსი.“ სად იყვნენ ისინი,
ვისაც ევალეობდა ამ წიგნების შეფასება და პოეტის
80 წლის იუბილის აღნიშვნა?

მედია კახიძესთან მეტ-ნაკლებად ვალში ვართ
ყველა და მეჩვენება, რომ პოეტი, „ვისაც სიყვარულით
უარყოფილს, სხვისი სიყვარული შეუძლია“, ყოველ
ჩვენგანს მოგვემართავს, – „ალარც ღიმილი და ნუგეში,
ღუმს ჩემი პატარა ბაღი და ვდგავარ შენი გულის
კუთხეში, როგორც დატუქსული ბაღი“.

ხომან ზახაჩიძე

მედია კახიძეს

მფრთხალი სიზმარი შორს,
იმედის კოშკში, გახიზნე,
ცხოვრების ეს გზა მართლა განა მართო ბედია?
უსინანულოდ ვერ იქნები, ქალო, კახიძევ,
სიყვარულისთვის განწირულ ხარ, ჩემო მედია!
ო, ამ ქაოსში გული ნეტა როგორ გაგიძლებს,
გული კი არა, ეგ ტკივილი რაღაც მეტია;
ერთი შეკრთომაც არ გეპატიოს, ქალო კახიძევ,
მოუსყიდველო ანგელოზო, ჩემო მედია!

პოეტი კვლავაც დარჩენილა შურის სამიზნედ,
ტადარში განა სუყველანი სანთლით შედიან,
შენც მზის ტილოზე იხატები, ქალო კახიძევ,
შენს ლამაზ სევდას ვენაცვალე, ჩემო მედია!..

გზად მწვერვალისკენ მეგზურობას
ვერვინ გაგიწევს,
სადღაც კი ვიღაც შენი ფიქრის მოიხედია.
გაზაფხულიდან გაზაფხულში, ქალო, კახიძევ,
ნიაღვარით მოვარდნა ხარ, ჩემო მედია!..

აქანსანდიჰ ჰაიხიძე

სახლი*



ძველმა სახლმა ნგრევა გადაწყვიტა. დასანგრევის იმას არაფერი ეტყობოდა, მართლობა იგრძნო და, დროა ჩამოვინგრეო, ასე იფიქრა. მარჯვენა კედელზე პაწაწინა, წლების წინ გაჩენილი ბზარი გაიფართოვა და ასე დაიწყო ყველაფერი.

აღვა და წვიმას ქართან ამბავი დააბარა, – თვითონ უმძრახად გახლდათ ქართან – ჩრდილოეთიდან მინდა კედლის მონგრევაო. წვიმას ეწყინა, ჩემით მოგითავებ ხელს, ქარის დახმარება რად მინდაო. სახლს სიცილი აუტყდა, ფანჯრები აუცახცახდა, შენ მე ვერაფერს დამაკლებ, კედლები თუ არ დამისველე, და მაგიტომ გვჭირდება ქარო.

დიდხანს იქროლა ქარმა ღია ფანჯრებში, დიდხანს ასველა წვიმამ კედლები და ის პაწაწინა ბზარი დიდ ნაპრაღად იქცა.

სადირკველი რომ გათხარეს, სახლმა ჯერ არ იცოდა, სახლი თუ იქნებოდა. მხიარულად მუშაობდნენ ვიდაცები და აგურს აგურზე დებდნენ. კარგი კერა გექნებაო, კარგი სახლიო, ვიდაცამ უთხრა მაღალ კაცს და სახლმაც მაშინ იგრძნო სახლობა.

სხვენი რომ დაადგეს და თვალებიც გაუჩნდა, ხის უხარმაზარი სარკმელები, სახლმა მიდამოს გახედა და ის იმდენი სიმწვანე ემინაურა. მთის ფერდზე იდგა და მდინარეს გადაჰყურებდა.

მაღალმა კაცმა კარებიც რომ დაჰკიდა, სუფრა გაშალეს და ის ქალიც მაშინ გამოჩნდა სახლში. აუჰ, იმის გაჩერება არ იყო! ასე ამბობდა ყველა და ყველაზე მეტად სახლმა იცოდა ეს ამბავი. დილაადრიან დააწკრიალებდა კიბეს, კედლებს, ფანჯრებს, ოთახებს და სახლიც სუნთქავდა, უდიდოდა დიასახლისს. ქალი რომ კიბეზე აღიოდა, სახლი გაიტრუნებოდა ხოლმე. ემანდ სუნთქვა არ ამიჩქარდეს და ფეხი არ დაუსხლტესო.

იმ დიდმა ნაპრაღმა მარცხენა კედელი ცერად გააპო, სხვენის პირველი კოჭი იპოვა და დაბრიცა, თავისკენ ჩაითრია. სახურავში ღრიჭო ვიპოვეო და წვიმამ ახლა იქიდან დაუშვა.

გატრუნული იდგა სახლი.

მაღალ კაცსა და ცქრიალა ქალს ბიჭი რომ შეეძინათ, იმ დღეს სახლი გემოზე გამოთვრა. ჯერ იყო და გვერდით მიშენებულ მარანში ღვარეს მერიქიფეხებმა ღვინო, მერე კიბე მოასველეს და ბოლოს ხის იატაკი გაჟღინთეს დალოცვილი სითხით. მარნის სისველე რომ იგრძნო, გააჟრჟოლა სახლს,

ეუცხოვა ასეთი ნესტი, წვიმას ეს არ ჰგავდა და თოვლს. მერე, კიბეზეც იგივე რომ განმეორდა, სასიამოვნოდ აწკიპა ყველაზე დიდი ფანჯრის დარაბა და, როდესაც ხის იატაკიდან განსხვავებულებს დაეწაფა, დათვრა კიდეც. ბედად ქარი იყო იმ დღეს და სახლის ჭრიალი ქარს მიაწერეს სტუმრებმა; არადა დაბანცალებდა და შიგადაშიგ, მუსიკას აყოლილი, ცეკვავდა კიდეც.

სუნთქავდა სახლი.

ახლა შიდა კედლებს მიადგნენ ქარი და წვიმა და გულმოდგინედ დაუწყეს ლოკვა. ერთი ეგ იყო, დიდ ბუხარს ვერ უხერხებდნენ ვერაფერს. აკი ეთქვა კიდეც ოსტატს, ეს ბუხარი ყველას მოგინელებთ, ასწლიანიაო. სახურავი მარცხენა მხარეს ჩამოიწია და უგემოვნოდ დაფარებული ქუდივით დაეღო სახლს. ამასობაში დაზამთრდა და მისმა უდიდებულესობა თოვლმა გააგრძელა ქარისა და წვიმის საქმე. დააწვა, მაგრამ რა დააწვა! ერთბაშად ჩაულუნა ყველა კოჭი. ადრე კი, მაღალი კაცის დროს, ზამთარში თოვლს ხვეტდნენ. მერე, როდესაც პირველმა მზემ პირველი მერცხალი მოიყვანა, სახურავი სულ ჩანგრეული იყო.

პირველ შვილს მერე მიაყოლეს, მერეს – მესამე და მესამეს კიდეც – ტყუპები. სახლი ხარბად სუნთქავდა. სტუმარს იმ სახლში რა გამოლევედა! ფუძის ანგელოზს ულოცავდნენ და იდგა გაბღენძილი, ამაყი და კეთილი.

ერთხელ ბავშვი დაუგორდა კიბიდან. იმ დამით იწვიმა და კიბე დასველდა. სახლმა ქარს აშრობა სთხოვა, ნაბოლარები ადრე დგებიან და ფეხი არ დაუსხლტეთო. ქარმა წაუყრუა, სხვა მხარეს უბერა იმ დღეს. დილას ბავშვი კიბეზე დაგორდა. ქალმა იკივლა და მაღალმა კაცმა მაშინ პირველად აწყენინა სახლს, ასე თქვა, დაგექცა ამშენებელიო.

სახლს ძალიან შეეშინდა. იმათ რა იცოდნენ და ესოდენ ნალოცი ფუძის ანგელოზი გაწყრა.

ახლა ქვევიდან შეუტიეს სახლს. ბალახს გამ-

* მოთხრობამ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში სპეციალური პრიზი მოიპოვა

თიბავი არავინ ჰყავდა და მიადგა კედლებს შამბნარი. სურო და მაცვლის ბუჩქი პატარა ღრიჭოს ნახვადნენ თუ არა, დიდ ნახვრეტად აქცევდნენ. სახლი ჩუმად იდგა, აღსასრულს ელოდა. მარცხენა კედელი სულ ჩამოეშალა და ერთ დროს უზარმაზარი აივანიც მთვრალი კაცივით მიწვა ტყემლების ძირში. ბალახმა მეორე სართულამდე ააღწია.

ძალიან უჭირდა სახლს სუნთქვა.

მაღალმა კაცმა ხველება დაიწყო. მთელი ღამე ესმოდა სახლს, როგორ ახველებდა და აფურთხებდა ავადმყოფი. ვინ არ მოიყვანეს და სად არ წაიყვანეს. ჩემს ჭერქვეშ მინდა სიკვდილიო, ცოლს რომ უთხრა, სახლმა ხის სხვენში დარჩენილი ბოლო წვენი გამოუშვა და ასე დაიტირა მაღალი კაცი.

გაასვენეს და უფროსი შვილიც მამინ წავიდა ქალაქში, წავიდა და დარჩა. უფროს ძმას ტყუპებმა მიბაძეს, ოღონდ იმათ დედაქალაქი ეახლოვათ, დედას უთხრეს, ბედს ვეწვეითო, ჩაალაგეს ერთნაირი ჩემოდნები და საზღვრებს იქით წავიდნენ. მერე წერილი მოიწერეს, აზიაში ვართო. ეგ იყო და ეგ. სახლმა იმათი არაფერი იცოდა.

მეორედ რომ დაზამთრდა, თოვლმა მარჯვენა კედელი და ფასადი დატოვა, დანარჩენს ხელი მოუთავა. სახლი ჩუმად იდგა. ერთხელ ჰკითხა ქარმა დამცინავად, ჰა, როგორ ხარო. სახლს გულში გაეცინა. დიდი დარაბები გაახსენდა. მიუხურავდნენ იმ დარაბებს და გამწარებული ქარი მთელი ღამე ამაოდ ცდილობდა ხოლმე სახლში შეღწევას.

გოგო რომ გაათხოვა, მარტო დარჩენილმა ცქრიალა დიასახლისმა, ბოლოს მამინ გაიშალა დიდი სუფრა სახლში და ბოლოს მამინ გამოთვრა სახლი. ძველი, კარგი დრო გაიხსენა და დილაძე დაბანცალებდა, არადა ქარი საერთოდ არ იყო იმ დღეს, წვიმდა.

სახლში დედა და შუათანა გოგო დარჩნენ.

წვიმას, ქარს, თოვლსა და ბალახებს რა უჭირდა, მაგრამ ამ ჭია-ღუებმა სახლი ტირილამდე მიიყვანეს. არც ერთი ფიცარი არ დაუტოვეს გამოუხრავი. დასახლდნენ და სულ დაუკბინეს მთელი სხეული. თვალები უშნოდ დაეღრცა, ისეთი სანახავი იყო, ქარსაც კი შეეცოდებოდა, გული რომ ჰქონოდა.

დიასახლისი მოხუცდა. ძროხები გაყიდეს და ის ფიცრები, ერთ დროს მაღალ კაცს ბოსლის ასაშენებლად რომ გამოეყენებინა, ზამთარში ბუხარში შეუკეთეს. ცქრიალა ქალისგან აჩრდილიდა დარჩა. სახლი, ძველი, ერთგული მეგობარი, ცივ ნიავეს არ

აკარებდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა სტიქიას. ერთ დღეს ჩაწვა ქმრის ლოგინში ქალი და ორი თვე არ წამომდგარა იქიდან. ღამეები უთიეს შვილმა და სახლმა. მერე ქალმა თქვა, მოვდივარო, და კარებისკენ გაიხედა.

სიძემ დამარხა ცქრიალა დიასახლისი. სწრაფად გაასწორა ანგარიშები და თავის სოფელში წავიდა, თავის სახლში.

მართალი ყოფილა ის ოსტატი და დალოცვილი ხელი ჰქონია. ბუხარს ვერაფერი დააკლო ვერც წვიმამ და ქარმა, ვერც თოვლმა და ვერც ბალახმა. სახლისგან ნასახლარილა დარჩენილიყო.

კიდევ ერთი წელი გაატარა გოგომ იმ სახლში. ღამე მარტო დარჩენის ემინოდა. ჭრიალებდა სახლი, გამოველაპარაკებო, ფიქრობდა და უარესს კი აკეთებდა – შეაშინა და დააფრთხო. მეტი აღარ შემძლიაო, გაიფიქრა გოგომ. კიდევ ცოტა ხანი დაიცადა, მიწები გაყიდა და ისიც სადღაც გადაიკარგა. გამვლელები ამბობდნენ, ტყუპებთან წავიდა აზიაშიო.

დარჩა სახლი მარტო.

ქვიან ნაპირს ვუზივართ მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი. მდინარე დუნედ მიედინება. ღვინოს ვსვამთ და ბავშვობას ვიხსენებთ.

– გიუნა, შენ გეცოდინება, ის რა ჩანს ზევით?

გიომ ფერდობს ახედა, რაღაცას კარგად დააკვირდა, მერე შუბლი მოიქექა.

– ნასახლარია, ბუხარია დარჩენილი. ერთხელ ვიყავით ასულები, უზარმაზარი ბუხარია, ხარი შეეტევა, იმხელა.

– მაგხელა ბუხარი თუა, სახლიც დიდი იქნებოდა. ვისი ნასახლარია?

– კი, სახლიც დიდი იქნებოდა. მაღალაძეების ნასახლარია.

– აქეთ არიან მაღალაძეები?

– არა. სახლი მაღალ კაცს აუშენებია. უსაშველოდ მაღალი იყო, ბაბუა მიყვებოდა. ხოდა, სოფელმა მაღალაძეების ნასახლარი დაარქვა.

ღვინო ჩამოვასხი. გიუნამ ხელები მოიფშვინტა, არ დაიზარა, ფეხზე წამოდგა, მეც მომწოდა ჭიქა და მერე ასე თქვა:

– აქაურობას გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს!

იმ ფერდობზე ახლაც დგას უზარმაზარი ბუხარი, ხარი რომ შეეტევა იმხელა. კერა შეინარჩუნა სახლმა, ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

აქ იყო მუსიკა*



როცა პირველად შევაძინე, ორივენი 10 წლისანი ვიყავით, მაგრამ ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ ის ჩემზე ბევრად დიდი იყო. მარტო მე კი არა, კაცებიც კი გაცივებით და პატივისცემით ეკიდებოდნენ ბავშვს, რომელსაც სრული სერიოზულობით შეეძლო ემსჯელა სხვადასხვა ცხოვრებისეულ თუ საზოგადოებრივ საკითხზე.

მულამ ასეთი მაგონდება – მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, თმაგაჩეჩილი, რამდენიმე ზომით დიდი ქურთუკით, რომლის ზურგზეც განუყრელად ეკიდა თითქმის თავისი სიმაღლის გიტარა. დილაობით, როცა სკოლაში მივდიოდი, სადაც მთავარი გამზირი უნდა გამეკლო, ალექსი მეგობრებთან ერთად ყოველთვის ჩემი სახლის მოსახვევში, კედელთან იჯდა, ძირს ორიოდვე წიგნი ელო, ფეხებთან – გაცვეთილი კეპი და უკრავდა. ისე გატაცებით უკრავდა, რომ ირგვლივ ვერავის ამჩნევდა. მაშინ უჩვეულო სანახაობა იყო ქუჩის მუსიკოსი და მით უფრო, ასე პატარა ასაკის, მაგრამ ალექსის უბანში ყველა იცნობდა. ახსოვდათ მისი მშობლებიც, რომლებიც წლების წინ ავტოავარიაში დაიღუპნენ და იცნობდნენ მის დებოშიორ, ლოთ ბიძასაც, რომელთანაც ბიჭი მშობლების სიკვდილის შემდეგ იზრდებოდა და რომლის მორიგი დათრობისას მოწყობილი „კონცერტების“ შემდეგ, დედები შვილებს ალექსისთან თამაშს უკრძალავდნენ.

და მაინც, მაშინ ყველა უბანში იყო თითო ეგრეთ წოდებული – კოლორიტი, უბნის სახე. ის შეიძლება ბოდა ყოფილიყო ქურთი მზესუმზირის გამყიდველი, რომელიც თაობებს ახსოვდათ, ან – გიჟი, ანდაც უბრალოდ განსხვავებული ადამიანი, რომელიც იმ უბნის აუცილებელ „ატრიბუტად“ ითვლებოდა.

ჩვენს უბანს ალექსი ჰყავდა.

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ერთმანეთი შემოდგომის ერთ გრილ დღეს „გავიცანით“. ზუსტად არ მახსოვს წელი, უკვე უფროსკლასელი ვიყავი. დილაადრიან, ნახევრად მძინარე, სკოლისკენ მიმავალი ტრამვაის გაჩერებაზე გაჩერდი. რამდენიმე წუთის ლოდინის შემდეგ მექანიკურად მივაღე თავი ელექტრობოს და თვალის მივლო. საოცრად ყვითელი, გაქუცული, დაძველებული და ძილის-მომგვრელი ჩანდა ირგვლივ ყველაფერი... ქუჩა, ხეები, უსუსური მზის სხივები... მიუხედავად სუსხისა, ძილი საშინლად მერეოდა და უცებ, ამ ყველაფრის

დამაგვირგვინებელი წერტილივით „იანანას“ მელოდიაც ჩამესმა. გაცივებულმა ვჭყიტე თვალები, თავი წამოვწიე და მუსიკაც მაშინვე შეწყდა.

მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ გარშემო არავინ იყო. ვიფიქრე, რომ ალბათ მომეჩვენა, ისევე მივაღე ბოძს თავი და მელოდიაც ჩემს ზურგს უკან მაშინვე აჟღერდა. მაშინ უკვე გაცივებული შემოვბრუნდი და პირველად შევხედეთ ერთმანეთს თვალებში.

რა თაფლისფერი ჰქონდა... მზის სხივებზე უფრო მოოქროსფრო... და რა ცვეცხლი უელავდა... მთელი შემოდგომა თითქოს მის თვალებში იყო ჩასახლებული, მაგრამ ის არ იყო ამ ნოემბერივით ცივი და ძილისმომგვრელი. იწვოდა, შიგნიდან იწვოდა და ეს კოცონი იმდენად ვერ ეტეოდა მის სულში, რომ თვალებიდან გიზგიზებდა. არ ვიცი, წამებში შევაძინე ეს თუ დიდხანს ვუცქერდი, მაგრამ დროის შეგრძნება სრულებით აღარ მქონდა.

უცებ გამიღიმა და თვალი ჩამიკრა. მაშინვე გული შემიფრთხილა და რატომღაც შემრცხვა. სასწრაფოდ მივტრიალდი და დაბარებულებით, იმწამსვე მოვიდა ჩემი ტრამვაიც. ავედი თუ არა, ღრმად ჩავისუნთქე და დახურული კარიდან შეფარვით გამოვხედე.

ისევე მიღიმოდა.

მაშინ გულში რაღაცნაირმა სითბომ და სიხარულმა დამიარა. რა მიხაროდა? თითქოს აღარც მციოდა. თითქოს მისმა ცვეცხლმა მარტო გული კი არა, გათოშილი სხეულიც გამითბო და უცებ ვიგრძენი, რომ მეც ვუღიმოდი.

ეს იყო და ეს... მას შემდეგ ერთმანეთს აღარ დავლაპარაკებდით და აღარც მარტონი შევხვედრივართ სადმე. განა ადვილი იყო მისი დამარტოება? მულამ ძმაცაცების მთელი ჯგერო დაჰყვებოდა და იმ დღესაც მხოლოდ იმიტომ წავაწყდი მარტოს, რომ თურმე „პახმელიაზე“ მყოფს მძინარე ძმაცაცები ბიძამისის დანგრეულ ბინაში მიეტოვებინა და თვითონ დილის სუფთა ჰაერზე გამოსულიყო. გიტარაც თან გამოეყოლებინა, ის ხომ ლამის მასთან ერთად იყო დაბადებული. იმ დღის მერე ჩემს ცხოვრებაში ისე შემოიჭრა მუსიკა, რომ მშობლებთან დიდი ხვეწნა-მუდარის

* მოთხრობამ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში სპეციალური პრიზი მოიპოვა

შემდეგ, მამაჩემის ერთ-ერთ მეგობარ გიტარისტთან დაკვრას სთარული დაიწყო და ნელ-ნელა შევიგრძენი მისი იდეალური ძალა. ძალა, რომელიც ყველაფერს დაგადღეინებს, ძალა, რომელიც ალექსის ობლობა გადაატანინა... მაგრამ მე მაინც ვერ მომცა საჭირო გამბედაობა... რისთვის? ამასაც გეტყვით.

ვერც მას და ვერც მის ამფონებს ვერ იტანდა ჩვენი სამეზობლო და უფროსი ქალები გოგონებს ყოველთვის ჭკუას გვარიგებდნენ, ახლოს არ გავკარებოდით ამ „მანწალეებს და ნარკომანებს“, კიდევ რომ გამჩენოდა გრძობა მის მიმართ (რასაც ამ მუსიკალური ინსტრუმენტის ყოველი ხელში ალებისას ვგრძობდი), შიშით და სირცხვილით, როგორ გამოვხატავდი.

თუმცა, ჩემი სახლის აივნებიდან გადმომდგარს, ღამითაც კი ყოველთვის შემქმლო გამეგონა მისი გიტარის ხმა, რომელსაც საღამოს 9 საათის შემდეგ აუცილებლად მოჰყვებოდა რომელიმე მეზობლის წყევლა:

– შენ ჩაგლე კუბოში, დაგვაძინე!

კუბოში ჩადების რა გითხრათ, მაგრამ ვიღაცის წყევლა კი ნამდვილად ეწია ალექსის. სამოქალაქო ომი ორი თვის დაწყებული იქნებოდა, რომ ბიჭი საღამო გაქრა. არავინ იცოდა მოკლეს, თუ გაიქცა (თუმცა, სად ჰქონდა გასაქცევი). ან ვინ მოიკითხავდა თავის დროზე, ბიძამისი კარგა ხნის მერე იპოვეს დანგრეული პროსპექტის ერთ-ერთ ჩიხში, სხვა დახოცილებთან ერთად. მის მეგობრებს კი ისე აურია ომმა გზა-კვალი, რომ ზოგი სად იყო დაფანტული, ზოგი – სად. ალექსი არავისთან ერთად არ აღმოჩნდა. არც ცოცხლებში, არც მკვდრებში. თუმცა ამაში გასაოცარი რა იყო? ომი ომია და ის არასოდეს არჩევს, ვინ შეიწიროს – დამნაშავე თუ უდანაშაულო... ზრდასრული ადამიანი, თუ ბავშვი... გამარჯვებული აქ არ არსებობს. რჩება მხოლოდ სიცოცხლის წინაშე ჩადენილი დანაშაული...

მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ, როცა მიწასთან გასწორებულ თბილისის ქუჩებში ხალხმა იწყო მოძრაობა და ყველაფერს დასუფთავება, ჩვენს უბანში, ეკლესიასთან მისი სიმებაწყვეტილი გიტარა იპოვეს, რომელიც ტყვიებით იყო დაცხრილული. არსად სისხლის კვალი არ ემჩნეოდა, არც ახლო-მახლო ჩანდა მისი პატრონის რაიმე ნიშანწყალი.

– ბეჩავი... –, სინანულით ქოთქოთებდნენ ზუსტად ის მეზობლები, რომლებიც ხშირად წყევლიდნენ ხოლმე.

მაშინ ვერ გავბედე მეკითხა, რა უყვეს მის გიტარას. უფრო გამბედავი რომ ვყოფილიყავი, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ იგი ჩემს ხელში აღმოჩენილიყო, როგორც სახსოვარი, რომლის ფასიც სხვამ არავინ იცოდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ამის გამგონებ განადგურებულმა შევადე ჩემი ოთახის კარი და ღია ფანჯარაში შუალამედე გაუჩერებლად ვუკრავდი „იანანას“. ვუკრავდი, სანამ თითის წვერები არ ამეწვა და ზედ „მაზოლები“ არ გამიჩნდა. არავის კრინტი, ხმა, წყევლა არ გამიგია, თუმცა ზუსტად ვიცოდი, იმ ღამით უბანში არავის არ ეძინა. სიჩუმე

იყო და თითქოს ყველანი ამ სიჩუმით ცდილობდნენ მთელი იმ ღამის-ღამის გამოსყიდვას, რომლითაც ალექსის სიცოცხლეში „ამკობდნენ“.

მერე ყველაფერი შეიცვალა. ცხოვრება ახალი სიმბედეებით დაიწყო – უშუქობა, შიმშილობა, მომავლისთვის სასიცოცხლო ძალების კბილებით ძიება... არ მახსოვს, უფრო სწორად კი სიზმარით მახსოვს ის რამდენიმე წელი. მახსოვს ყრუ, დადუმებული უბანი, რომლის გაცოცხლებასაც ღამით ისევ მე ვცდილობდი გიტარით. შემდეგ კი საცხოვრებლად სხვაგან გადავსახლდით, სხვენის მაგვარ ოთახში. მახსოვს მაშინდელი გაჭირვებაც, სოფლიდან ბებოს გამოგზავნილი პომიდვრის წვნიანით სავსე ქილები, რომელიც ერთადერთი საკვები იყო ჩვენთვის. ბევრი სიბნელე და პატარა სიხარული – ეზო, სადაც ახალი მეგობრები შევიძინე. ალექსიც ცოტა ხნით თითქმის მიმავიწყდა. თურმე ასეც ხდება... ჩემი ბავშვობის მეგობარ მარკ ტვენს დავეხსენებ – „ახალგაზრდული გული ძალიან ელასტიურია და დიდხანს არ რჩება შეკუმშული“. ჰოდა, ჩემი გულიც მალევე გაიხსნა და ჩაება ახალ ცხოვრებაში.

მაგრამ ყოველგვარი მუსიკის გარეშე... ჩემს ცხოვრებაში საბოლოოდ გაქრა ის, რაც მაშინ მამბედნიერებდა. ზოგჯერ, ძველი სიზმარით თუ გამახსენებოდა, რომ ჩემი გიტარა სხვენში, ძველმანებთან ერთად ეგლო და ეს ჩემში უკვე აღარც ტკივილს და არც სიხარულს აღარ იწვევდა.

მხოლოდ წლების შემდეგ, ერთ ღღესაც, როცა ჩემს ძველ უბანში, ძველი მეგობრის სანახავად მომიხდა წასვლა, ზუსტად იმავე გაჩერებაზე დაველოდე სამარშუტო ტაქსი. ის ელექტრობოძი იქვე დამხვდა. მივადე თუ არა თავი, რაღაც უცნაურ განწყობაზე დავდექი. თითქოს ისევ ჩამესმა „იანანის“ მელოდია და თითქმის შევიგრძენი, რომ ალექსი ჩემს უკან იდგა.

მივტრიალდი და, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული დავრჩი.

კედელი, რომელთანაც ის იჯდა ხოლმე, ტყვიებით იყო დახვეტილი და გაშავებული. ზედ ვიღაცას წაეწერა ცარცი: „აქ იყო ბრძოლები“. მთელი ბავშვობა, ჩვენი პირისპირ შეხვედრიდან – ომის ნარჩენებამდე თვალწინ დამიდგა და ისევ ცხადად ჩამესმა ყურში მისი გიტარის ხმა. ხმა, რომელიც დამიბრუნდა... მუსიკა, რომელიც წლების განმავლობაში დავიწყებული მქონდა.

და ისევ ვიგრძენი სიმზურვალე, ისეთი სიმზურვალე, რომელსაც სიცოცხლეში ალბათ მხოლოდ ერთხელ გრძობს ადამიანი. სითბო, რომელიც სუნთქვის შეკვრით იწყება და ბოლოს გულთან, მუცელში დატრიალებული ჰეპლებით ბოლოვდება... ყველა მიხვდება, ვისაც ოდესმე ჰყვარებია.

ჩემი ტრანსპორტიც მოვიდა, მაგრამ აღარ გავყოლილვარ. გაშეშებული ვიდექი. მერე მახსოვს, ადგილს მოვწყდი, კედელთან მივირბინე, შიშველი ხელით წავშალე „ბრძოლები“ და იქვე დაგდებული ცარციანი ქვით მივაწერი: „მუსიკა“.

ღიას, აქ იყო მუსიკა...

პოეზია

ბოჩა ხაჩანაილი

პოეტი

მამულისათვის ვინც სისხლი ღვარეს,
მათ ნასახლარზე ყორნები სხედან.
მე მიჭირს, როგორც უმთვარო ღამეს
მიუბარებელს მიწისთვის ცხედარს!

ზეიმი უდგას მტერსა და ორგულს,
ვით შვილს საყვარელს,
უფალი მსახრავს,
მე მიჭირს, როგორც უსიმო ჩონგურს,
მიწაში დაფლულ განძსა და სახსარს!

და რადგან ველარც წინაპარს ვბაძავ,
ვაგლახად ველარც უხილავს ვხედავ,
მე მიჭირს, როგორც უსანთლო ტაძარს,
უგუთნო ხარს და უმერნო მხედარს!


არსაკადრისის კადრება მზარავს,
უნამუსობის გულს მიგლეჯს ძერა,
მე მიჭირს, როგორც ცარიელ მარანს,
აჩეხილ ვაზს და დაშრეტილ მზერას!

იარებს რწმენის ეკლებით კვემსავ,
სიკვდილი მიჯობს წუშპეში გდებას,
მე მიჭირს, როგორც ღღეს უჭირს ჩემსას
ენას და მამულს, შვილსა და დედას!

როგორც ნასახლარს საკუთარ სახლის,
ქარქაშში უქმად ჩაჭედებულ მახვილს,
მე მიჭირს, როგორც ბავშვსა და ობოლს,
როგორც ტოტიდან მოწყვეტილ ფოთოლს!

ჩვენს სადღეგრძელოს ზეცაში სვამენ,
თუმცა მომხდური გულისპირს მახვეს.
მე მიჭირს, როგორც აფხაზეთს, სვანეთს,
იმერს და ამერს, ქართლსა და კახეთს!

და ვდგავარ, როგორც შეშენის პოეტს,
ამ გასაჭირით პირთამდე სავსეს!
მე ვარ ანბანის „ანიც“ და „პოეტ“,
უკვდავების წყალს რომელიც მასმევს!!!



* * *

მე შენთან შეყრას ვერვინ დამიშლის,
მე მოლოდინი შენი მაღალეხს,
რადგან სიცოცხლის ლორთქო სათიბში
ვიცი სიკვდილი მოიბალახებს!

იქნებ როგორმე მოვიდე შენთან,
მოვასწრო თავის მკერდზე დადება,
მთელი სიცოცხლე ველოდი ჩემს თავს,
როგორც იესოს გამოცხადებას!

უნდა გამიგო, ვიქეც ღამურად,
ველარ ვსუნთქავ და სული მეხუთვის,
ვერცერთმა ქალმა ვარ დამაპურა,
არცერთ სამყაროს მე არ ვეკუთვნი!

ღიახ, მიყვარდი! გეტყვი ამასვე,
გინდა დამთხარე ხარბი თვალები!
უმისამართო სევდით ამავსე
და აუხსნელი გამოცანებით!

მომკალი! შეგებას თუ მოგანიჭებს,
შენს რისხვას თუ ვერ გადაურჩები,
შენი ცრემლების თვალ-მარგალიტებს
მე შევაგროვებ ჩემი ტუჩებით!

შენი ღიმილი ისევ მომფინე,
ამაქადაგე სიტყვით უღვევით,
თეთრი მკლავები შემამკობინე
უცხო გრძნობათა ყვავილწუნულებით!

თუმც საყვედურის მისევე ქოფაკებს,
და ჯავრიც ჩემზე ამოიყარე,
მე კაცთა მოდემის არ მყოფობამდე
შენი სამოთხის მკვიდრი ვიყავი!!!

წიქარას დაკვლას ვაპირებთ,
პირს ვუწყოთ დანას შავტარას,
იმაღ ვართ უბედურები,
გუკმევთ ხორცშესხმულ სატანას!

მუდამ ვარ მისი მქებელი,
ვინც შენ წყლულები მოგბანა!
იმაღ გვჭირს უშველებელი,
რუსთველის ნაკლებობა!

ხე-ქვა ცხვირ-პირში გვეხლება,
მოგვდგა უბირი ათასი,
სახნავი მიტომ გვეხვნება,
ჩონხა ჩაკეუწეთ ვაჟასი!

ოქრო გაბახდა ხალასი!
ისევ თვლემა და ძილია,
რა ხდება ამ ქვეყანაში?
– ილია გამოილია!

უფრო მეტი ხარ

შუქი წყვდიადით რადგან ვერ დამი/
ბნელეს და, ვრჩები ნათლის მქებელი,
სიცოცხლის ფორმა ჩემი შენდამი
არის გაბმული სავედრებელი!

ძვლებით მეხნას და სისხლით მეთესოს,
სვეტად მექციოს ლოდი სამარის,
მიწა ვარ შენი, საუკეთესო,
ესაა ჩემი გამოსავალი!

მარჯვენა გულმა დამიმშვენა მე,
არ ვარ უშენოდ თავის მდომელი,
ლოცვა აღძრული ჩემი შენამდე
არის გაბმული საგალობელი!

ვიდრე სიცოცხლე დამეხარჯება,
და მომერდვევა რწმენის კედელი,
უნდა მოიჭრას ჩემი მარჯვენა,
რომ შენი დარჩეს მოუკვეთელი!

უფრო მეტი ხარ, ვიდრე მამული,
უფრო მეტი ხარ, ვიდრე მეტყველი!
საზეო ქნარზე სიმაღ გაბმული
და ღალადისი განუწყვეტელი!

არ ვიცი, რომელ ქარავანს გავყვე,
სამყარო თავის თავმა შეშალა,
გაბზარული ვარ, ვაი თუ, გავტყდე,
ვაჰ, თუ გუმბათი ჩამომეშალა!

მე არ ვიკადრებ მაჩვთა წინ წუწუნს,
მე ვამბობ იმას, რაც სულს აშფოთებს,
რომ საქართველოს გულ-ღვიძლი უწუნს
და სიკვდილამდე ცოტა ამორებს!

ნუ დამიწუნებ შენ, ვინც ხარ, რითმას,
ვინც პოეტამდე მოფოფხ-მოძვერი,
შენ ეკრიტიკე შენნაირ ვირთხას,
სიტყვა კი თავის გზა-კვალს მოძებნის!

ვიწვი ორ ცეცხლში, მალრჩობს ორწყალი,
ძგელი უმწყემსო ფარით ნებივრობს,
საუბედუროდ, მე ვარ ცოცხალი,
და მკვდრებს რარიგად გაგაგებინო!

ზურგშექცეული

ქართული ფესვის მომსრელებო,
იქნებ გახვიდეთ ფონს,
ზურგშექცეული ვოცნებობ,
თქვენგან რომ ვიყო შორს!

ზურგშექცეული ვლოცულობო,
ზურგშექცეული მტერს.
ზურგშექცეული დავდივარ,
ზურგშექცეული ვწერ!

ვერ გემუხთლები უფალო,
ვერ წავიწყებდავ პირს.
ზურგშექცეული ვიცინი,
ზურგშექცეული ვტირ!

უკუღმა ნათეს-ნამრუდევს,
უკუღმა უყვარს მკაც,
ქალი – სახელი მარტოდენ,
კაცი – აღარ ჰგავს კაცს!

ავაჰმე, არსთაგამრიგევ,
გული გდებია ქვის.
შემოვბრუნდე და ვისაკენ?!
მივბრუნდე და ვის?!
მივბრუნდე და ვის?!
მივბრუნდე და ვის?!

ქართველი

მაგანნი ყოველგან მხნედ არიან,
ქართველი უმამულოდ ცხედარია!
ქართველი – თავის ეზო-კართან,
ნათელმირონთან და მეგობართან!

ქართველი – წინაპრის საფლავებთან,
რომელიც მომხდურს აფლავებდა,
მშობელი აუხსნელ გამოცანთა,
ქართველი – თავის სალოცავთან!

ქართველი – უკვდავების სადინართან,
თავის სამღერთან და სატირალთან,
თვალეებს ელვისებრ რომ აკვესებდა,
თავის სახნისთან და საკვეთელთან!

უფლის წინაშე რომ არ სცოდავდა,
ქართველი – თავის კაცობასთან,
ვისაც ღვინის სმისთვის დასცინიან,
ვინც ვაზის გარეშე დასჯილია!

ქართველი – ცის თვალის გახელასთან,
თავის უღელთან და ბალ-ვენახთან,
ბნელი რომ ნათელს იცოხნება,
ის ხუმრობს თავის სიცოცხლესთან!

მაგანნი ყოველგან მხნედ არიან,
ქართველი უმამულოდ ცხედარია!

* * *

სათიბეებს მივყვებოდი,
ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ,
უბელო ცხენს ვიპარავდი,
მუავე წყლებზე ვაჭენებდი...

ცისკრის მზეთი ვსაუზმობდი,
ვსადილობდი თაკარებით,
ვანშმად მთვარის ფერდი მქონდა,
თუმცა პირს არ ვაკარებდი.

ხელაშვილი მეღანდება
ციხის მოშლილ ქონგურიდან,
მე ვცოცხლობდი მამულისთვის,
ახლა მამულმოკლული ვარ!

წერილი ცაში

შენითვე ნაგებს ვიდრე შემომშლი,
ჩემი აკვნის და კუბოს გამთლელი!
მე ღვითთკურთხეულ საქართველოში
არ შემიძლია უსაქართველოდ!

შემოდგომის ხეს ფოთლად შემოვრჩი,
ყოვლად ცხადო და მაინც ფარული!
მე სიყვარულის სამბრძანებლოში
არ შემიძლია უსიყვარულოდ!

ქრისტეს მოსვლამდე ღირსად ვიცადე!
დიდება დედას – ყოვლად უბიწოს!
ცაა მთავარი, მაგრამ მიწაზე
არ შემიძლია ყოფნა უბიწოდ!

შობილს მშობელი კვლარ მიცნია!
ალბათ ამ ცეცხლშიც უნდა გამეველო!
არ შემიძლია!
არ შემიძლია!
არ შემიძლია!

უ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ!

* * *

ეკლის პერანგი ჩავიცვი,
ჩემს გულს აღარ ევარდება!
არაფერი აღარ ვიცი,
საქართველო მეღარდება!

ეშურება სული წასვლას,
ხორცი მეხარშ-მეღაგება,
არც მიყვარს და აღარც მწამს რა,
საქართველო მეღარდება!

მზე ღრუბლებში ჩამხრჩვალა,
აღარ გამომეღარება.
ცოლ-შვილისთვის არ მცალა,
საქართველო მეღარდება!

ჩემს ყანაში კვლარ ვხარობ,
წინაპარი მეღაგება.

მივაფურთხე მთელ სამყაროს,

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ე დ ა რ დ ე ბ ა!

„საოცრად საოცარო ბექა და არაჩვეულებრივო შემოქმედო... აი, ასე, ციდან მოვლენილივით ველი შენი პოეზიის სიახლეებს, რამეთუ ასეთი სივრცით მოცულია, ასეთი უკიდევანო და მრავლისდამტვენი“... – ასე ელოდებოდნენ ბექა მარგიშვილის პოეზიის მოყვარულნი მის თითოეულ სტრიქონს. სამწუხაროდ, ბექა გარეწრის ნასროლმა ტყვიამ 5 აპრილს, ზარება დღეს იმსხვერპლა. ის, როგორც პოლიციელი, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა... ცრემლიანი აპრილი გაუთენდა მის ოჯახს, ლამაზ მეუღლეს, მის პატარა ვაჟს, დედას... მეგობრებს, საახლობლოს, ვისაც ასე ეძვირფასებოდა ბექა თავისი უკიდევანო და ულამაზესი სულით.



დარჩა პოეზია, ჩვენთვის გამოწვდილი უთქმელი ვედრებით... ჟურნალ „ანეულის“ მკითხველებს ვთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

* * *

დავიკარგები, წავალ და წავალ...
ნეტავ იცოდე, რარივ ვეწამე...
თუ მეტყვი, კარგო, დღეს რისთვის დავალ,
ხვალაც ვიცოცხლებ წუთის შესამედს.
ნუ მეტყვი ნუგეშს, მაინც არ მჯერა
ადამის მოდგმის ფერისცვალების.
გაზაფხულს ველი, ჩემო, ამჯერად,
რომ დავბადო გარდაცვალებით!
არც ისე ცუდად, არც ისე კარგად,
არც ისე ძლიერ ხმაურობს სისხლი.
მე საიდუმლოდ გაგიმხელ ამბავს,
როს მთაწმინდაზე დაწვება ნისლი.
როს მშობიარე ხეების ტანში
დაიბერება ვნება აპრილის,
დაიყვავილებს... და მერე ქარში,
ხარჭა ქალივით, ბალებს დაივლის.
როს მომღიმარი მზეები ციდან,
გადმოაფრქვევენ ფერებს სიცოცხლის
და ამოხეთქავს დედამიწიდან
მწვანე სიმბოლო მარადისობის!
გაზაფხულისთვის მეცოცხლა მსურდა...
და ახლაც მოვალ, მოვალ წვალეებით.
მე ნარიყალას გავცქერი მუდამ,
ძველი მეტეხის ვკმინავ ზარებით.

მეგობარო

აღბათ, დაგვალა ამ მისტერიამ
ო, მეგობარო – ნუთუ ვერ გშველი?!
შენს იქით უკვე მონასტერია,
შენამდე წუთი, წამებ შიშველი.
ო, მეგობარო, რატომ არ გესმის?!
ასე მოეწყო ეს საუკუნე.

ჩემი ხმა, ვიცი, ახლაც ჩაგესმის –
აქ იყავი და ზეცას უყურე.
მშვიდია ღამე... და ფიქრი ურჩობს,
ვით ჯვრისწერისას ქალის სზვა ნატვრა...
სასოწარკვეთა შენში საუბრობს,
შენი ცრემლებით ჰაერი დათვრა.
– ვიცი, შენ მყარად გაივლი... რატომ?..
მეგობარი ხარ ჩემი, ჰო, თუნდაც.
შენ არ ხარ მარტო, შენ არ ხარ მარტო,
მე მხოლოდ ამის მოწერა მსურდა.
შენს იქით უკვე მონასტერია!..

ცოტა კიდევ...

ცოტა კიდევ დამაცადე, გულო,
გაზაფხულზე, მომეც მაჯის ფეთქვა,
რომ შემწყვტილო და რომც გამასრულო,
ვიტყვი მაინც, რაც მსურდა რომ მეთქვა.
ცოტა კიდევ დამიტოვე გრძნობა,
ახლა ცისკარს სურნელი აქვს ვარდის.
დამაცადე ღამეებით თრობა,
რომ ავმალდე სიმღერებით ცამდის.
ცოტა კიდევ გამიგრძელე დღენი,
როგორც ფუტკარს ამინდი და ღალა,
რომ გულწრფელი საუბარი ჩვენი
დროს შემორჩეს მეწამულის კვალად.
ცოტა კიდევ შემიხანე სითბო,
წელს მზეები დაიბადნენ ადრე...
სივრცეებში გავილაღე თითქოს და
მტრედებად შევენიხნე საყდრებს.
ცოტა კიდევ დამაცადე, გულო...
ცოტა კიდევ დამიტოვე გრძნობა,
ცოტა კიდევ გამიგრძელე დღენი,
დამაცადე ღამეებით თრობა.

ლურჯი ზვირთები

სად დაიდგომეს ჩემმა ფიქრებმა,
რა ბედენაა ღამის თენება?!
რად გამიტაცეს ლურჯმა ზვირთებმა
მარადიულის არგახსენებად!
რატომ მიაძობს დასასრულს ქარი,
ჩუმი ვედრებით ზეცა რას ითხოვს
და რატომ ცდილობს სევდის ამქარი,
ჩემი ლექსები სისხლით გართმოს.
მიყვარს ქარების უძირო შფოთით
აღელვებული ტალღების შთანთქმა,
ქარიც ჩემსავით ყოფილა ღოთი,
ქარსაც ჩემსავით სცოდნია ართქმა.
...და ჩემი გული, ჩემი ერთგული,
ვით წამებაში გაწვრთნილი ძაღლი,
ჩემზე თავნებას ვერვის იგულვებს
და მოსვენებას ბოლომდე დაღლის.
სად დაიდგომეს ჩემმა ფიქრებმა,
რატომ მიაძობს დასასრულს ქარი,
რად გამიტაცეს ლურჯმა ზვირთებმა
და რატომ მებრძვის სევდის ამქარი!..

ველი თოვას

ველი თოვას და სიჩუმეს,
ფიქრის ქროლას უსხეულოდ
დღეს ითოვებს, დღეს ითოვებს,
დღეს ითოვებს... უჩვეულოდ.
გავიხსენებ ლურჯ გაზაფხულს
და ჩაქრება, რაც კი ენთო,
ამ დასასრულს, ამ დასასრულს,
ამ დასასრულს ველი, ღმერთო...
ჯერ არავის დაუნახავს,
მთვარის ველზე სანავარდო,
ნუ მეძახით, ნუ მეძახით
ნუ მეძახით... არ ვარ მარტო!
გზები, გზები, კიდევ გზები,
ვთვრები ფიქრით უსასრულო,
გეფერები, გეფერები,
გეფერები შენ, წარსულო!..

დღეს ითოვებს უჩვეულოდ
რა შორია ჩემგან ცამდე...

გზა განაგრძე

არ იარო, ჩემი გზებით არ იარო,
გზა განაგრძე და მეც მალე სულს დაგაწევ,
მსურს ცხოვრება რომ თავიდან გავიარო,
მერე, ალბათ, მოგონებებს თავს დავაღწევ.
გზა განაგრძე... მე აქ უნდა შევისვენო,
მივეფერო ნამთვრალევი ჩემს ტკივილებს.
გზა განაგრძე, კიდევ უნდა გავიხსენო,
სხვა მრავალიც, თორემ სული დაიკვილებს.
მაშინაც კი, თუ ჩამოვრჩი, მაშინაც კი,
შენ იარე და უკან არ მოიხედო.
არც კი სცადო, მეგობარო, სცადო არც კი,
ჩემი ტვირთი სიმძიმედად მოიხვედრო.
შენ სულ სხვა ხარ... გაილაღე, გამზიანდი,
ცას შეხედე, დედამიწა დაიმშვენე,
ო, ქარებში გრიგალებად ახმინდი,
ყორღანებში პირამიდად განისვენე.
გზა განაგრძე, ნუ გაშინებს ყოფა ესე
მე მოგყვები, ვით მარეკებს ურჩი ძაღლი,
მიწილადე მერე მკაში რაც დათესე,
მეც ვისუნთქებ, ეს ჰაერი თუ არ დამღლის.
არ იარო, ჩემი გზებით არ იარო,
ცას შეხედე, დედამიწა დაიმშვენე,
მსურს ცხოვრება რომ თავიდან გავიარო...
ყორღანებში პირამიდად განისვენე.

გზა განაგრძე და მეც მალე სულს დაგაწევ...

* * *

ასე მშვიდი, არ ვყოფილვარ დღემდე...
არ მადარდებს აგონია ღამის,
დამიჯერეთ, დამიჯერეთ, მენდეთ,
გამოვსწორდე, გამოვსწორდე, ღამის!
დავიბადო ხელმეორედ იქნებ
და საქმენი შევძლო იმისთანა,
რომ არ მივცე გზა, ზეცისკენ ფიქრებს,
მართალია? მართალია განა?
მიმასწავლეთ სადმე მყუდრო მხარე,
დავალ ტანჯვით, როგორც ისრაელი...
დღეს თუ უფალს არ გამაცნობთ, ზვალე
ვის მიემართო, ვუთხრა ვის რა... ელი!
დავიბადო ვთქვი, მეორედ იქნებ...
მოვიშორე შთაგონება ღამის,
არ მივეცი გზა ზეცისკენ ფიქრებს,
დავიღუპე, დავიღუპე ღამის!

ათოვდა სურამს

სურამს ათოვდა ფიქრებად, მარი...
ნეტავ გცოდნოდა, საით დაქროდა
ჩემი გრძნობების მგზნებარე ქარი...
მოვიტაცებდი მზეების დარი შენი
თვალების მიმართულებას,
რომ დაგენახა ცად აზიდული
სურამის ციხე!..
და მოვყვებოდიტ ორნი
ლეგენდად ქცეულ თქმულებას...
შენ ეს ამბავი გსმენია, ალბათ,
მე ღავარქმევდი ამ ტრაგედიას
სიკვდილის აქტებს,
ეპიზოდებად დაყოფილ ტანჯვას,
მოთქმას, შიშს, ყვირილს,
სულიდან დარდებს,
როგორ სცინიან ტალახიანი მსახიობები,
ქვის და აგურის კულისებიდან.
და ახლა ვგონებ, გასაგებია,
ჩემი წუხილი... ეს შედარებაც.
უსამართლობით გამოწვეული
სისხლის დუდილიც...
კეთილშობილი ადამიანის თავშეკავებაც,
ღათქმუნა დიდი განსაცდელის, შეურაცხყოფაც.
შენ მართალი ხარ, ვით ციხის კოშკზე
ჩემით ჯვარცმული სარწმუნოება.
გთხოვ, მაპატიო, ეს წარმართული
და უკულმართი გაუცხოება,
მშვიდი განწყობით.
სურამს ათოვდა ფიქრებად, მარი...
მზეების დარი მნათი თვალებით,
შენ მართალი ხარ!.. და როგორც ღმერთი
თვით სიმართლეში განაწამები.

* * *


გადამირჩინე სული, ძვირფასო, გადამირჩინე,
რომ გაზაფხულის ცაზე შევისხა
ნარ-ნარი ფრთები.
ჩემი ბორკილი დედამიწაა, ვერ შევეჩვიე!
გადამირჩინე სული, ძვირფასო, და გაფრინდები...
ო, ფრთები, ფრთები... მხოლოდ ეს მინდა,
მერე კი ვნახოთ...
აღარ დავეძებ იასამნებში მიმქრალ ოცნებას.
მიწის და ზეცის გასაყართან დროებით ვსახლობ,
რომ შევეგებო მარადისობის გასხვივსებას!

ცისფერი თოვლი

რა ვქნა, თუ ველი ნათელს ღამეში...
რა ვქნა, თუ ვხედავ ახალ სამყაროს.
გამოიზამთრა ცოდვამ თვალებში,
რომ გაზაფხულთან თავი დახაროს.
ირგვლივ მთებია, ჭალარა მთები...
მთვარის ველებზე ცისფრად ითოვა.
როგორ არ გავყვე ოცნებას ფრთებით,
თუ ეს გაფრენა სულმა ითხოვა?!
ვიგონებ ყვითლად დახატულ ჭალებს,
ხის კენწეროზე შეფრენილ ყრმობას,
მერე წაწალის მიბნედილ თვალებს და
მერე უფრო ზენაარ გრძნობას.
ვიგონებ თბილისს... ჭადრების ჩრდილში
თავენება წყვილის ვნებით ხეტიალს.
ცისფერი თოვლი მეზმანა ძილში...
ეს აღმაფრენა უფრო მეტია.
როგორ არ გავყვე ოცნებას ფრთებით,
თუ ეს გაფრენა სულმა ითხოვა!
ირგვლივ მთებია, ჭალარა მთები,
მთვარის ველებზე ცისფრად ითოვა.

მალლა... მალლა

დაასრულე,
შენი მარში დაასრულე,
ბოლო დაღმართს მივალწიე –
ცოცხალი ვარ.
დაასრულე,
უკვე დროა, დაასრულე,
ახლა მხოლოდ ჩემი თავის მოძღვარი ვარ.
მალლა მელის მხოლოდ წუთი სადღეობო,
ეს გზები კი ტკივილივით ნაცნობია...
მალლა, მალლა, რაღას უნდა დაველოდო,
როცა გული გაზაფხულით გამთბობია.
როგორც სიკვდილს გასხლეტილი პარადოქსი,
ისე ავცდი ნატყვიარევს ღუელებში.
ვით წარმართი ხელახალი გადლოცვით
დავალ მტკიცედ, ქადაგივით, ცდუნებებში.
დაასრულე,
შენი მარში დაასრულე,
მალლა მზეა...
სხვა რას უნდა დაველოდო?!
როგორც სიკვდილს გასხლეტილი პარადოქსი
მივალ, მივალ,
სამზეოდ და სადღეობოდ.



მიძლიერე ახალგაზრდებისადმი

ლევან ბოთია

ლამაზ მთებს იქით

კაცი და მისი ფიქრის სამყარო განუყოფელია. ზოგს ეს სამყარო ფართო აქვს, ზოგს უფრო შეიშავებული. ზოგი გულჩათხრობილად ფიქრობს, ზოგი ღიად, ხმამაღლადაც კი. ჰოდა, ეს, ჩემი ხმამაღალი ფიქრია. ნუ ჩამითვლით მას აბეზარა ბუზღუნად. ისე ვფიქრობ, როგორც გულმა წარმომართა. რაც აზრიანი გულისცემა დამიწყო სამშობლო შემაყვარა, ისიც ადრევე გამაგებინა, რომ ჩვენი სამშობლო მარტო ლამაზი მთები როდია. მაგრამ იგი არც მარტო გულუხვი ბარია, არც მარტო ამაყად მოჩხრიალე მდინარეები, არც მარტო ანკარა წყაროები, არც მარტო ზღვის ლაჟვარდი თუ ტყისა და ბაღნარის მწვანე აკვანი, არამედ ყველაფერი ეს ერთად აღებული და კიდევ ლამაზი ერი, ნიჭით აღსავსე, გულადი და პურადი, ხალისიანი, სიმართლისა და თავისუფლების მოყვარე, ბევრის გადამტანი, მაგრამ მუდამ კეთილიმედიანი. აქვე გაგიმხელთ – ქვეყანაზე იმედი ადამიანის უდიდესი მეგობარია.

ღიას! სამშობლო არა მარტო ლამაზი მთებია, არამედ ის ძველი კოშკებიც მათ წვეროებზე რომ დგანან, ის ხალხი, რომელთაც ისინი უშენებია. მოდით, ამ ლამაზ მთებს იქით გადავიხედოთ. ერის კეთილმომავლისათვის აუცილებელია თაობათა შინაგანი მთლიანობა და გარდმონაწესის, ტრადიციის, შეგნებული და შეფარებული დაცვა. ყოველ თაობას ცხოვრება დაუსვამს ხოლმე თავის ამოცანებს. მას აქვს თავისი სიხარული, სიასხლე, მისალწევარი მაგრამ მასვე გააჩნია თავისი მანკი და ნაკლი, საჭირობოროტო საკითხები.

ჩვენი დღევანდელი ფიქრი ახალგაზრდობას ეხება. ახალგაზრდობა კი ერის მომავალია, სურს ეს მას თუ არა. ამიტომ არის, რომ წლოვანთა თაობა განსაკუთრებული ფიქრითა და სასოებით სწორედ მათ შეჰყურებს და მათ სიკეთესა თუ სიბოროტს ატაცებთა ან მტკივნეულად განიცდის, თორემ ისე, ცალკე ახალგაზრდობის პრობლემა საქართველოში არც არსებობს. ყველაფერი, რაც მათ ეხებათ, მთელ ერს ეხება, მთელ ჩვენ საზოგადოებას. ამ ჩემ ნაფიქრალში განსაკუთრებულ სიბრძნეს ნურვინ დაეძებს, მე ვამბობ იმას, რასაც ბევრი ჩვენგანი გრძნობს, ზოგი ყრუდ და ზოგი იქნებ უფრო მკაფიოდაც, იგი ძველია, როგორც გულისტკივილი.

სამშობლოს, ერისა და ოჯახის გრძნობა არსებითად განუყრელია და რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ოჯახის სიმტკიცეს, ჯანმრთელობასა და სიმრავლეს.

ოჯახი, საერთოდ, არის ადამიანის პირველი უნივერსიტეტი და სადაც ეს ასე არ არის, იქ ძირითადი დარღვეული. ოჯახის დანგრევა კი კიდევ ერთი ეროვნული ციხის დანგრევას უდრის. ეს არა მარტო ახალგაზრდობამ, არამედ მათმა დედ-მამამაც უნდა იცოდეს. ერთი საჭირობოროტო სენი ჩვენ ოჯახსაც ჭირს. იგი შეიძლება ძირითადად მტკიცე იყოს, მაგრამ მასობრივად ნაკლებშვილიანია. მე ვფიქრობ, ეს არის ყველაზე უფრო დიდი პრობლემა ჩვენში. ჩვენ ერს ხიზნობაში, უსახლკაროდ, ტყეში, მტრის მოძალებისას გამოუზრდია მრავალრიცხოვანი თაობა. ჩვენ ისტორიულ გადარჩენაში მრავალშვილიანობამ დიდი, იქნებ გადამწყვეტი ღვაწლი დაიღო.

9 ძმა ხერხეულიძენი განა მარტო გვირობისა და თავდადების მაჩვენებელია, არამედ მძლავრი ოჯახისაც. ახლა რაღა მოგვივიდა?! სადღა არის ქებული მრავალშვილიანობა, რით ავხსნათ ასეთი საბედისწერო ხასიათის შემობრუნება? იქნებ ეკონომიური ხელმოკლეობით, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. იქნებ დედამიწის მოსახლეობის მეტისმეტი ზრდა აწუხებს ჩვენ ციციქა ოჯახების პატრონებს? მაგრამ არც ეს არის მართალი. დაე, მათ ამცირონ დაბადება, ვისაც ზემრავალი მოსახლეობა გააჩნიათ, ჩვენ კი ჩვენი კეთილი და ნიჭიერი ერის თავშემონახვა გვაქვს საზრუნველი. იქნებ ახალმოდურობითა და თავის შეწუხების გარიდებით მოგვდის ეს სავალალო ამბავი? გამრავლებისა და შვილიერების კეთილშობილი ინსტიქტის მოღუნება ხომ არ ხდება გამდიდრების ბნელ ქვეინსტიქტების აღზევების წყალობით? მაშინ ჩვენ ავი დღე მოგველის – ეს ლამაზი მთები არ დაგვრჩნენ უპატრონონი. შვილების მძიმე ანგარიში მაინცადამაინც ახალგაზრდობამ უნდა გამოავაროს და აქ ქალებს ეკუთვნის პირველი მამულიშვილური სიტყვა. უნდა დავვმოთ და ვძლიოთ ამ ბოლო ხანს გავრცელებული მარტოხელობა. მრავალი სრულასაკოვანი ქალი და ვაჟი მიუსაფრად, უოჯახოდ დაიარება ცხოვრებაში. ყოვლად გაუმართლებელ და მიუტყვებელი საბაბით. აქ კი ვვინ ვაჟების ამკარად თავგარიდება და უილაჯობა აყვავებს დროული დაოჯახების საქმეს.

ჩვენი ერი მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი ცხოვრების ფერხულში არის ჩაბმული. ბუნებრივია, რომ მიღწევებთან ერთად მრავალი სიძნელეც წამოეჭრება ხოლმე. მე-20 საუკუნეს ახასიათებს

ერთი დიდი წინაპირობა – არასდროს არ ყოფილა ასე აუცილებელი სწავლა და არასდროს ასე სამიში არ ყოფილა ჩამორჩენილობა. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდობას შეეხება. წარმოდგენილი გაქვთ ჩამორჩენილი ახალგაზრდა?

მე არა მარტო მწიგნობრულ და ტექნიკურ ჩამორჩენილობას ვგულისხმობ, არამედ ზნეობრივსაც და კულტურულსაც. ახალგაზრდამ ისეთი შემეცნებითი და შინაარსიანი ცხოვრება უნდა გაატაროს მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო გულიც ერჩის და ძალაც მოსდევს, იმდენი შინაგანი ჭურთვა მოიხვეჭოს, რომ მერმე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეყოს. დაუცადელი სწავლა, ხელოვნება, სპორტი, მოგზაურობა, თავისი მშობლიური ბუნებისა და ძეგლების გაცნობა, თავისი ნიჭის მიგნება, დადუღება, ერის სულისკვეთების ჭირისა და ღმერთის გაგება და, რაღა თქმა უნდა, შრომის მტკიცე ჩვევების მოპოვება და არა უმიზნობა, თავუხლარობა, დარდიმანდული ზარმაცობა, ზშირად გაუმართლებელი ახალმოდურობა, უკუღმად მოსული კულტურის ზედნადებები ახალგაზრდობის სახისა და ნიჭის შემძუსერელი აზარტული თამაშობანი, ნარკომანია, ქალ-ვაჟური თავაშვებულება, უზრდელობა და გათავხედება. ახალგაზრდობა ბოლოსდაბოლოს დროული უპირატესობაა და მისი არამად გაშვება ეროვნული ენერჯის საზარელ გაფლანგვას უდრის, ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს საკუთარი გამოცდილების დარწმუნების უფლება. ზოგი რამ შეღავათის და ერთი-ორი უნებური და უვნებელი შეცდომის გამოსწორების გზაცა და საშუალებაც, მაგრამ მათაც უნდა იცოდნენ ჭკვიანი კაცი ახალგაზრდავე უნდა იყოს ჭკვიანი, თორემ მერმე ყველანი ჭკვიანები ვართ. რასაც ახალგაზრდობაში დაჰკარგავ, ვეღარასოდეს ვეღარ მოიპოვებ!

საქართველო ნიჭისა და სილამაზის აღიარებული ქვეყანაა. ძნელბედობის ჟამსაც კი არც ერთი არ დაგვეკლებია ჩვენ ერს. დაჰკლებია პოლიტიკური წინდახედულება, თავისუფლება, ერთურთის გატანა, ერთიანობის შეგნება, მაგრამ მუდამ ჰქონდა ეროვნული სიამაყე, თავისუფლებისმოყვარეობა და ისევ სილამაზე და ნიჭი, განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდობა. ადამიანის ბუნებაში ყველაზე უფრო ფაქიზი და ფუჭადი სწორედ ნიჭია. მას მოვლა უნდა და, პირველ ყოვლისა, თავის ნიჭს თავად ახალგაზრდამ უნდა მოუაროს, განავითაროს, შეძლებისდაგვარად თავისი ცხოვრება მოწოდებრივი ნიჭის მიხედვით უნდა ააგოს, გარკვეული მიზანდასახულობა ჩამოხვეწოს. აქ შესაძლებელია დიდი შეცდომაც. ყოველთვის ნათლად როდი ჩანს მომადლებული ნიჭის აშურმა. ეს გარემოებაც ზშირად იწვევს ცხოვრების გზის არევის, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს კეთილი, მშრომელი, განათლებული, მეოჯახე პიროვნება, რომელიც თავის სამშობლოს ღირსეულად გვერდში არ ედგას. ზნეობა, მორალი საერთოდ საგვიანო ხილია; ყველა დროს, ახალგაზრდობას ყოველთვის უჭირდა ამ მაღალ ასპარეზზე. არც

ახლანდელი ახალგაზრდობაა გამოწკლისი, მაგრამ არის რამოდენიმე ყოვლად აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც საზოგადოებრივი არსებობა და თანაცხოვრება არ შეიძლება იყოს დადებითი. მგზნებარე პატრიოტიზმი, მუყათი მშრომელობა, ზნეობრივი სისპეტაკე ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილს და ვგონებ არა მარტო მათ სამში ერთგან მაინც უჭირთ და ვაი, რომ ზოგთ ანგარიში უფრო ცუდია. აღარც ძველი გულწრფელობა და შემართება, აღარც პირიანობა და ზრდილი რაინდობა, მოძლიერდა ყოვლად შეუწყნარებელი მლიქვნელობა, თანაც უნდობლობა ურთიერთისა და მშობლების მიმართაც. გამეფდა რაღაც არაკეთილშობილური ჟინი გამდიდრებისა, ყოველგვარი გზით მატერიალური დოვლათის შეძენისა. ეს მტაცებლური განდიდების სურვილი ფრიად ცუდი ფესვების მქონეა და უფრო ცუდი ნაყოფისა.

მე ერთ დიდ უხერხულობასაც ვგრძნობ. ვისაც უშუალოდ ეხება, ისინი არც საუბარს უსმენენ და არც წიგნებს კითხულობენ. მათ სრულიადაც არ აწუხებთ, თუ როგორი აზრისანი არიან მათზე. მთავარია, რომ მათ მოსწონთ, გასდით თავისი უხამსი საქციელი, თუ არ გაუვიდათ, იძულებით, მლიქვნელობით, ხელცუდობით, მატყუარობით გაიტანენ. არც უსამართლობას, არც დანაშაულს არ დაერიდებიან. ამ ჭაობშია, რომ იშვება ყოველგვარი ბოროტება, ჯანმრთელ, შეგნებულ ერს არც აქვს უფლება, ასეთი რამ მოითმინოს და ყოველ ტალს თავისი კვესი უნდა აღმოუჩინოს. სადაც ოჯახი არ დგას მოწოდების სიმალეზე, იქ მძიმე კვანძია და ახალ თაობას ვერც სკოლა და ვერც ინსტიტუტი თითქმის ვეღარ შევლის. ამიტომ, შვილებს რომ ვუკიჟინებთ, დედ-მამასაც უნდა ესმოდეს, მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მათ ეკისრებათ. ცუდია ზედმეტი სიღარიბე, მაგრამ ამას ეშველება შრომითა და საზოგადოებრივი დახმარებით. უფრო ცუდი ყოფილა ზედმეტი სიმდიდრე, მით უფრო არა კეთილი გზითა და საშუალებით შექმნილი. ასეთი სიმდიდრე რაღაც დაღს ასვამს ოჯახს, განსაკუთრებით მის მომავალს, ახალგაზრდა თაობის საერთო სულისკვეთებას. ანეთარებს საზოგადოებრივ მავნე განწყობილებას, ხელს უწყობს პიროვნების კეთილშობილების დაქვეითებას და იწვევს სულიერ გაუტიფრებას. სიმდიდრესა და შეგნებას შორის თუ არ არის თანაფარდობა, გააზნაურებულ მდაბიოზე უარესი ვარიანტი გამოდის. ასეთ ოჯახებში სულ ზშირად მორალურად მანკიერები იზრდებიან. უნდა გვანსოვდეს, ჩვენი ოჯახის ამოცანაა არა ფუფუნება, არა ქონებრივი ამპარტავნობა, არა ეგონისტური შეზღუდულობა, არამედ პატიოსანი, კულტურული შრომითა და ყოფით ამაღლებული ოჯახის მორალურ-მატერიალური დოვლათის დაცვა-განვითარება. ეს არის არსებითი სოციალურად და ეროვნულად წარმატებული. მომავალიც ამას აქვს. საეჭვო აღმავლობის საძრომები და საჭოჭმანო გამდიდრების წყაროები კი ყოველ კეთილ თვალსაზრისით,

ანტიოჯახურია. ვისაც თვალი სათანადოდ უჭრის, ის თვითონაც ხედავს. თითქმის ყველა ადამიანს აქვს გრძნობა სიკეთისა. ეს არ საჭიროებს ბევრ ახსნას. საჭიროა იმის დაბეჯითებით რწმენა, რომ მხოლოდ კეთილი საქციელი, მართებული ღონისძიება, უანგარობა ხელისუფლებისა და უბრალო მოქალაქისა ქმნის ერის შინაგან ბედნიერებას. აქვე აღვნიშნავ, რომ ერისა და ოჯახის ბედნიერება თითქმის თანახვედრია, ხოლო თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა, სადღაც არ ყოფილხარ უანგარო. თანამედროვე ახალგაზრდობაში და არა მარტო მათთან, ორი ერის ფრიად გაქსუებული ზეპირსიტყვაობაა უჩემოდ ვინ ჭამაო, უჩემოდ ვინ დაჯილდოვდაო, ვინ დაწინაურდაო, ვინ რა შეიძინაო ან რა ჩემი საქმეაო, რაც არ მეხება არ შემეხებაო, ჩემს იქით ყველაფერი არამიაო, ჩემი ღმერთი სულ ერთიაო.

ჩვენ იმედდაკარგული ახალგაზრდობა არა გვყავს, მაგრამ ზოგთა შორის წინგაუხედაობა, მიკერძოება, შურის თვალი დატრიალდა, ბევრის თვალში შრომას დაეკარგა მადლი და ღირსება. გაჩნდნენ თვითდინებას მიმყოფნი. ჩვენი საუკუნის ცხოვრებაში კი თვითდინება ჭაობით თავდება. უკვე დაგვიქვეითდა ახალგაზრდობის ნაწილის კდემამოსილება, თავმდაბლობა, გულფაქიზობა, თანაც ახალგაზრდობასთან ერთად დაგვაკლდა საზოგადოებრივი თვალთხილვა და საერთო საქმის ჩვენი საქმედ ჩათვლა. მე აღარას ვამბობ იმ მცირერიცხოვან ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც ვერ საკუთარ მუცლისათვის ვერ მოუვლიათ, მუქთახორობენ, ლოთობენ, ნარკომანობენ, თავის თავსაც არცხვენენ, თავის ოჯახებსაც, თავის ერსაც. მათთვის სამშობლო ფუჭი სიტყვაა, არავითარი ცა ქუდად არ მიაჩნიათ და არავითარი მიწა – ქალამნად.

ჩვენ გვყვანან მოწინავე ახალგაზრდები, დღეს თუ ხვალ ისინი ჩაუდგებიან სათავეში ერს და გასწევენ თავის თაობის ჭაპანს. ამაში არავის არ ეპარება ეჭვი, მაგრამ არიან გადაგვარებულნი, სულიერად შემახინჯებული, გაცულებული მოდის მონა ახალგაზრდები. რა თქმა უნდა, ისინი ვერ ქმნიან ერის ახალგაზრდობის ამინდს, მაგრამ ამდაბლებენ მათ საერთო ღონეს, ბოლოსდაბოლოს მოკლე კაბასა თუ გრძელ კაბას კი არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, არამედ მოკლე ჭკუასა და გრძელ ჭკუას, მოკლე სულსა და სულგრძელობას. სად არის ყოველ ახალგაზრდის გული აჟღერებული? დაე, ყველამ გასცეს თავის თავს ჩუმი პასუხი, როგორ შრომობს, როგორ სწავლობს, როგორი ოჯახი შექმნა თუ აპირებს შექმნას. რამდენი შვილი გააჩინა, რა სიკეთეში წააჭარბა წინაპრებს, რა იდეალები აქვს, უყვარს თუ არა სამშობლო, მისი ლამაზი მთების ხარჯზე თუ სწადს ახლა ამ მოღური, მანკიერი იდეალები, თუნდაც მის მიერ პროგრესულად წოდებული.

სამშობლო ჩვენი საერთო უკვდავების მუდამ მზარდი და მუდამ მეტყველი ძეგლია. ეს არც თუ ისე რთული აზრია. ჩვენ ყველანი მოკვდავნი,

წარმავალნი ვართ, ხოლო ჩვენი წილი შრომისა, შემოქმედებისა, სახელოვანი ოჯახის შექმნისა თუ უანგარო საზოგადო მოღვაწეობისა, ის წარუვალი უკვდავი ნაშთია, რაც ჩვენად რჩება და უერთდება ჩვენ სამშობლოს, მომავალს, მაგრამ ამას კეთილად მოპოვება უნდა. ჩვენ, ჩვენი შეგნებული ცხოვრებით, საქციელით, ზნემაღლობით, ღმერთმა ნუ ქნას უზნეთა უკვდავება და მე ვშიშობ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ფრიად დაშორდა ამ ნათელ გზას. ახალგაზრდობის ირგვლივ დიდი წინდანედულობა არის საჭირო, დიდი ღმობიერება, მაგრამ გაუსწორებელთა მიმართ დიდი სიმკაცრე. არის კიდევ ჩვენთვის ლამაზ მთების სიმაღლისა და მნიშვნელობის ამოცანა – ქართული ენის წმინდად და ფაქიზად დაცვა. საოცარია, რომ ამაში თითქოს არავის არ ეპარება ეჭვი. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართული ენა მარტო მეცნიერებათა აკადემიისა თუ მწერალთა კავშირის ენა როდია, არამედ ჩვენი ეროვნული, სახალხო და სახელმწიფო ენაა.

აბა, დაუკვირდით, რა ხშირად ირღვევა და მახინჯდება იგი. მე არა პროვინციალიზმებს ვგულისხმობ, რაც აგრეთვე, დროა სულ მოვიშოროთ. ჩვენ უძველესი, მდიდარი, კეთილხმოვანი, რა მეტყველი ენა გვაქვს ლიტერატურულად დამუშავებული და დახვეწილი, დინამიკური, შინაგანად მზარდი და უნდა მოუუაროთ მას. წიგნებსა და, აბრებსა და რეკლამებზე, დაწესებულებებსა და მიმოწერაში, სკოლასა და ოჯახებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ ენის გაჟარგონება, უცხოური სიტყვებით აჭრელება, გალაზღანდარება. ქართველებისათვის სრულიად საჭოჭმანო ენის გაბილწება და გინებით ავსება. დედამიწაზე ორიათას ენაზე მეტია, ასეთი მრავალფეროვნება გასაგებია. ყოველი შემოქმედი ეთნიკური ჯგუფი გულისხმობდა და ჰქმნიდა თავის ენას. ეს იყო იმ ერის გენიალური აქტი.

კაცობრიობა მრავალმეტყველია. ქვეყნად მხოლოდ მამლები ჰყვიან ერთნაირად. ენა ხომ ამა თუ იმ ერის ამეტყველებული ადამიანობა, ისტორია და მიწა-წყალია. ჩვენ, ქართველები, ჩვენს ენას დედა ენას ვუწოდებთ. რამდენადაც ვიცო, არცერთ სხვა ენას ასეთი თბილი, პირდაპირ საალერსო სახელი თავისთვის არ მოუპოვებია. ახლა კი, ზოგი, სხვა ენის ცოდნის გამოსაჩინად, შეუგნებლად და უმსგავსოების მიხედვით ფარცხავს ყველაფერს. მრავალი ენის ცოდნა დიდებულთაა. რამდენ ენას ფლობ, იმდენი ხელი გაქვს, მაგრამ მშობლიური ენა თუ არ იცი, შეიძლება ბევრი ხელი გაბია და გული კი არა გქონია. ჩვენი დედა ენის აჭრელება ყოფაში გადადის და სამიმ ხასიათს იღებს. ყველას უნდა გვანსოვდეს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, ხვალინდელ ქართლის პატრონებს, რომ არც ენაა მარტო ენა. ერთხელ, მოგზაურობისას, ამბროლაურში მცირე მაღაზიაში შევედი, ასანთი დამჭირდა. ახალგაზრდა ქალი დამიხვდა, ვერ გამიგო.

– რა გნებავთ? – განმეორებით შემეკითხა.

– ასანთი-მეთქი, ასანთი, – ნაწყენად ვუპასუხე. ქალი წავიდა და სანთელი მომიტანა.

– მე ასანთი მინდა და არა სანთელი, – უკვე შევეუტიე.

– ვერ გავიგე რა გნებავთ, – გულახდილად მითხრა.

– სპიჩკა, – შევძახე.

– ეგრე გეთქვათ, თორემ რუსული ქვე არ ვიცი მე, – გაღიმებით მიპასუხა და ასანთი მომაწოდა.

მეორე შემთხვევამ უფრო დამწყვიტა გული. „გმირთა ვარამს“ ვწერდი. ყადორზე ავედი. კახეთ-დაღესტანს შორის კავკასიონის გადასავალზე მეცხვარეს შევხვდი, ბრგე ვაჟკაცს; ტყაპუჭი მოერგო ახალუხზე, სატყეარი მუხლის თავს ჩასცილებოდა, დიდ კომბალზე ხელები დაეღო და ცხვარს დინჯად მოუძღვებოდა.

– გამარჯობა, ძმაკაცო, მაშ ცხვარს უკვე მოდენით ბარში? – მივესალმე და კეთილქართულის იმედით მასთან საუბარი გადავწყვიტე.

– გაგიმარჯოს, უჟე მოვდივართ, ცხვარსა მოვდენით, მაშა! – არ მოველოდი.

– რა უჟე, რა ქართულია! – ნაწყენად ვუთხარი.

– მაშ როგორა? – გაიკვირვა და გამიღიმა.

– უკვე, კაცო, უკვე და არა უჟე.

– იპ, ეს თქვენებური იმერული ქართულია. – ახლა კი გული მომივიდა და შევეუტიე, ერთი-ორი მწარე სიტყვაც კვადრე, გულუბრყვილოდ გაიცინა და დამიყვავა.

– ოო, კარგი, კარგი, მინავათი ვარ, რამ გაგაჯავრა?


– ოო, შენც შეგარცხვინე და შენი მინავათიც! – შევძახე და გავეცალე.

შორიდან უნებურად მოვიხედე, კიდევ იდგა და კეფას იქექდა, ვერც გაეგო რა მაწყენინა ასეთი.

კიდევ ერთი შინაგანი კულტურის უტყუარი ნიშანი აქვს ქართველ ხალხს – ზრდილობა. მას ღრმა ფესვებიც აქვს და დიდი მნიშვნელობაც.

ახლა ჩვენს ზრდილობას ახალგაზრდულ წრეებში, პირდაპირ უნდა ვთქვა, შავი დღე დაადგა. სადღა არის ღირსეული თავის დაჭერა, თავაზი, მოხუცისთვის ადგილის დათმობა, ქალისა და ბავშვის პატივი, კეთილი ქცევა, საღამი, გულითადობა და ა.შ.

იქნებ ზოგთა ზრდილობა ჭადაროსანთა თავშესაფრად მიაჩნიათ, მოძველებულ პროვინციულობად და თავისთვის არასავალდებულოდ? თუ ოჯახიდანაა გაყოლილი მართლაც და უზრდელობა, უკვე ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებს გამოდის და ერის თავაზსა და ღიმილს სპობს. ესეც ყოვლად დაუშვებელია და სხვა ზნეობრივ მანკიერებებთან ერთად უნდა მოვიშოროთ, უნდა უსათუოდ გავაახალგაზრდაოთ ზრდილობა. ვფიქრობ, ჩვენ საერთოდ, ყოველდღიურ რთულ და მოძრავ ცხოვრებაში სათანადოდ ვერ ვითვალისწინებთ ახალგაზრდების ლტოლვას. მათ კი ამ ლტოლვებიდან ებადებათ ხასიათი და იდეები, უყალიბდებთ მისწრაფებანი და იდეალები. უნდა მოვეუსმინოთ, ვენდოთ ახალ თაობას. ახალგაზრდობისათვის ყველაზე უარესი მდგომარეობაა უმოქმედობა. არის კიდევ ერთი დიდი ფაქტორი ახალგაზრდობაზე თავზე მოუხვევად ზეგავლენის მოპოვებისა და კეთილ ზემოქმედებისა. ეს გახლავთ არა მოყირჭებული ჭკუის დარიგება, ხელაღებული ძაგება ან დაუმსახურებელი ქება, არამედ ცოცხალი მაგალითის ჩვენება გამბედაობისა, გმირობისა, გამჭრიახობისა, სამართლიანობისა, ნიჭისა და გულწრფელობის დაფასებისა, მეგობრობიდა და ათასი სხვისა და არა მარტო იმიტომ, რომ ახალგაზრდამ მას მიბადოს, არამედ, რომ ხელშესახებად დარწმუნდეს, დაიჯეროს ის, რაც მხოლოდ დასაბუთებულია და რჩევით ვერ ირწმუნა. ორთავ თვალით დაინახოს, თავის ხელით შეეხოს, გული მოითბოს და აქ კიდევ ერთხელ დგება უფროსი თაობის მოვალეობა – მაგალითობა გასწიოს. ჩვენი ერის მომავალი ამას მოითხოვს.



პატივცემულო მკითხველო! თავის ერსა და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ზნეობით შემკული და შეუბღალავი ღირსების მქონე პიროვნება, მწერალი ლევან გოთუა, მთელი სიცოცხლე მუდმივი თვალთვალისა და რეპრესიების ქვეშ იმყოფებოდა. ცხოვრების მესამედი – 22 წელიწადი გადასახლებებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, სიკვდილმისჯილთა საკანში ჩაბორკილმა გაატარა, მაგრამ ვერ გატეხეს, ვერაფრით დააშინეს. მან ბოლომდე შეინარჩუნა თავისუფალი ადამიანის უკომპრომისო ხასიათი. ბუნებით მორცხვი, მოკრძალებული პიროვნება ცეცხლს ანთებდა, როცა საქმე მისი სამშობლოს, მისი ხალხის ბედს შეეხებოდა. უდიდეს მოაზროვნეს, არ უჭირდა იმის განჭვრეტა და წინასწარმეტყველება, თუ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რა ბედი ელოდა მის ქვეყანას. ზემოთ მოტანილი მის მიერ თითქმის ნახევარი საუკუნის

წინათ ნათქვამი ისე ზუსტად გამოხატავს ჩვენს დღევანდელობას, რომ შეუძლებელია არ აღელდე და სრულად არ დაეთანხმო მწერლის ნაზრევს. ლევან გოთუას ეს ტკივილი და სულის ყივილი ყველამ უნდა საკუთარი გულის ფიცარზე დაიწეროს, განსაკუთრებით ხელისუფლებაში მყოფებს უნდა ახსოვდეთ დიდი მამულიშვილის შეგონება: „თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა, არ ყოფილხარ უანგარო“. სამშობლოს მივხედოთ, ქართველებო, ბოლომდე გავიაზროთ ლევან გოთუას ეს ანდერძი.

პუბლიკაცია მოამზადა და კომენტარი დაურთო ივანე ჯავახიძემ

ირაკლი ფარჯიანი

ირაკლი ფარჯიანი 80-იან წლებში გამაცნო უახლოესმა მეგობარმა ნინო ღალანდიძემ. ისინი ერთ პერიოდში სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში; ირაკლი – ფერწერაზე, ნინო – ხელოვნებათმცოდნეობაზე. თუმცა, ირაკლი რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩვენზე.

მე და ნინოს ბავშვობიდან ერთი წრე გვყავდა ნაცნობ-მეგობრების. სულიერი ცხოვრებით ვცხოვრობდით, გვიყვარდა კითხვა, თეატრი, მუსიკა, გამოფენები. სუფრასთანაც კი ჩვენი საუბრის თემა, ძირითადად, შემოქმედება იყო.

ლამაზად მახსენდება სტუდენტობისას ირაკლისთან ერთად გატარებული დღეები თამრიკო ხუნდაძისა და ქეთი აბაშიძის ოჯახებში. საინტერესო მოსაუბრე იყო, არ მოგწყინდებოდა მასთან, პირიქით, ბევრს ვხალისობდით... იყო განათლებული, მგრძნობიარე, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული და ლალი.

ჩემთვის და ნინოსთვის. ასევე, სხვა ამხანაგებისათვის ეს ბუნებრივი მდგომარეობა იყო, რადგან გამოვლილი გვქონდა მშვიდი, ბედნიერი ბავშვობა, უპრობლემო და სისხლსავსე ახალგაზრდობა. ოჯახისგან განებივრებულნი და უდარდელნი ვიყავით.

ეს არ ითქმოდა ირაკლიზე. განებივრებული სულაც ვერ იყო, სამისოდ არც ჯანმრთელობა უწყობდა ხელს, არც პირობები. პირიქით, ის ყოველდღიურ ბრძოლაში იყო რეალობასთან. მისი ხანმოკლე ცხოვრების გზა სავსე იყო განსაცდლებით, რომელთაც ღირსეულად უმკლავდებოდა. და მაინც ახერხებდა ყოფილიყო მომცინარი, სხვისთვის უპრობლემო.

ეს ბუნებით ბოძებული სილაღე, ალბათ, კიდევ ერთი ნიჭი იყო თვითყოფადი ხელოვანისა.

1982 წელია. ნინოს დაბადების დღე, 23 წლის გახდა, მის ოჯახში ხილიანის ქუჩაზე, მშვენიერი სუფრაა გაშლილი. ნინოს მეგობრები არიან, ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები. ირაკლის ველოდებით, რომელიც აგვიანებს. მას თურმე ჩაუფიქრებია ნინოს პორტრეტის დამთავრება იმ დღისთვის. როგორც იქნა, ირეკება ზარი, შემოდის მხატვარი, ჩალისფერ ქურთუკში, ფერმკრთალი და დაღლილი, მაგრამ ისეთი ბედნიერი სახე აქვს... ხელში ძვირფასი საჩუქარი უჭირავს, ნინოს პორტრეტი, მაინც ხომ მოასწრო!

აგერ 35 წელია ეს სურათი, ირაკლის სხვა ნამუშევრებთან ერთად ნინოს სახლის კედელს ამშვენებს. იმ დროს ვერც აღვიქვი სათანადოდ, შესაბამისი აღფრთოვანებაც არ გამომიხატავს.

არადა, რა სწორადაა დანახული. უახლოეს მეგობარს წლების მერეც რომ მათქმევინებს – ნინო, ნამდვილი ნინო! 23 წლის, წითელ სარაფანში, ხვეული თმით, ოდნავ შეფაკლული ლოყებით,



მომავლის იმედით, ახალგაზრდული ფრენის სურვილით და, რაც მთავარია, სინათლით... ეს ის სინათლეა, რომელიც ირაკლი ფარჯიანმა, როგორც პიროვნებამ და მხატვარმა, ასე უხვად შემოიტანა თავის თაობასა თუ შემოქმედებაში.

რამაზ ჩხიკვაძე

საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ მსახიობს, ვვიქრობ, წარდგენა არ სჭირდება. მაყურებელმა თავიდანვე მთელი გულით შეიყვარა მისი კინოსა თუ თეატრში განსახიერებული სახეები.

გურამ პატარაიას ფილმში „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ რამაზ ჩხიკვაძე მთავარი მეხანძრის როლს ასრულებს.

იმ პერიოდში, ბუნებრივია, მათ ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ და წლების შემდეგაც იხსენებდნენ გადაღების ბევრ სახალისო მომენტს.

ყველაზე ხშირად ერთ ამბავს ყვებოდა ბატონი რამაზი. კახეთში, ფილმის გადაღებისას, შესვენებაზე, როგორ ერთი თვალის დახამხამებაში შეავსო გურამმა კროსვორდი: „არ გამაგიჟა კაცი! სხაპასხუპით ხომ ჩამოარაკრაკა სახელმწიფოები, ქალაქები, ერთი ქიმიური ელემენტის მეორესთან შეერთების შედეგად რა მიიღება, იმასაც არ უპასუხა? ერთი საათი მამახებინა – გურამ, რა მაგარი ხარ! რა ნიჭიერი ხარ!.. ოჰა! თურმე გვერდით გახეთის მეორე ნომერი უდევს პასუხებით“, – ამას ისე გემრიელად ყვებოდა, თვითონვე ეცინებოდა.

ერთხელაც, მას სოვს გურამთან სტუმრად მოსული რამაზი. მაშინ გურამი ბინის მიღებას ელოდა და დროებით ჩვენს ბიძაშვილებთან, მიქაძეებთან ცხოვრობდა ათარბეგოვის (ახლანდელ ზუბალაშვილების) ქუჩაზე. იმ დღესაც კახეთიდან იყვნენ ჩამოსულები, გზად სახაშე მასალა უყიდიათ და გაუყვიათ. გურამის თხოვნით, ოჯახის უფროსმა ევგენი მიქაძემ დიდი ქვაბით მთელი ღამე ხარშა, სტუმრები დილიდანვე რომ მისხდომოდნენ

სუფრას. მართლაც, მოვიდნენ: რამაზი, თემო ჩირგაძე, თემო ნაცვლიშვილი და ჩემთვის უცნობი მამაკაცი, რომელიც მასსოვს, კარგად მღეროდა. კარგად მოიღვინეს და იმხიარულეს. გვიანობამდე გაგრძელდა სუფრა. ბოლოსკენ, გემოვნებიანი, ქალაქური სიმღერების შემდეგ ბატონმა რამაზმა ექსპრომტად სიმღერა წამოიწყო: „ეს იყო მაშინ, მიყვარდა ხაში“. სხვებიც აყვნენ. თემო ჩირგაძე როიალს მიუჯდა და, როგორც ჩვეოდა, ჩვენს თვალწინ ახალი მუსიკალური იმპროვიზაცია დაიბადა, რომელსაც რეფერენად მისდევდა – „ხაში, ხაში, მაშინ, მაშინ“.

წასვლისას ბატონმა რამაზმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა და ეგვენს უთხრა: „დიდი მადლობა, ბატონო. მასპინძლობისთვის, რაც მართალია, მართალია, ასეთი დრო ხაშივე არასოდეს გამიტარებია, ჩემი წილი ხაშიც თქვენ უნდა მოგართვათ“.

– მაშინ მხოლოდ თქვენთან ერთად – მასპინძელმა.

შეთანხმდნენ, რომ მეორე არა და, მესამე დღეს ისევ იქ შეიკრიბებოდნენ. ამ წინადადებას მორიგი სიმღერა მოჰყვა ექსპრომტად, ამჯერად, რამაზის სოლო შესრულებით: „რეპეტე... რეპეტე...“

იმ დღეს ბევრ სხვა რამეზე იყო საუბარი, ყველაფერს ვერც გაიხსენებ, ვერც მოყვები. იმ დროს, სკოლის მოსწავლე ვიყავი.

ისე კი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოვლენა, საქციელი ან სხვა რამე. ხასიათის განხილვაში ძალიან გვეხმარება. საბოლოო პორტრეტის შესაქმნელად თითოეული შტრიხი მნიშვნელოვანია, მით უფრო, როცა საქმე საზოგადოების რჩეულ პიროვნებას ეხება.

ჩვენი პაწაწუნა ისტორიებიც ამ მიზანს ემსახურება..

თამაზ ჩხენკელი

შთამბეჭდავი გარეგნობა ჰქონდა თამაზ ჩხენკელს. ლამაზი, ამავე დროს, გაუკაცური. არავის ჰგავდა, გამოირჩეოდა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით, ქცევით, საუბრის მანერით, ხასიათით. ახალგაზრდებთან ურთიერთობა ეხერხებოდა, რაც მთავარია, როგორც თანატოლებს ისე გვექცეოდა. მის უფროს ქალიშვილთან, გვანცასთან, სტუდენტობიდან მოყოლებული ვმეგობრობდი. ჩემი უფროსი შვილის ნათლიაც არის მათი ციციშვილთან ერთად. იმ პერიოდში მე და მათი ცხაკაიას ქუჩაზე, მათი სახლის ხშირი სტუმრები ვიყავით.

იმ დროს, როგორც იტყვიან, პატარა იყო თბილისი. ჩვენი მეგობრების მშობლები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ჩემს დანახვაზე ბიძია თამაზი დიდი სითბოთი იხსენებდა ჩემს მშობლებთან ერთად გატარებულ დღეებს. ჩემთვის ეს მოგონებები განსაკუთრებით ძვირფასია, უბრალოდ, ეს უკვე სხვა საუბრის თემაა და შორს რომ არ წაგვიყვანოს ჩვენს თემას დავუბრუნდები.

ერთხელაც, მე, გვანცა და თამაზ ჩხენკელი ბიძაჩემს, გურამ პატარაიას ვესტუმრეთ დიღუბის

სახლში, მირცხულავას ქუჩაზე. გურამი გველოდა. შინდისფერ პულოვერში გამოწყობილი ძალიან სიმპათიურად გამოიყურებოდა. თამაზიც რაღაც განსაკუთრებულად ლამაზი იყო იმ დღეს. მთელი ღამე საუბარში გავატარეთ. ადვილი წარმოსადგენია, რა საინტერესო იყო მათ საზოგადოებაში ყოფნა. შემოქმედი ადამიანები თავისუფლების ხარისხით და ცხოვრებისეული აზარტით ყველასგან განსხვავებულები არიან. ჩართული იყო მუსიკა დაბალ ხმაზე, ბარბარა სტრეიზანდის ერთი ცნობილი სიმღერის ფონზე ცოტა ვიცეკვეთ კიდეც. მე და გვანცა ბევრს ვხითხითებდით, გულში გვევამყებოდა ასეთი კაცების გვერდით ყოფნა, მით უფრო, რომ მათი სისხლისა და ხორცის ნაწილი ვიყავით.

ყველა შეხვედრას რა გაიხსენებს, ან რომელი ერთი გამოვარჩიო?..

აი, თუნდაც, კიდეც ერთი საღამო. ჩხენკელებთან სუფრაა გაშლილი, ძალიან გემრიელი და მიმზიდველი, მართლ მათთან რომ შეხვდები ისეთი კერძებიცაა. ოჯახის ყველა წევრი სახეზეა: თამაზი ბიძია, ლილი დეიდა, გვანცა, მაშინ პატარა ნათია, ხანდაზმული ბებიები – ატა და ელა. თამაზის ძმა შალვაც მოვიდა, არაჩვეულებრივი ექიმი და პიროვნება, კლასიკური მუსიკის დიდი მოტრფიალე. მისი თანდასწრებით გარდაუვალი იყო ოპერაზე საუბარი, თან ჩვენც მოყვარულები და ხშირი სტუმრები ვიყავით ოპერის თეატრისა.

მასსოვს, პუშკინის პატარა პიესების თამაზისეულ თარგმანზეც ვისაუბრეთ. შემდეგ ბატონმა თამაზმა სიყვარულის სადღეგრძელო წარმოთქვა. რამდენჯერმე შეყვარება კარგია, საინტერესო რამეაო, სამომავლოდ რომ იცოდეთ, გარკვეული დროის მერე ცოლ-ქმარმა უნდა გააცოცხლოს სიყვარულიო... ჩვენ ხომ ასე ვიყავით? – მიმართა თავის უერთგულეს მეუღლეს, ლილის. ამ სადღეგრძელოს ელა ბებიას კომენტარი მოყვა ძველი დროის არქივიდან და შალვა ბიძიას დარიგება: გოგოებო, არ დაიწყეთ თეთრ რაშზე შემჯდარი უფლისწულის ლოდინი, წესიერი კაცი ნახეთ და შექმენით ოჯახიო.

იმ ღამეს მე და მათი გვანცასთან დავრჩით. ღამე საუბარში გავათენეთ, შუადღემდე ვიძინეთ... მაშინ ასეთი გრაფიკი გვქონდა, ერთმანეთთან დარჩენაც გვიყვარდა და კარგი გამოძინებაც.

წამოსვლისას ბიძია თამაზმა ახალი გამოცემული კრებული მაჩუქა თავისი ლექსებისა. არ დავმალავ, სტუდენტი ვიყავი, ჯერ ბევრ რამეში გამოუცდელი, სხვა ტიპის წარწერას ველოდი, დაახლოებით, ალბათ, ასეთს – საყვარელ თამრიკოს, ჩემი შვილის მეგობარს... ან, ჩემი მეგობრების შვილს.. მოკლედ, ისეთს, ყველა ყველას რომ უწერს, მე კი, იშვიათად ვინმე ვინმეს რომ უწერს, ისეთი მომიძღვნეს. ამას მოგვიანებით მივხვდი, როგორ შეიძლება წინადადებაში ჩაატო სიყვარულის მარადისობა:

თამრიკოს –

ყველაფერი ეს იყო, და ყოველთვის იქნება – სიყვარულით თამაზისგან.

1980.

ხელოვნური გულით ვერ იცხოვრებდა...



ნოდარ დუმბაძე და მურმან ლებანიძე

მოსწავლე ვიყავი, ერთხელ ჩემმა დამ, დალიმ სახლში თხელკანიანი წიგნი მოიტანა და სულმოუთქმელად დაიწყო კითხვა. კითხულობდა და თან გულიანად იცინოდა. დავინტერესდი, რა იყო სიცილის მიზეზი, მაგრამ კითხვით გართულმა წიგნი არ დამანება. მხოლოდ მაშინ შევძელი წიგნის ხელში ჩაგდება, კითხვა რომ დაასრულა. შევხვედი წიგნს და მაშინ ჩემთვის უცნობი გვარ-სახელი ამოვიკითხე – ნოდარ დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მეც იგივე დამემართა, რაც დალის, ვკითხულობდი და ვხარხარებდი. როცა დავმშვიდდი, მივხვდი, რა დიდი დარდი და ტკივილი იყო ნაწარმოებში და როგორ ნიღბავდა ყოველივე ამას იუმორით მწერალი.

ასე შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში ნოდარ დუმბაძე და სამუდამოდ დამკვიდრდა, როგორც ეროვნული, ნიჭიერი, კოლორიტული მწერალი. მალე მთელ საქართველოს მისი სახელი ეკერა პირზე. წარმატებით იდგებოდა მწერლის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სცენებზე. ქართველი ბებია – სესილია თაყაიშვილი ყველა ეროვნების ადამიანისთვის საყვარელი ბებია გახდა.

შემდეგ იყო „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირალები“, „მარადისობის კანონი“, შესანიშნავი მოთხრობები და წერილები, საბავშვო ლექსები.

ნოდარ დუმბაძეს პირველად ჩემს მშობლიურ რაიონში, ხარაგაულში შევხვდი. რაიონული ბიბლიოთეკის დირექტორმა, შესანიშნავმა ქალბატონმა ლილი ბაქრაძემ რაიონში მოიწვია ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი.

ხარაგაულს ეწვივნენ: ნოდარ დუმბაძე, მურმან ლებანიძე – მეუღლით, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელგუჯა მარაძე – მეუღლით და ლადო მრელაშვილი.

ქალბატონმა ლილიმ მეც დამპატიჟა, უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა, ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ ბუმბერაზი ადამიანების გვერდით ყოფნა, სიტყვით გამოსვლა.

თბილი სალამო გაიმართა მაშინდელი კულტურის სახლში. რაიონი მოეფერა სასახელო სტუმრებს. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა მათ შემოქმედებაზე.

სუფრა ბუაჩიძეების ოჯახში გაიშალა. არაჩვეულებრივი საზოგადოება შეიკრიბა. იყო იმერული, გულთბილი მასპინძლობა, ფრთიანი სადღევრძელოები, სიმღერა, ლექსი და, რა თქმა უნდა, იუმორი, რაშიც ნოდარ დუმბაძეს ვერავინ შეედრებოდა. უამრავი კურიოზი გაიხსენა. ყველაზე მეტად ერთი დამამახსოვრდა: მწერლები მთაში წავედით, მწყემსებთან და ჩვენი წიგნები წაუვლეთო, გაიხსენა ნოდარმა. შეხვედრას ტელევიზია იღებდა. მწყემსებს წიგნები გადავცით. ერთი ახალგაზრდა მწყემსი ეუბნებოდა თურმე, თქვენ მოცილილები ხომ არ ხართ, ეს წიგნები რომ წავიკითხოთ, ჩვენს ცხვრებს თქვენ მომწყემსავთ? სულ მგლები დაგვიჭამენო (ტელევიზია სინქრონულად იღებს, შემდეგ კი ხმა დაიდება).

მეორე დღეს ვუყურებ გადაცემას (ილიმება ნოდარი) და მესმის დიქტორის ხმა, მწყემსები ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ მწერლების სტუმრობით, პირობა მისცეს, ყველა წიგნს სულმოუთქმელად წავიკითხავთ, ოღონდ მომავალში კიდევ მოგვაწოდეთო.

როგორც ჟურნალისტი, რამდენჯერმე შევხვდი მწერალს. ახალი დანიშნული იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ინტერვიუსთვის რომ მივაკითხე, გულთბილად მიმიღო. როცა გაიგო, საბავშვო გაზეთიდან ვიყავი, ჩვენი რედაქტორი ვანო ცერცვაძე მოიკითხა, პროფესიონალიზმისა და მოზარდ თაობაზე თავდადებული ზრუნვისთვის შეაქო.

შინაურივით გადამიშალა გული. ჯანმრთელობას უწიოდა, ძალზე დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრაო, მითხრა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტი, პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდ ძალისხმევასაც მოითხოვსო. უარს ვამბობდი, მაგრამ ეღუარდ შევარდნაძე (საყოველთაოდ იყო ცნობილი მათი მეგობრობა) არ მომეშვა, შენ უნდა უწინამძღოლო ქართულ მწერლობასო. მეტი რა გზა მაქვს, უფლის შემწევობით, უნდა შევძლოო. უფლის რწმენა და ბიბლიის სიყვარული მაშინაც ჰქონდა ნოდარ დუმბაძეს, როცა ქვეყანა ათეისტებით იყო სავეს და ეკლესიაში შესვლას გვიკრძალავდნენ.

ბატონო ნოდარი ჩვენი რედაქციის საქმიანობით დაინტერესდა. მას ძალიან უყვარდა ბავშვები და ბევრს ფიქრობდა მათზე. ამერიკაში ახალი ნამოგზაურები იყო, აღტაცებას ვერ მალავდა „დისნეი-ლენდით“, სადაც ბავშვებისთვის გაცოცხლებულია ყველა ამერიკული სათავგადასავლო წიგნი, ხდება უამრავი ამბისა და მოვლენის იმიტაცია. მეცოდება ის ბავშვი, რომელსაც ეს ზღაპრული ქვეყანა არ უნახავსო, მითხრა მწერალმა და დაამატა, ქართველ ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თავიანთი „დისნეი-

ლენდიო“. ალბათ, ამ მიზანს ემსახურებოდა მისი იდეა – საბავშვო ქალაქ „მზიურის“ მშენებლობისა, რომელიც დიდი ენთუზიაზმით დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მწერლის ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ მივიდა...

ნოდარ ღუმბაძე, ანდერძის თანახმად, სწორედ „მზიურში“ დაკრძალეს, მაგრამ მისმა სახელმა დროის გამოცდას გაუძლო და ქართველმა ერმა იგი მთაწმინდაზე აიყვანა.

ერთხელ, ფოტოკორესპონდენტ გენადი სანაიასთან ერთად, მწერალს შინ ვეწვიე. ნოდარ ღუმბაძე შვილიშვილთან ერთად უნდა გადაგველო და ფოტო საგაზეთო წერილთან ერთად დაგვებეჭდა.

იმ დღეს მიაამბო ბატონმა ნოდარმა ბავშვობისდროინდელი ანცობის – თხილის ქურდობის ამბავი. მეგობრებთან ერთად თხილი მოუპარავს. მეველეს დაუჭერია, მაგრამ ბავშვებს არ უღიარებიათ თხილის ქურდობა. მეველეს ნოდარისთვის უთქვამს, ქიშვარდის შვილიშვილს ეს არ გეკადრებაო, გასსოვდეს ბაბუ, შუბლის ძარღვს გაუფრთხილდი, თუ ერთხელ გაგიწყდა, წასულია შენი საქმე, ველარაფერი გიშველისო.

ძალიან დამაფიქრა ბრძენი მოხუცის სიტყვებმა, იმ დღის შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობ, შუბლის ძარღვი რომ არ გამიწყდესო, დაასრულა საუბარი ბატონმა ნოდარმა.

თვალთ მწერლის შვილიშვილს ვეძებდი. არადა, წინასწარ გავაფრთხილე ბატონო ნოდარი. ბავშვი არ ჩანდა. შევეკითხე, სადაა-მეთქი, ბებიასთან (მამის დედასთან) წაიყვანესო. ბავშვის მამა, ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერალი ჯემალ თოფურაძე ტრაგიკულად დაიღუპა. შვილიშვილი, ძირითადად, დედის – მანანა ღუმბაძის ოჯახში იზრდებოდა. პაუზის შემდეგ ბატონმა ნოდარმა დაამატა, რომ იცოდეთ, როგორი სინარულით მიდის ხოლმე ბებიასთან, ეს ნამდვილად სისხლის ყვილიაო.

გამახსენდა ამ თემაზე დაწერილი მწერლის მოთხრობა, სადაც მთავარი გმირები ბაბუა და შვილიშვილი არიან.

ბატონმა ნოდარმა არც ახლა უღალატა თავის გულწრფელობას და მითხრა, არ მინდა ვინმემ თქვას, შვილიშვილს ავტორიტეტს უქმნის, ჯერ ბავშვია, გაიზრდება და საკუთარი სახელით იცხოვროსო.

კედელზე ათიოდე წლის ბავშვის სურათი ეკიდა. ჩემდაუნებურად ვკითხე, ბატონო ნოდარ, ეს თქვენი შვილიშვილია-მეთქი? სახეზე სევდამ გადაურა და წუთიერი პაუზის შემდეგ, არაო, მითხრა. ეს ჩემი გარდაცვლილი ვაჟიაო. შევწუხდი, შეკითხვით ტკივილი რომ მივაყენე მწერალს.

ბატონმა ნოდარმა თავისი მძიმე ბავშვობა გაიხსენა. მამა 1937 წელს დაუხვრიტეს, დედა დიდხანს იყო გადასახლებაში. როცა დაბრუნდა, ნოდარი უკვე დიდი იყო. ჰქონდა გაუცხოების გრძნობა საკუთარ მშობელთან, მაგრამ დაძლია.

მშობლების ფოტოები ეკიდა თურმე კედელზე. სურათში მამა ახალგაზრდა იყო, დედა ხანშიშესული. ერთხელ სტუმარს უკითხავს, ეს კაცი ამ ქალის შვილიაო? იმ დღიდან ორივე სურათი ჩამოვხსენი და შევიწინა, მითხრა.

კეთილი, გულიანი კაცი იყო ნოდარ ღუმბაძე. მისი წიგნებიც მას ჰგავს – სიკეთით. გული დაუმძიმა მძიმე ბავშვობამ, შვილის გარდაცვალებამ, სიძის ტრაგიკულმა აღსასრულმა, უამრავმა ცხოვრებისეულმა უსამართლობამ. არადა, გულის ნაწილს დებდა თავის ნაწარმოებებში, ყოველ სიტყვაში. უშურველად იხარჯებოდა.

ველარ გაუძლო ამდენს გულმა...

შეეცადნენ მის გადარჩენას, ხელოვნური გულის ჩადგმა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა.

ნოდარ ღუმბაძე ხელოვნური გულით ვერ იცხოვრებდა.

ერთი ლექსი

ჯაბა ლაბიძე

* * *

ბექა მარგიშვილს



საქართველოში კლავენ,
არ ააცდენენ მიზანს,
როგორც დასაკლავ კრავებს,
ერეკებიან გზიდან!..
საქართველოში სცემენ,
ღმერთთან იხდიან ბოდიშს,
რალა აზრი აქვს ცრემლებს,
როცა წყალივით მოდის!..
დადის ქალაქში მკვლელი,
ქალაქი იქცა მკვლელად,
ყველგან კილერებს ველით,
კილერები ვართ ყველა!..

ვიცი, რაც ვთესეთ, ვიმკით,
ემმასეული მძლავრობს,
არ შეუშინდე სიკვდილს,
ჩემო უმცროსო ძმაო!..
ვინ როდის წავა, შენ კი,
აღდგომის კვირა გერგო,
ქუჩაში დადის მკვლელი,
გადაარჩინე, ღმერთო!..
საქართველოში კლავენ,
არ ააცდენენ მიზანს,
როგორც დასაკლავ კრავებს,
ერეკებიან გზიდან!..

იანა ქალაბიძე

კოსმიური პაემანი

არავინ იცის,
როდის შეხვდება მზე, მთვარეს, როდის?
ვერ შეაკავებ ვარსკვლავთა ლიცლიცს,
ჟამია შფოთის.

ძველმოდურ კავებს, ვერ შეაკვეც
იცი, ურა კვიცს, გული ჰგავს უწყლო,
უჩინო ნაკვეთს

ზედ ფურცლობს მიწა,
და მზის ნაწნავებს დაასაფლავებს
მთვარეთა ქერქი, შენ ვერ მომგვარე
ნისლის კარეტა,

დუმილით მეტრფი.
არავინ უწყის, როდის შეხვდება
მზე მთვარეს, როდის?

შენი თვალების კოსმიურ სუსხით
უჩუმრად ვთრთოდი!
ამ სოფლად არა, ვერც იმ სოფლად
ვიგუებ ლოდინს,
ვარსკვლავთა კარავს, დიდგულა მთვარეს,
მზე ხვდება როდის?

ტერენტი გრანელს

მაესტრო! შეუძახე ღრუბლებს, თვალში წუხს
ლაჟვარდის მინორი, შენს სიკვდილს უფალი
დაესწრო, მწუხრს ერთვის: „მემენტო მორი“...

როიალს ასწევს მეკუბოვე, როიალს –
სასაფლაოს სინაზის, მზის ლოცვებს
სიჩუმეს უგროვებ სევდას ეგებები სინას
მთაზე

მკლავებს შეამველებ ღრუბლებს თვალებს –
საგიჟეთის კოცონს დარდი მონატრებით
დაიუბრებს,
ფერმიხდილს ვარდის თოვა მოგწონს!

შუბლზე ფიფქადნაწოლ ღრუბლებს ლაჟვარდი



ფიქრები ალტობს, ჯვარცმაა პოეტის აწმყო,
ღრო ჰგავს სიკვდილმისჯილ ალბომს!

მაესტრო! შეუძახე ღრუბლებს, თვალში წუხს
ლაჟვარდის მინორი, შენს სიკვდილს
უფალი დაესწრო,
მწუხრს ერთვის: „მემენტო მორი“.

მარო მაყაშვილს

თეთრ დოლბანდზე თებერვალმა იყვავილა,
დარუბანდის კარი გაითავზარა,
ტყვია კულულს დაუსისხლა ეგზომ ფრთხილად
ამორძალის სიკვდილს გლოვობს მაზარა!

თალხდაბურულ თბილისს თოვლი ეპირება,
ქარბუქები სისხლნიაღვრებს მიარღვევს,
იხმოდ კვდები, ვის იახლებს ფიქრის რემა,
ცრემლიც ხიშტის წვერზე გააპრიალეს!

საფლავიც არ დაგანებეს ჯალათებმა
ღრო აშმორდა ეშმას შემოსართავით,
მზეს დააკვდა უღმერთოთა ანათემა
სისხლის კევრში ჩაიბინდა ზამთარი.

თეთრ დოლბანდზე თებერვალმა იყვავილა,
დარუბანდის კარი გაითავზარა,
ტყვია კულულს დაუსისხლა ეგზომ ფრთხილად,
გმირის სიკვდილს დაეთოვა მაზარა...

იორდანესთან

იორდანეში განიბანა გალილეველი იესო,
დრო უმღვრიესი.
ბრბო – გალემილი უსინათლობით.
შორს ეკბატანა.
ჩემი ოფლით
იორდანეში ნეშომპალა ლეში ჰვიეს, იესო!
ვიწამე კერპი, ვიადამე, ვიანდამანტე,
წუთისოფლის ყრუ სვირინგები, მზე ვერ დავანთე,
შენს სისხლს და ხორცს რომ გვირიგებდი!
რომაელების შუბის ფერხით წავიფორხილე,
დროში შევშუპდი.
უფლის თვალში ვეძიე დირე.
ქარს, ატირებულ ეკლებად რომ იკლაკნებოდა,
– ხარ! – ჩავჩურჩულე,
იორდანესთან რეკლა კანკელი.
წუთისოფელმა დამნესტა და მეც ვიადამე,
ცოდვებს მიწყვი ვეანდამანტე,
მიწის მაცნემ სივრცის ბატონს რა დაგაკელი?!
იქ, ჩემს ძარღვებში იმცვრეოდა უხმოდ მერჩულე.
ცეროდენა სინათლის ჭავლში
ურღვევი სევდა ვერ მოვარჯულე.
იორდანეში განიბანა გალილეველი იესო.
დრო უმღვრიესი. ქერუბიმთა ჩუმი ოსანა.
ბრბო – გალემილი უსინათლობით.
შორს ეკბატანა.
ჩვენი ცრემლები
ქვიშის წვიმად დაგბნიეს გულზე, იესო!
ვიწამე კერპი, ვიადამე,
ვიანდამანტე წუთისოფლის ბრმა სვირინგებში
ვერ დავემალე ცოდვების ფანტელს...
მე ვიშვი წინათ, უდროობის ბზად ვირინდები,
ოდესმე იქნებ გზად შემომხვდე, იორდანესთან,
გალილეველო იესო!

მზის პეიზაჟი

მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა
რატომლაც წვიმას დაუტოვეს
ღუმილის ნება,
ზღვა მოვიკიდოთ ეულ ზურგზე,
დრო რომ გვექნება,
ზვირთი ამბობდა, მე წამოვედი მაშინ,
მზე რომ იასამნობდა...

უეცრად ფეხი წამოვკარი მზერათა უტყვ ქარს,
შენი სიტყვები მაგონებდნენ ნაწვიმარ სამხარს
ქვიშა რომ ფლობდა მე წამოვედი მაშინ,
მზე რომ იასამნობდა
რწმენაში ენთო მოარული ფერების ფეტვი
უხსოვარ ბგერებს
გავატანე, შენ რასაც მეტყვი
მზერა ცას თმობდა
მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა
უსიერ კლდეებს დამთქნარების წაჰგვარეს ნება
დროს რომ გავუსწროთ თუნდაც ერთხელ,
არ შეიძლება?
ზღვა გვიამბობდა.

ბედი ქართული

რუსულ ჭურვებზე მეტად მაშინებს
შინაგამცემთა ფარისეველობა,
გოლგოთად მაწევს თამარაშენი,
სისხლს ვერ შემიშრობს „ზრდილი“ ევროპა!
ჰო, რა შორია გმირ წინაპართა თავგანწირული
ჟინი მოგების,
ცრემლს დაულტვია ღვთისმშობლის კალთა,
გაქცევის ნაცვლად
ბრძოლა ეგების!
არდაუნჯება, რაც სისხლად მოგვდევს რკენა
ბოლომდე, თავშემართული, უფლის ცრემლია
საქართველომდე,
საზღვარჯვარცმული ბედი ქართლი!
ვის ხელში განვლევთ ათასწლეულთა
სისხლის კალო და ქარტეხილები,
ვის მივათვალო მარცხი ძლეულთა, მომავლის
მზედ თუ არ ველირები!
მე აქ სისხლი მდის,
შენ გემჩატება ქართული მიწა,
ზურგს მაქცევ უბრად,
ჩემი სიკვდილით რა გემატება?
აქ დარჩი, სადაც დღე მოიქუფრა!
ვაჭრობის ნაცვლად მშობლიურ ცარგვალს
ასგზის აკოცე, ჭირის მნახველო,
აქაურობა ღვთის კვართს წააგავს,
მტერს ნუ ახარებ, შესდექ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო !

შვილებს

მე წუთში ერთხელ გიკრავთ თასმებს,
სიმძიმეს მასმევს დრო,
ვინც არ ჰგავს მწირს, არც ფარაონს,
შეგიკრავთ თასმებს,
აქილევსის ტერფი შიშველი,
არ გამოგიჩნდეთ წუთისოფლის სააშკარაოდ!

პოეტებს

მამაკაც პოეტს არ ეჩქარება
სახლში, რომელშიც სულის ბკე ბინდობს,
ქალი პოეტი მოჰგავს ხარებას,
ბავშვების სუნთქვის მარილით მინდვრობს.
არც ერთი კაცი არ ეშურება
ოჯახურ ჭერის შერვეულ მაღლობს,
ქალი ზრდის ლექსებს სივრცის პურებად,
შვილად აიყვანს და უფალს მაღლობს,
რომ ჩასახვისას გარემოს ჯაბნის
და ქუჩის ხმაურს წვეთობით აშთობს,

პოეტი მუდამ სხვის სიზმარს ჯლაბნის,
სხვის სულს ყიდულობს –
გაქურდულ სამრობს ამსგავსებს მიწას,
მაგრამ ზეცაშიც იღბლის გარეშე
ქუდს ვერ აისვრის,
პოეტებს ნებავეთ ამ სამყაროში
მუდამ მიაგონ წილი კეისრის!
მაგრამ ცხოვრება არ ჰგავს ბალადას,
არც – სინამდვილის ჭიან საფულეს,
პოეტს, ვინც სიტყვას ვერ უღალატა,
მარადისობა აგაზაფხულებს.

საქართველო

ვით ირემს წყარო, მენატრება ჩუმი ლირიკა.
ამ საუკუნემ პოლიტიკა ჩამოგვირიგა.
თავი დაეხარო?
წინაპართა გენის მრცხვენია,
ქართული სისხლი
არც ერბოა, არც საფენია!
ვით ირემს წყარო, მენატრება ჩუმი ლირიკა.
ამ ჩუტყვავილა ჟამმა ყველა გვაპოლიტიკა.
შიშველ მეფეს ჰგავს საქართველო,
და თუ აცვია, –
მათხოვრულ ფულით დაკვეთილი ქუჩის აქცია.

ბაბა ბოთახთიანი



წერილი მამას

მოვედი და სამარესთან ჩამოვდექი ლანდივით,
წამოვმალე მაგ შენს გულზე
ბელურების ნადიმი...
შენს საფლავზე ყვავილები
გამოცოცდნენ ჩეროდან,
გამიცოცხლდი სულ ცოტა ხნით,
გნახო მამაჩემო და
გითხრა, როგორ დამილეწა
ბედის ქარმა გვერდები,
ნახე, როგორ დაგემსგავსე,
ერთნაირად ვბერდებით...
შენ რაც მითხარ და მასწავლე
გული იმით ივსება,
რომ არასდროს ვულალატებ
შენს სახელს და ღირსებას...
შემემშველე, რა ვუშველო
სულს ცოდვისგან ნაწვალეებს,
ყველას როგორ ვუერთგულო,
კიდევ ერთხელ მასწავლე...
სუსტი ვარ და მაპატიე, მიჭირს აღიარება,
რომ ძნელია შენისთანა კაცის
ჩრდილის ტარება...
დაღლილი ვარ, არ იფიქრო
ბედს დაწერილს ვუწუნებ,
განა მუხლი დამისუსტდა, განა რამეს ვწუწუნებ,
განა მტკივა, ან უცხოა ცხოვრებისგან გალახვა,
მეგობარი ხარ ჩემი და განა მარტო მამა ხარ...
გიყვები და არ იღელვო, რომ ასეთი ბედის ვარ,
მიხარია, შენი მსგავსი ჯვრის ტარება მეღირსა...
ახლა წავალ, არ იდარდო,
განა ის დრო შორს არი,
როცა ჩემი ჩამთავრდება ბედის კრიალოსანი...
აჰა, ჩვენი საუბარის დასასრულთან მივედით –
დარდთან ერთად წამომყვება
შენი ნახვის იმედი.

როგორც არ უნდა იყოს

როგორც არ უნდა იყოს,
დაუკითხავად ჩემდა,
დილას რომ აკლდა სითბო,
მაშინ დამბადა ბედმა.

სუსხი სობრანოს სტვენდა
დილა მინორულ გამას,
განცდებით დაღლილ დედას
ხელებს უთბობდა მამა...

თეთრი ღრუბლისგან თითქოს
ბედს მიკერავდნენ ცაში,
როგორც არ უნდა იყოს,
ჩვეულებრივი ბავშვი

ცხოვრებას შევეთვისე,
წლებმა თავისი ღაღრა,
დრო-ჟამს მივყავდი ისე,
როგორც ტუსალი ბადრაგს...

როგორც არ უნდა იყოს,
ადამიანად ვიშვი,
ყველა ფობიას მიფრთხობს
ღმერთთან შეხვედრის შიში...

როგორც არ უნდა ვთქვა და
როგორც არ უნდა ვწერო,
დრო უნაცრისფრებს ფარადს
ატმისფერ ატმოსფეროს...

იყო ტკივილი, განცდა
ხალისიც იყო უხვად...
რა სინარულიც ამცდა,
მხოლოდ იმაზე ვწუხვარ.

როგორც არ უნდა იყოს,
მეც გავიხურავ კარებს,
მუცლად მოწყვეტილ სტრიქონს
სამარეს მივაბარებ.

სხვაგვარად ალბათ არ ღირს
გარდაუვალი მიხმობს,
მე პოეტი ვარ მაინც,
როგორც არ უნდა იყოს!

ჩემი საფლავის მომვლელ ქალს

ჩემს თვალწინ ქარი ხეს ფოთლებს ახევს,
მაინც სიმშვიდით თვლემენ ჩიტები.
მე თქვენ პირველად ღღეს დაგინახეთ,
და აწი უფრო დაგაკვირდებით.

დაგაკვირდებით და იქნებ ოდეს
გაგანდოთ გულის ყველა ნალექი,
როგორ ძერწავდა ცხოვრება პოეტს,
ფიქრებით თავისქალადახეთქილს.

და მერე იქნებ თქვენიც მიამბოთ,
ცრემლები ვღვართ, ვიტიროთ ერთად.
თქვენს სულში ვისი სევდა კიაფობს,
ვის ერთგულებას შემორჩით კენტად.

და სანამ წახვალთ, დამშვიდობების
სიტყვას მოვიგლეჯ, გულში რომ მახლავს.
მადლობელი ვარ, ერთი პოეტის,
რომ ასე ნაზად უვლიდით საფლავს.

სიკვდილთან მეომარი

ჩემს კოკას

გუმბათებს შესცივდათ, დეკემბრის თბილისში
გაყინულ სხეულში თბილ სუნთქვას ვინახავ,
რამდენჯერ ვიბრძოლე სიკვდილთან, ვინ იცის?
და მისი აჩრდილიც რამდენჯერ მინახავს...
მამა დავითზე ნარეკი ზარების
მადლი და სიკეთე სიყრმიდან მათოვდა,
ხან ზურგით მომქონდა მთებიდან ზვავები,
ხან დედა მთაწმინდის ნიავი მართობდა...
ერთგული მეგობრის აბჯარი ვირგუნე,
სიკეთით ვაგებდი სასულის გალავანს,
ეს ბოლო ბრძოლაა, სიკვდილთან მოყურეთ,
თუ როგორ ვამარცხებ ამ სასტიკ ფალავანს...
ცხოვრების მარხილი სიძნელით მომყავდა,
ადვილი ბილიკით არასდროს მივლია,
ყველასთვის უბრალოდ ვიყავი კოკა და
მიცნობდე, სიკვდილო, მე მქვია ილია...

გამოზამთრება

მიწას ახურებს ვარდების ეშხი
და სურნელს მრავალ ყვავილის.
მე შენი გული მიჭირავს ხელში,
ბუდიდან ფრთხილად ამოყვანილი.

ყველგან მოისმის შრიალი ხეთა,
ნაზამთრალ სივრცის ჩუმი მდგმურების
და იცი, ახლა ყველაზე მეტად
მსურს შენს განცდებში დასადგურება.

ბობოქარ დროსთან ბრძოლაში დამშვრალს
მხსნელად მიგზავნის განგება ნიავს.
შენი სურნელით გაჟღენთილ თავშალს
მოგონებები ალერსით მიაქვს.

სიცოცხლის ქარში, ბულსა და მტვერში
აღარ მადარდებს ტანჯვა განვლილი.
მე შენი გული მიჭირავს ხელში,
ბუდიდან ფრთხილად ამოყვანილი.

ვერას გავხდები

ცივად მიყურებს გაუმადლარი
ნაპირზე მდგარი ავი მებორნე,
ცხოვრებავ ჩემო, ლექსით ნაზავი
უსასრულობა რატომ მეგონე?

ჰორიზონტს იქით მიცურავს გემი,
ზღვას დაეხეთქა დაღლილი მზე და
როგორ დაუკრავს ჩემს სულზე ხემით
კომპოზიტორი სიცოცხლის, ვხედავ...

ვერაფერს ვიზამ, ვერას გავხდები,
სიკვდილი მოსვლას მაინც აპირებს,
ნიჭიერ ჯალათს მშვიდად დავხვდები,
როგორც ჰექტორი დახვდა აქილევსს.

სველ მოგონებებს მზეზე გადავფენ,
ბოლოჯერ დავგრეხ დაღლილ იალქნებს,
უკანასკნელად კიდევ გავაფრენ
და გავვორდები, როგორც იაქე...

თემურ ჩალაბაშვილს

ვაზის მტევნის ცრემლით სავსეს
შენს პოეტურ თვალის გუგებს
ვერვინ უგებს ქვეყანაზე,
ვინც რომ მაგ გულს ვერ გაუგებს...

ყოველ ღამე ლექსით თვრები,
უძლებ ფიქრთა გიჟურ ომებს,
თვით სამშობლოს თეთრი მთებიც
მამის ბეჭით გადაზომე...

მეც შენსავით დავითრგუნე
სიტყვით ნაღლით, ლექსით წრფელით,
შვილობას ნუ დამიწუნებ –
შენი გაგა გომართელი.

მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო!



გოგი საწოლიდან ზღაზენით წამოდგა და ტელეფონს მიუახლოვდა. მაღალ, გამომხმარ სხეულს მხოლოდ ტრუსი და ფერადი, გაცვეთილი მაისური უფარავდა ხალვათად. შავგვრემან, სიმპათიურ მოგრძო სახეს, უკან გადავარცხნილი შეჭადარავებული თმა უმშვენებდა. სწორი, კონტა ცხვირი და უნაკლო კბილები ჰქონდა. ძველებური აპარატის დისკი შესაბამის ნომრებზე დაატრიალა და პასუხს დაელოდა. რამდენიმე წამში უპასუხეს კიდეც.

– ალო, თეატრია?... „მომკალ, მომკალ ჩემო კარგო“-ს თუ ვთამაშობთ დღეს? – შთამბეჭდავი, ხავერდოვანი ხმით რიხიანად იკითხა.

ალბათ თეატრიდან დაეთანხმენ, რადგანაც ყურმილის დადება და გოგის გინება ერთმანეთს დაემთხვა:

– ოხ, თქვენი დედა ვატირე! როგორ არ მინდოდა დღეს გარეთ გასვლა!

ელენე!.. ელენე!.. რამე მომიძხადე ვჭამო, თორემ უზმოზე მოვწევ პაპიროსს. – სამზარეულოში მოფუსფუსე მოხუცებულ დედას გასძახა და ისევ საწოლს დაუბრუნდა.

– ახლავე ქა, რა გაყვირებს?! – ქალი კარში გამოჩნდა.

– სპექტაკლი გვქონია დღეს, მე ამათი დედა ვატირე!

– ჰო, ბიჭო, მერე რა მოხდა, მსახიობი არა ხარ?

– გასვლა არ მინდოდა, ფეხები მტკივა, ერთი მანქანა ვერ ვიყიდე, თეატრამდე რომ წავიდე და მოვიდე.

– ვინმე ქალი მაინც მოგეყვანა ბიჭო, ხომ ხედავ, აღარ შემიძლია, ფეხზე ბატკანი მყავს გამობმული...

– ეჰ, ქალი არა!.. – თავისთვის ჩაილაპარაკა გოგიმ და სააბაზანოში შევიდა.

ელენე სუფრის გაშლას შეუდგა. ცალ ყავარჯენზე დაყრდნობილი სვენებ-სვენებით ადგამდა ნაბიჯებს და შიგადაშიგ ოხრავდა:

– ქა, ეს რა დღეში ჩავვარდი ამ სიბერეში, განა რამის თავილა მაქვს...

ამასობაში ეზოს კარი გაიღო და მომცრო ღიპით უნაკლოდ გაუთოვებულ შარვალზე ქამარშემოჭერილი და კრემისფერ პერანგში კონტად გამოწყობილ-გამოწკეპილი ვანო ექიმი შემოვიდა. მარჯვენა

ხელში წნევის აპარატი ეჭირა, მარცხენაში კი ცელოფანშემოხვეული წვნიანით სავსე ქილა. მარჯვედ აუყვა კიბის საფეხურებს, მიუხედავად იმისა, რომ გოგიზე უფროსი იყო, საკმაოდ ჯანმრთელად და ენერგიულად გამოიყურებოდა.

– როგორ ხარ დედა? რას დადიხარ, დაწექი, დაისვენე, მოდი წნევა გაგიზომო. – სხაპასხუპით მიაყრა ელენეს და საწოლისკენ წაიყვანა.

– არა, ბიჭო სადა მცალია დასაწოლად, სპექტაკლი ყოფილა სადამოთი, რამე უნდა გავუმზადო ბიჭს, თორემ უზმოზე მოსწევს პაპიროსს.

– ეწევა არა ისევ?! ვერ გადაეჩვია? რით ვერ გაიგო, რომ მაგნებელია!

– ეჰ, რა ქნას აბა?! – ოჯახი მაგას აღარ შერჩა და ხალისი!

– არ შეიძლება, კაცო! გადააგლოს ეგ ოხერი, ცოტ-ცოტა ჭამოს და მალ-მალე! მოსუქდება, ენერგია მოემატება! აბა, ახლა რას ჰგავს, ძლივს დადის, გამხდარია, სულ წვეს... აი, კლარამ საჭმელი გამოგიგზავნათ. – როგორც იქნა, ქილა მაგიდაზე დადგა.

– ვაა, ჩვენი ექიმი მოსულა?! – გოგი ოთახში შემობრუნდა და ისევ ლოგინისკენ გაეშურა, – აბა, მოგვიყვი, რა ხდება ქვეყნიერებაზე?

– ისევ უნდა დაწვე, კაცო? – ჩაეძია ვანო, თან ელენეს წნევას უზომავდა.

– ხო, აბა, რა გავაკეთო სხვა?! –

– ადექი, ჩაიცვი, ისაუზმე, რას აწვალე დედას, აგერ წნევა გავუზომე და მაღალი აქვს, კლოფელინიც ორი აბილა დარჩენილა, რომ მცოდნოდა წამოუღებდი.

– ჰო, კარგით არ მინდა თქვენი საუზმე, აჰა და მოვწევ, ამის დედაც ვატირე!

გოგომ ბალიშები საწოლის ნიკელის თავს მიაყულა და თავისი ხელით გადახვეულ პაპიროსს მოუკიდა.

– ბიჭო, არ მოსწიო ქა, უკვე გაგიმზადე საუზმე, – შეწუხდა ელენე.

– აღარ მინდა, წასვლამდე შევჭამ ერთ-ორ ლუკმას, ისედაც ძალით ვჭამ, მადა არ მაქვს.

– მადა იმიტომ არა გაქვს, ამდენ პაპიროსს რომ ეწევი! – ვანომ შესაფერისი მომენტი იპოვა და ხელიდან ხომ არ გაუშვებდა, ისევ დაიწყო თავისი დიდაქტიკური შეგონებანი:

– კაცო! დაანებე მოწვევას თავი, ერთი ფილტვიდა გაქვს ისედაც, საჭმელი ჭამე, სუფთა ჰაერზე ისიერნე. არ დაგავიწყდეს – ცოტ-ცოტა და მალ-მალე!

გოგი არ უსმენდა, თვალებით ჭერს მიშტერებოდა და როლს იმეორებდა:

– „ქალბატონო! თთუ შშეიძძლებბა მრიცცხველი მაჩჩვენნეთ!...“ – რამდენჯემე ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და მეტყველების გავარჯიშება დაიწყო – „თთთ თეთრი თრითინა თეთრ თოვლზე თრთოდა... თეთრ თოვლზე თრთოდა... კაპიკი გაკაპიკებულა საკაპიკეში ჩაკაპიკებულა... კაპიკი ჩაკაპიკებულა!...“

ამასობაში უბანში ვანო ექიმის მოსვლის ამბავი გაიგეს და ისე ხომ არ გაუშვებდნენ, წნევას თუ არ გააზომინებდნენ?! ისიც ხალისით გადადიოდა ეზოდან ეზოში და უხვად არიგებდა რჩევა-დარიგებებს.

ელენე მსახიობ შვილზე დარდობდა და გარს უვლიდა:

– ბიჭო, რა იქნება დაუჯერო შენ ძმას, ხომ ხედავ რა კარგად არის, ცოლი უვლის, პაპიროსს არ ეწევა, თავს უფრთხილდება...

გოგომ პაპიროსის ნამწვი კოხტად ჩააჭყლიტა გამურულ საფერფლეში და ოცნებებში წავიდა.

– შენი ბიჭი და გოგოც აღარ ამოვიდნენ, ეტყობა დედამისი არ უშვებთ ქა. რა უხასიათო ქალია, სულყველაფრის გადაყრა უყვარს, ამას წინათ გოგომ გოგოლის „რევიზორი“ წაიღო, ალბათ იმასაც გადააგდება!

– ოხ, ელენე, ელენე! – ოცნებებს არ მოსცილებია, ისე შეეხმაურა დედას გოგი.

– ბიჭო, გახსოვს ერთი ქალი რომ გწერდა რუსეთიდან – ტამარა წულიანწინა, ნეტა გათხოვდა თუ ისევ შენ გელოდება?

– ელენე!

– რა იყო ქა, ის თეფში ახლაც შენახული მაქვს განჯინაში, ზედ თქვენი სურათი რომ დაუნახტინებია...

ან კიდე ის, რომ გწერდა ხოლმე, რა ერქვა ქა...

– ირინა! დარაგაია ელენა იოსეფოვნა, ირინა სეროვა!

– ხო, ქა როგორ დამავიწყდა, ირინა სეროვა, მაგან მგონი ბავშვი გააჩინა შენგან.

– არა, დედიკო, არა!

– წერილებში რომ გწერდა, მაშ?

– რატომ კითხულობდით ჩემს წერილებს „ქალბატონო დედიკო“!

– რატო ქა, ახლაც შენახული მაქვს რედიკულში.

წინკარის ხმა მოისმა. ვანო ექიმი იგივე ენერგიით შემოვიდა ოთახში, როგორითაც გავიდა.

– დაჯექი ბიჭო, არ დაიძალე? – მრგვალ საზურგაინი სკამი გამოუწია ელენემ.

– მადლობა დედა, მალე უნდა წავიდე სახლში, მელოდებიან.

– ვაი ქი, ვიწროთა ხაართ ძან. შენმა ცოლმა იმიტომ არ გაგიჩინა ეტყობა ერთზე მეტი შვილი.

– რად მინდოდა მეტი შვილი, ვერა ხედავ, რა არეული ცხოვრებაა?!

– რატო ქა, ურიგო იქნებოდა ერთი ბიჭი შენცა გყოლოდა?

ვანო წამოდგა, წნევის აპარატი აიღო და ის იყო ისევ თავიდან უნდა დაეწყო უმცროსი ძმისთვის ჭკუის დარიგება, რომ ელენემ დაასწრო:


– მოიცა ბიჭო, ის მაინც მითხარი, როგორ მიგიღეს მეზობლებმა, გაგიმასპინძლდნენ? ვისთან იყავი?

შეწუხებული გოგი საწოლიდან წამოენთო, ხელები გაშალა და დედას და ძმას სასოწარკვეთილი გამომეტყველებით მიაჩერდა:

– ნუ მომკალით, ჩემო დედა! ჩვენი ექიმი ჯერ მარგარიტასთან გავიდა, მისმა რძალმა აგრეთვე მარგარიტა – მარგომ ჩაი მიართვა მურაბით, მერე ნევრიკასთან გადავიდა, იქიდან კონანთ ნინასთან, ნინამ მიშაზე დაიწყო ლაპარაკი და წნევა უფრო აეწია, ამასობაში ლუსიკასთან დაუძახეს და გარანანთ ბაბულიასთან შეაგვიანდა! თანდილაანთ ქათმებს დაუჩვილიათ ელიჩკა საკენკს რატომ აღარ გვიყრისო?!

ელენე და ვანო გაჩუმებული აყოლებდნენ თვალს მისი ხელების არტისტულ ქნევას. გოგომ მონოლოგი ჩაამთავრა თუ არა ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო, თან თავისთვის აგრძელებდა:

– აქაც მომკალ, იქაც მომკალ, მომკალ, ბარემ მომკალ, ჩემო კარგო!..



დავებადე 1998 წლის 24 აპრილს ჭიათურაში. ვსწავლობ მრავალპროფილიან სკოლა-ლიცეუმ „ნილემის“ 11 კლასში. ვარ 17 წლის. წერა დავიწყე 14 წლის ასაკში (უკვე სერიოზულად), ვაბარებ სამედიცინოზე, ამავდროულად, მსურს განვაგრძო ჩემი სამწერლო კარიერა და მივაღწიო წარმატებას (ბულგაკოვი).

გაფიქრება

დეკემბრის ორ რიცხვში ბერლინის მთავარი საავადმყოფოს შესასვლელში ჰაინრიხ ბლოკი სიცივისაგან წუნკალი ძაღლივით ძიგძიგებდა. ტყავის ხელთათმანებით სიგარეტი ორ თითს შუა გაეჩხირა და ჰაერს ხარბად ისუნთქავდა, თითქოს მისი ნაკლებობა ყოფილიყო. „ბიჩოკი“ ნაგვის ყუთში მოისროლა, ექთანს გზა დაუთმო და საავადმყოფოში შევიდა. კიბეებზე ასვლისას ტყავის მანტოზე მცირე ზომის თოვლივით ქათქათა ლაქა შენიშნა და ნერწყვით გაიწმინდა. მესამე სართულზე შეჩერდა. აშკარა იყო კიბეებმა ენერჯის ნატამალიც არ დაუტოვა ჰაინრიხს. ხანშიშესული კაცივით ამოიხვენემა და დაკაკუნების გარეშე შეალო კარი.

ბასტიან ვაიზი სავარძელში მოხერხებულად მოწყობილიყო და ფეხი-ფეხზე შემოედო. მაგიდიდან ფეხების ჩამოღება, პაციენტის შემოსვლის მიუხედავად, არ უცდია. ალბათ ბლოკს თავხედური საქციელის გამო სამაგიეროს უხდიდა. ეს ორი, მეტად უცნაური პიროვნება ერთმანეთს სადღაც, ორი წელია იცნობს.

– თქვენ ფხიზელი ბრძანდებით, – თქვა ჰაინრიხმა და ყალბად გაიღიმა. ნათლად ჩანდა, ექიმს ეს ხუმრობა არ ეპიტანავა და ხელის მოძრაობით ბლოკს მიუთითა გვერდით დამიჯექიო. უხეირო ხუმრობის შემდეგ, პაციენტი ექიმს გვერდით მიუჯდა და გაიფიქრა: ჯობს ჩემი გასაჭირი მალევე გავუმხილოო.

– ახლა რამ შეგაწუხათ, ჭაბუკო? – იკითხა ვაიზმა და ოდნავ ამაყი მზერით, თითქოს უკვე მიზეზი იცისო, ფანჯარაში გაიხედა. გარეთ ბარაქიანად თოვდა.

– წუხელ სიზმარი ვნახე, – დაიმორცხვა პაციენტმა, რამდენიმე წამის შემდეგ კი მსმენელს ახედა, აინტერესებდა მისმა ნათქვამმა რა ემოცია აღძრა ექიმში. ბასტიანმა თავი შესამჩნევლად გადაქინდრა და დამარცვლით თქვა: კი მაგრამ, ხომ გეუბნებით, შიზოფრენიის მარტივი ფორმით ხართ

დაავადებული. შემდეგ ლაპარაკს აუჩქარა. ჩემთან დაახლოებით ყოველ ოთხ თვეში დადიხართ და ერთი და იგივე თემას განვიხილავთ. მერწმუნეთ და მენდეთ, თქვენ უბრალოდ გადაღლილი ხართ...

ამ მოსაზრების უარყოფის მიზნით ბლოკმა თავი გაიქნია.

– როგორ არა, მეგობარო... ალბათ სამსახურში ბევრს მუშაობთ.

– მე არ ვმუშაობ, – მიუგო მკვანედ და შანის მოგებით პაციენტმა. ძირითადად, სულ ვფიქრობ.

– ფიქრზე დიდი შრომა არცერთ სამსახურს არ სჭირდება. დამიჯერეთ, თქვენ უფრო ცუდ დღეში ხართ, ვიდრე ეს კაცი ნიჩბით თოვლს რომ წმენდს, – უბასუხა ექიმმა და ხელით შესასვლელთან მდგომ ზორბა აღნაგობის კაცზე მიუთითა.

– კი მაგრამ, მე არც ძილი, არც საკვები და საერთოდაც არაფერი მაკლია, – მიაძიტი სახით თქვა ჰაინრიხმა.

– მოკლედ, ახლა მითხარი, რატომ ფიქრობ, რომ ახლანდელი სიზმარი ძველებისაგან გამოირჩევა და უფრო დიდი დატვირთვა აქვს. ამიწერე, თუ გახსოვს, – ექიმმა საშუალო ზომის ოთახში, ბოლთის ცემა დაიწყო.

– ცოტა დრო მჭირდება, ზუსტად რომ გავიხსენო. თოვლის მწმენდავ კაცს საშუალო დაესრულებინა, თუმცა მაინც უკმაყოფილო სახე ჰქონდა. ვგონებ იცოდა, იგივეს გაკეთება მალე რომ მოუწევდა. ამაზე ციდან წამოსული დიდრონი ფიფქები მეტყველებდნენ. საავადმყოფოს შესასვლელში აღამიანთა ნაკადი არ ჩერდებოდა.

– რამდენი გასაცოდავებული აღამიანია?!

– გულში გაიფიქრა ვაიზმა და შემდეგ ბლოკს გახედა, სიტყვის სათქმელად მზად ხომ არ არისო, თუმცა პაციენტი ჯერ კიდევ ფიქრს მოეცვა და გაურკვევლობის ბურუსში გახვეულიყო. რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც იქნა, ჰაინრიხმა ნანახი

სიზმრის აღწერა დაიწყო და გონებაში აზრები დააღაგა.

– ბოდიშს გიხდით, ექიმო, ცოტა გალოდინეთ. ბასტიანს მობოდიშისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მოუთმენლობისაგან ისე იყო შეპყრობილი, რომ ბლოკს რაც უნდა ეთქვა, ექიმს ეს ყოვლად უაზრობად მოეჩვენებოდა.

– ჩემს სახლთან ვიდექი. ღამე იყო. ლამპიონის შუქი გზის გარკვეულ ნაწილს შესამჩნევს ხდოდა. სიცივეს ვგრძნობდი. გზას გავუყევი. რაც უფრო ვშორდებოდი სახლს, მით უფრო ძნელად გასარკვევი იყო გზის დანარჩენი ნაწილი. ანაზღად დავინახე, რომ გზის ბოლოს ლამპიონი აინთო. წამით ვიღაც კაცი დავინახე, თუმცა მისი სახის არც ერთი ნაკვთი გამოკვეთილი და შესამჩნევი არ ყოფილა. შემდეგ სინათლე ჩაქრა (გზის ბოლოს). სიარული შევწყვიტე, მაგრამ მესმოდა სტუმრის ნაბიჯების ხმა. ვგრძნობდი, რომ მიახლოვდებოდა. მარჯვენა ხელზე დავიხედე და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ დახვეული თოკი მეჭირა. ალბათ 20-25 მეტრის სიგრძის იქნებოდა. იასამნისფერი გახლდათ. შემდეგ თოკის შუა ნაწილი მოვგრინე და ადამიანის თავის შესატყვი ადგილი დავტოვე. გზისკენ გავიხედე. სტუმარი ბუნდოვან ადგილას შეჩერდა, სინათლისა და სიბნელის ზღვარზე. ანაზღად, გზის ბოლოდან, სადაც სხივი ვერ აწვდენდა, ხმა მომესმა: თოკის ბოლო გადმომიგდო... მეც გადავუგდე და შევნიშნე, რომ თოკის შუა ნაწილი სტუმარს თავზე ჩამოეცვა. შემდეგ უცხო, რომელიც ვერ გავარჩიე, კაცი იყო თუ ქალი, კვლავ დამიყვია: გაქაჩე, რაც შეგიძლიაო. ერთი ბოლოდან მე ვქაჩავდი, მეორედან ის და დავინახე, რომ შუათანას თავი მოძვრა... მერე კი... გამომეღვიძა...

ამ ამბის მოყოლის შემდეგ ბლოკი ისე გაიყურსა, თითქოს რაღაც არასწორი თქვა და დუმილს სიცოცხლეში არ დაარღვევსო. განაწყენებული სახე ჰქონდა.

– კი მაგრამ, სპონტანურად გამოგეღვიძათ? – ჰკითხა ექიმმა.

– რა უცნაური შეკითხვაა, – გაიფიქრა ჰაინრიხმა. აბა რას უნდა გამოვეღვიძებინე?! მე მარტო ვცხოვრობ, მამასადამე, არავის გავუღვიძებია.

– ანუ მხოლოდ შიშის ფაქტორი იყო? – ჩაეკითხა ბასტიან ვაიზი. ნათელია პაციენტის პასუხმა არ დააკმაყოფილა და მეტის გაგების იმედით იყო აღსავსე. ბლოკმა თავდაპირველად რაღაც უაზრობა ჩაილაპარაკა, შემდეგ კი, გამართული გერმანულით თქვა, – ტკივილმა გამომადვილა. გული დამეჭიმა. ალბათ ჭვალის გამო...

– იქნებ თქვენი ცოდვის გამო გეტკინათ გული? – ოღნავი ირონიით ჰკითხა ექიმმა.

– რა ცოდვას გულისხმობთ? – ჰაინრიხმა ბასტიანს კითხვა შეუბრუნა და გაფითრდა.

– თქვენ ხომ კაცს თავი მოკვეთეთ?

– ეს სიზმარი იყო. – თავი გაიმართლა ბლოკმა.

– სიზმარი, რომლის გამოც აფორიაქებული ხართ. ალბათ დამნაშავე იყავით...

– რა დანაშაულზეა აქ საუბარი? პაციენტი მე ვარ თუ თქვენ?! – ხმას აუმაღლა ჰაინრიხმა და წასასვლელად მოემზადა. ექიმმა ტაში დაუკრა და კარები გაუღო.

– საგანგაშო არაფერია. უბრალოდ დაისვენეთ და გამოიძინეთ. ტკბილი სიზმრები... და კიდევ, დარწმუნდით ხოლმე, რომ თქვენ მიერ თქმული ამბები სინამდვილეს არ შეესაბამება.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ფსიქიატრო. აშკარა იყო, ექიმი უპირატესობას ფლობდა.

ვაიხმა კარები შიგნიდან ჩაკეტა, სავარძლის ქვეშ დამალული ბოკალი გამოიღო და თავმომწონედ შეიყუდა. ბლოკმა საფეხურებზე უმაღლ ჩაირბინა და ხალხში გაერია. მწმენდავ კაცს კონგულსია დაწყებოდა. ამ შემთხვევაში ფსიქოპათთან აღარასოდეს მივალ, – იმეორებდა გულში პაციენტი. ყოველი შეხვედრის დროს ამ პირობას აღუთქვამდა ხოლმე საკუთარ თავს, თუმცა მისი შესრულება მეტად რთულად ეჩვენებოდა. იგი ბასტიანზე იყო დამოკიდებული. სახლი არც ისე შორს იყო, თუმცა ბუნაგში მისვლა ტაქსით გადაწყვიტა. მძლოლი ხანში შესული კაცი გახლდათ. მკაცრი გამოხედვა ჰქონდა, მაგრამ საიმედო პიროვნება ჩანდა. ბლოკის საცხოვრებელ ადგილამდე სამიოდე შუქნიშანი იყო გასავლელი. მძლოლი და მგზავრი უიღბლოები აღმოჩნდნენ. სამივეჯერ წითელ ფერს ვერ გასცდნენ. პაუზების დროს ჰაინრიხმა მეტად უცნაური რამ გაიფიქრა. ნეტავ რა მოხდება, ეს მძლოლი, რომელიც ლუკმაპურის ფულს ტაქსისტობით შოულობს, საკუთარი მანქანიდან ჩამოვაცდო და მწარედ ვურტყა. ღარიბი ჩანს. ამაზე მისი დაჩაჩანაკებული C 160-იც მიანიშნებს.

მძლოლმა სიჩქარეს მოუმატა, თითქოს ბლოკის აზრები წაიკითხა და მისი გეგმები ზედმიწევნით იცისო. გამონაბოლქვმა ციდან წამოსულ ფიფქებს მიწაზე დაცემაც არ აცადა და ჰაერშივე გააღწო. ერთი შეხედვით ასაკოვანი კაცი სიტყვაძუნწი ჩანდა. მაშინ ამოიღო ხმა, უფრო სწორედ მაშინ ამოიხრა, როდესაც განაწყენებულმა შუქნიშნის ფერებთან კვლავ წითელი დაინახა.

– ესეც ასე, მოვედით, – გადალლილმა თქვა მძლოლმა, თითქოს დიდი გზა გამოეწო.

– კი მაგრამ, საიდან იცოდით, აქ რომ ვცხოვრობდი? – დაეჭვდა მგზავრი.

– როდესაც მანქანაში ჩამიჯექით, უპირველესად, თქვენი სახლის მისამართი მითხარით.

– კარგი... არადა არც მახსოვს.

ზედმეტად ეჭვიანი ჩანხართ, ძმობილო, – რბილად მიუგო ხანშიშესულმა.

– თქვენი ცოდვების გამო ისჯებით ხოლმე? – თემას გადაუხვია ჰაინრიხ ბლოკმა.

– რაც უფრო მეტ დროს უთმობ ცოდვებზე ფიქრს, სასჯელიც უფრო მძიმეა. ხოლო თუ შუბლი

გაგისქელდა და მთლად არაკაცი შეიქმენი, არხენად მეყოლე. მერე ღმერთიც კი ჩაიქნევს შენზე ხელს. რაც შემეხება მე... არასოდეს ვისჯები.

– თქვენ ალბათ ოჯახიც გყავთ? – ჩაეკითხა ბლოკი.

– დიას, მეგობარო, მყავს... თქვენ კი თუ ეული ხართ, დიდი მხნეობა დაგჭირდებათ, რათა საკუთარ ცოდვებს გაუმკლავდეთ. გინდა თუ არა, მარტო ყოფნისას ცხოვრების განვლილ წუთებზე ფიქრობ.

რადგან ასე გულახდილად ვსაუბრობთ, – განაგრძო ჰაინრიხმა, – რაღა დაგიძალოთ და ჩემს გონებაში ყველაფერი რიგზე როდია. ხშირად აფექტის მსხვერპლი ვხდები. უფრო კარგად რომ ავიხსნათ, ეს უკანასკნელი სულიერი მღელვარებაა, რომელიც სავსებით იპყრობს პიროვნებას და შეიძლება მისთვის უჩვეულო საქციელი ჩაადენინოს. უეცრად წარმოქმნილი სწრაფმავალი ემოციაა. მე ერთი ბოგანო პიროვნება ვარ. არფერი გამაჩნია, იძულებული ვარ, ვიფიქრო და ვიაზროვნო.

– უკაცრავად. ბოდიშს გიხდით. ეს-ესაა გამოძიება და უნდა წავიდე, – მოკლედ მოუჭრა მძლოლმა, რაცია მოიმარჯვა და ჰაინრიხს უტეხად მიაშტერდა. მისი ეს ქმედება ძალზე უცნაურად ჩანდა.

– როგორ გეკადრებათ. პირიქით, მადლობა, რომ მომიხმინეთ.

მძლოლს ამჯერად აღარაფერი უთქვამს სახის მიმიკით კმაყოფილება გამოხატა და ბლოკს დაემშვიდობა. კიდევ კარგი, ჩემი ფიქრის მსხვერპლი არ გახდა – საკუთარ თავს უწყობოდა და ამავდროულად უმაღლოდა მეზავრი. ჰაინრიხი გაჩერებაზე შეყოვნდა, ფიქრით მოცული ჯერ კიდევ ექითან გამართულ დიალოგზე ფიქრობდა. უეცრად სიცივე იგრძნო. მიხვდა, საფიქრად ქუჩა არცთუ ისე ხელსაყრელიაო და სახლისაკენ მოკურცხლა.

ბლოკმა ოთხსართულიან კორპუსში შეაბიჯა. ბოლო სართულზე ავიდა, კლიტეს გასაღები მოარგო და სახლში შევიდა. ერთი მცხოვრებისთვის იდეალური „ბუნავი“ იყო. მანტო საწოლზე დააგდო და სამფენა სკამზე ჩამოჯდა. სარკმლიდან არცთუ ისე შორს იჯდა, ასე რომ ბერლინის გარკვეულ ნაწილს თვალს ადევნებდა. მოდით, ყურადღება გავამახვილოთ ჰაინრიხის მეტ-ნაკლებად გამორჩეულ და საინტერესო მეზობლებზე. გამოსაკვეთი ალბათ სამიოდე პიროვნებაა. პირველი სართულის მარცხენა განშტოება ახალგაზრდა სტუდენტს ეკუთვნის. მამამისმა შეუთვალა, შენი თავი შენვე გაიტანეო და საბრალო ბიჭმა უკეთესი ვერაფერი მონახა და მედილეგედ დაიწყო მუშაობა. ფიზიკურად ძლიერი ჩანს, თუმცა, ვგონებ, ამ სამსახურისთვის შეუფერებელია. მესამე სართულზე გამოცდილი, ხანშიშესული და ჯერ კიდევ მექალთანე ვექილი ცხოვრობს. ცოლი, ავერ უკვე 8 წელია სახლიდან გაექცა. დაღვრემილი კი არასოდეს მინახავს. ყოველი საქმის მოგების შემდეგ, საცხოვრებელში

ახალგაზრდა კეკლუც გოგოებს ამოიყვანს ხოლმე. ალბათ ამ ხერხით აღნიშნავს გამარჯვებას. თითქოს არასერიოზული და ჩამოუყალიბებელი ბუნების კაცი ჩანს, მაგრამ საკმარისია საფიქრალ და საჭირობოროტო საკითხზე ჩამოუგდო საუბარი, უმაღლ ბრძენკაცის ნიღაბს მოირგებს. ვინ იცის? შეიძლება ეს არაა მისი ნიღაბი და ყალბი სწორედ ქალებთან ურთიერთობაშია?! ოდნავ მოშვებული ჟღალი წვერი მიმზიდველს ხდის. ამავდროულად უნდა დავძინოთ, რომ სიმაღლეც სახარბიელო აქვს. ჰაინრიხ ბლოკი ერთადერთ ადამიანთან ამყარებს კონტაქტს, ეს მისი კარის მეზობელი, 26 წლის, ტიპური გერმანელი ფრიდრიხია. პროფესიით თერძი გახლავთ. მისი სიფიცის ამბავი კორპუსში ყველამ იცის და ამის გამო ერიდებიან კიდევ. გულჩათხრობილი ჭაბუკი ჩანს. ჰაინრიხ ბლოკი ფანჯარაში ხედავს, რომ ბინების იქით საკუთარი სახლების მთელი რიგი წყება ჩაყოლებული. ერთ-ერთის მანსარდაზე კაცს თბილად ჩაუცვამს და წიგნს კითხულობს. ეზოში რუხი ფერის ძალი ყეფს. კვლავ ბარაქიანად თოვდა. ნათელი იყო, თალფაქებზე თოვლი კარგა დიდხანს არ დადნებოდა. სახლების იქით კი, ფართოდ გაშლილი სტეპი მოჩანს. ბლოკი უსაქმურობის მორევში ჩაიძირა. ადგა და სამზარეულოში შევიდა. მზა პროდუქტებით გახუნძლული მაცივარი გამოალო, თუმც კი სოსისის მოხარშვა ისურვა. სადილობის შემდეგ, კარადაზე შემოდებული თავისი დის სურათი, რომელიც შესამჩნევ ჩარჩოში ჩაესვა, ძირს ჩამოილო და საწოლზე გაწვა.

ბლოკის და 2 თვის წინ ამერიკელს გაჰყვა ცოლად. ვაშინგტონში ჩასვლამდე გოგონა ღვიძლ ძმას დაჰპირდა, წერილს გამოგიგზავნიო, მაგრამ ავერ უკვე თითქმის 60 დღეა ჰაინრიხს აღარავინ ამხნეებს და აღარავინ კითხულობს. დაიმედებული ჭაბუკი კი გაიფიქრებს ხოლმე – ექსპერიმენტს მიტარებენო. ეს ხომ მტკნარი სიცრუეა?! ვის რაში უნდა დასჭირდეს ჰაინრიხის გრძნობებზე თამაში?! ბლოკმა ფანჯარაში კვლავ მანსარდაზე მყოფ კაცს შეავლო თვალი, მაგრამ ახლა უკვე ეს უკანასკნელი მსტოვარით აკვირდებოდა უმუშევარ ჭაბუკს. ჰაინრიხმა ფარდა გადასწია და ძილს მიეცა. ბასტიანის პაციენტი კარებზე კაკუნის ხმამ გააღვიძა. საათს შეხედა. შეიძის ნახევარი იყო. ვერაფერს ხედავდა. ამინდიც შეცვლილიყო. ჭექა-ქუხილმა ოთახი წამიერად გაუნათა. შუქი ანთო, კარებთან მილასლასდა და მხნედ გაალო. ხელში შავთმიანი, შესაშური აღნაგობის ახალგაზრდა გოგონა შერჩა. ამკარად ჩამოსული უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება მისმა გაუმართავმა გერმანულმაც დაადასტურა.

– უკაცრავად, რომ შეგაწუხეთ. დედაჩემი წვრილმან რაღაცებს ყიდის. დღეს შეუძლოდ გახდა მას შემდეგ, რაც ვუთხარი, რომ მსახიობობა მინდოდა. ჰოდა, დავაპირე, მისი გული ხელთავიდან მომეგო და მის მაგიერ სხვადასხვა რაღაცებს ვყიდი, – თქვა გოგონამ, გაიღიმა და ჰარკის სიმძიმისაგან

დაძარღვული ხელი უფრო დაბლა დაუშვა, თითქოს ვეღარ უძლებსო.

ეს ყველაფერი მიმზიდველმა გოგომ ძალზე სწრაფად მიახალა კლიენტს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო სიტუაციაში. იცით... მე ახლა პატარა ფული მაქვს, ამიტომ რაღაც იაფფასიანი მომიყიდეთ, – თქვა ბლოკმა გამყიდველის ტუჩებს მიაშტერდა. ჩამოსულმა ეს მალევე შენიშნა.

– არ ვიცი, თქვენ რამდენად გამოგადგებათ, მაგრამ თუ ცოლი გყავთ, შემძლია სარეცხი თოკები შემოგთავაზოთ. შამწუნაროდ, ერთადერთი ფერი – იისფერი დამრჩა, თუმცა განა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს? – გოგონა გაწითლდა. ჰაინრიხმა ეს ყველაფერი შემთხვევითობას არ მიაწერა და უმალ გაიფიქრა, დადგმული სპექტაკლიაო. ოფლდასხმულმა გამყიდველს მიმართა – მოდი, ხურდები აიღე და სახლში წადი. არ მინდა ეგ შენი თოკი. გვედრებ, თამაშში ნუ ჩაებმები... ბლოკმა გოგონას პარკები გამოართვა, კარებთან დადო და გამყიდველი თავისკენ მიიზიდა. ამის შემდეგ კი ტუჩებზე ეამბორა. კიდევ რამდენიმე წამი ჭაბუკს გულში ჰყავდა ჩაკრული ემიგრანტი. გოგონამ პარკებს ხელი დაავლო და სადარბაზოში გამეფებულ სიბნელეში გაუჩინარდა. ჰაინრიხმა კარები ჩაკეტა. ვფიქრობ, გოგოს იმიტომ აკოცა, რომ შიშს არ აეტანა. ბლოკმა შუქი ჩააქრო და ძველ ადგილს დაუბრუნდა. რამდენიმე წუთი მომხდარზე ფიქრობდა, შემდეგ კი მოვლენებისაგან დაღლილს ძილი მოერია...

* * *

მეორე დღეს ჰაინრიხს ბლოკს დილაადრიან გაეღვიძა. რვა საათზე ჯერ კიდევ რიგიანად არ გათენებულყო. საწოლში იმდენად მყუდროდ მოკალათებულიყო, თავდაპირველად, ადგომა დაეზარა, თუმცა სურდა კვლავ ბასტიანთან წასულიყო. გამოღვიძებულზე სხვაგვარად აზროვნებდა. ფიქრობდა, რომ წუხელ ის გოგო რეალობის ნაწილი სულაც არ ყოფილა. ეგონა, რომ ჰალუცინაციები მომავალშიც დატანჯავდა. სივიუსის ნაწილად მიაჩნდა ახალგაზრდა გოგოს მუშტრობა. ჰაინრიხს კვლავ ექიმთან წასვლა გადაეწყვიტა. ერიდებოდა და თან საჭიროდ თვლიდა. ტანსაცმელი უკვე ჩაეცვა, წუხელ ხომ, მისი გახდაც არ უცდია.

სარკმელში გაიხედა. ღრუბლიანი დილა თენდებოდა ბერლინში. ჭამისაკენ გულმა არ გაუწია. სახლიდან გავიდა, კარები ჩაკეტა და სართულები დინჯი ნაბიჯებით ჩაიარა. რაღაცის მოლოდინში იყო. გაჩერებაზე თერძი ფრიდრიხის იდგა. ბლოკს გაუჭირდა სიბნელეში მისი გარჩევა. როდესაც იცნო, მიესალმა. თერძს ეგონა ჰაინრიხიც გაჩერებაზე შეყოვნდებოდა და მზად იყო, მასთან დიალოგი გაემართა. პაციენტს კი სხვა გეგმები ჰქონდა. მირჩევნია საავადმყოფოში ფეხით მივიდე, გზად უფრო და უფრო გამოვფხიზლდები, – გაიფიქრა ბლოკმა, ფრიდრიხს დაემშვიდობა და

მოკრძალებით, თითქოსდა დამნაშავე ყოფილიყო, გაეცალა მოცემულ ადგილს. მოსიარულე ცდილობდა, გუშინდელი ამბებისათვის თავი მოეყარა და ექიმთან ამჯერად თავდაჯერებული წარდგენილიყო. წითელ შუქნიშანთან როცა გაიარა, თავზე ხუნდების გუნდმა გადაუფრინა. ჰაინრიხმა მტრედებს თვალი გააყოლა, შემდეგ უკან გაიხედა. უსიამოვნო გრძნობით იყო შეპყრობილი. ორ ხაბაზს პურები ერთი მანქანიდან მეორეში გადაჰქონდა. ჰაერში სასიამოვნო სურნელი დატრიალდა. შუქნიშანიდან საავადმყოფომდე მალევე მიადწია. ამასობაში, ბნელი გაქრა და ნათელმა დაისადგურა. სანამ დანიშნულების პუნქტამდე მიადწევდა, ბევრჯერ გაიხედა უკან. ძელსკამზე ჩამოჯდომის შემდეგ აპირებდა ვაიზთან ასვლას. გულამოვარდნილი მისვლა უხეირო იქნება. უპრიაია, ცოტა ხნით ჩამოვჯდე, – გაიფიქრა პაციენტმა. სანამ გულისცემა დარეგულირდებოდა ბლოკი საავადმყოფოს შესასვლელიდან ახალ გამოსულ ექთანს დააკვირდა. აფექტის გრძნობამ გაიბატონა ჰაინრიხში. ნეტავ რა მოხდება, ამ გოგოს ფეხში ძლიერად რომ ჩავარტყა?! ალბათ ჩაიკეცება, შემდეგ რა მოხდება, თმებში რომ ვსწვდე და თავით კედელს ძლიერად მივანარცხო?! რა უცნაურია ეს ყველაფერი. არა... არა... მე მირჩევნია ტაქსისტზე ვიძიო შური. ყველაზე ცოდვა მაშინ ხარ, როდესაც ბრიყვიც კი ჭკუას გარიგებს. მაგრამ მე... ფილანტროპი პიროვნება ვარ და საერთოდ ყველა დანაშაული აბსურდია. ჩემი აზრებიც... ფიქრებში წასულმა, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მოშორებით ბასტიან ვაიზი ვიღაც ორ პიროვნებასთან ერთად იყო. სამივე რაღაცის შესახებ ბჭობდა. საუბრის დროს, შეუმჩნევლად ბლოკისაკენ თვალს გააპარებდნენ ხოლმე. ბლოკს გოგონა გაახსენდა, თოკით ხელში. ცდილობდა სამივე უგულვებელყო და მათთვის ყურადღება არ მიექცია. ამასობაში, შეამჩნია, რომ ერთ-ერთი მათგანი დიდი ნაბიჯებით მისკენ წამოვიდა. ვაიზი ნამდვილად არ იყო. ჰაინრიხს გული აუჩქროლდა. უცხო ორ წუთში მასთან გაჩნდა.

– ჰაინრიხს ბლოკ, – ომახიანად შესძახა ბასტიანის მეგობარმა, – თქვენ დაპატიმრებული ხართ, თქვენ მიერ...

არ მიყვარს ეს სიზმრები... არ მიყვარს ეს სიზმრები... – სიტყვა გააწყვეტინა პაციენტმა. რა დაპატიმრება? რას მიედ-მოედები? მარტო ვარ და ჩემი გასრესა გსურთ, არა? ბლოკის ეს სწრაფმავალი რეაქცია უცნაურად ჩანდა. ასე მალე როგორ გასცა უცხოს პასუხი? ან აზრები როდისღა დააღაგა?

– თქვენ ლაყობას სასამართლოში მოვისმენთ, – უპასუხა დამკავებელმა და ჰაინრიხს სახეში ძლიერად დაარტყა. ბლოკი ძირს უგონოდ დაეცა. „სახლში“ წასვლამდე ბასტიანთან ერთ-ერთი დამკავებელი მივიდა.

– ბასტიან ვაიზ!!! ჩვენ ამ ყველაფერს დაგიფასებთ. იურიისტებსა და ექიმებს ასე კარგად არასოდეს

გვიმუშავია. მართლაც და, საოცარია... პიროვნებას ეს დრო სიზმრებზე ფიქრში გაატარებინეთ, ყველაზე მთავარი კი დაავიწყეთ. ჩვენ კი იმისათვის ვართ, რომ დავიწყებული გავახსენოთ. პროფესიონალი ხართ... ბრავო!!!

ექიმი შეიფერა და შემდეგ თქვა – კი მაგრამ, თქვენც იცით, რომ აფექტი უპერსპექტივია. ჰაინრიხი სრულებით ჯანმრთელია.

– ჩვენ მსოფლიოს უკეთესს გავხდით. მოუჭრა უცხო. იურისტი და ექიმი ერთმანეთს დაშორდნენ. ბასტიანმა მიმავალ მანქანას თვალი გააყოლა, შემდეგ კი თოკი ჩაჭრა...

* * *

ჰაინრიხი გონს მოვიდა. არე-მარეს თვალი შეავლო. დაწესებულება მალევე იცნო. სავარაუდოდ,

ციხეში გახლდათ. არა საკანში, არამედ კარცერში. სიტუაციაში მალევე გაერკვა და ყვირილი მორთო. ასე გააგრძელა რამოდენიმე წუთი და ამ მოქმედებას კარებზე ხელების რტყმევაც მიუმატა. როცა მიხვდა, ვერაფერს გავხდებო, მწარედ აქვითინდა. გულს ერთი კითხვა უღრღნიდა – რატომ? ანაზღად, კარცერში შუქი აინთო. ახლალა შეამჩნია კედელზე იასამინისფრად დაწერილი სიტყვები – „პასუხი შენს ზურგზე“. ბლოკი საგონებელში ჩავარდა. კისერი წაიგრძელა, თავი ჯერ მოიტეხა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიბრუნა უკან. წაგრძელებულს აწ უკვე შეეძლო პასუხის წაკითხვა. ზურგზე შავად ეწერა: „როდესაც საქმე დანაშაულის (ცოდვის) ჩადენას ეხება, გაფიქრებასა და მოქმედებას შორის განსხვავება არ არის“. გარეთ ბარაქიანად თოვდა...

ლამაზი დღე რომში

კვირაცხოვლობის დღესასწაულზე რომში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი გახდნენ – იერუსალიმიდან რომში, მამა ილია ნასიძის ხელმძღვანელობით, ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩააბრძანეს და დააბრძანეს რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამრევლო ეკლესიაში. ჩატარდა კვირაცხოვლობის წირვა, შემდეგ „შვიდკაცას“ სოლისტის დათო ნოზაძის ჯვრისწერის ცერემონია გაიმართა.

რომში, Auditorium Seraphicum-ის დარბაზში „შვიდკაცას“ კონცერტი პაატა ბურჭულაძემ გახსნა. მან წარმოადგინა მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის მაკეტი და თანამემამულეებს ამცნო, რომ მონაწილეობა მიიღონ მის მშენებლობაში გარკვეული თანხის გადარიცხვით.

ორი სიმღერა „შვიდკაცასთან“ ერთად შეასრულა რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამრევლოს მგალობელთა ჯგუფმა. კონცერტში დათუნა სირბილაძეც მონაწილეობდა.

სადმოს ესწრებოდნენ: პაატა ბურჭულაძე და ფონდ „იავნანას“ წარმომადგენლები, მამა ილია ნასიძე, იერუსალიმიდან წამოსულ მომლოცველების ჯგუფთან ერთად, ასევე – რომში საქართველოს დიპლომატიური კორპუსი.

ეს ლამაზი დღე, კონცერტის შემდეგ, რესტორანში დათო ნოზაძის ქორწილით დაგვირგვინდა.

რომში ყველაფერ ამის ორგანიზატორი იღუმენი იოანე ხელაია იყო.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამრევლო ეკუთვნის დასავლეთ ევროპის ეპარქიას, რომელსაც სათავეში მეუფე აბრამ გარმელია უდგას.



სურათზე: ადა ხეცურიანი, ქეთევან თურქია, ნინო ბროლიძე, პაატა ბურჭულაძე, ეკატერინე ქაცარავა, სოფიო ნასარაია, ხათუნა თვალაძე.

ინტერვიუ მწერალთან

– ქალბატონო ნინო, თქვენ პოეზიაში ტრადიციულ მაგისტრალურ გზას აგრძელებთ. როგორ ფიქრობთ, ის პოეტები, ვინც ეპატაჟითა და თავის გამოჩენის რაიმე პოპულისტური მეთოდით არ იმკვიდრებენ თავს, დღეს როგორ უნდა იპოვოს მკითხველმა, როცა არც კრიტიკაა, წიგნებიც ვერ აღწევს საქართველოს მასშტაბით, რეკლამა კი ერთი და იგივე მწერალს უკეთდება?

– მე არ ვთვლი, რომ ტრადიციულ მაგისტრალურ ხაზს ვაგრძელებ, თუმცა რითმიან ლექსს ხშირად ვწერ და დღემდე მგონია, რომ ყველა სათქმელს თავისი ფორმა სჭირდება. არის ლექსი, რომელიც პირდაპირ, ჯიქურ მოითხოვს რითმას. საერთოდ, ცნობილია, რომ მხატვარმა თუ ხატვამ არ იცის, ის ვერასოდეს გახდება კუბისტი, იმპრესიონისტი, სიურეალისტი ან სხვა და სხვა. ასეა რითმიანი ლექსიც... თუ რითმიანი ლექსის წერა არ შეგიძლია, შენ პოეტი არც ხარ (ეს ჩემი აზრია, რა თქმა უნდა). ლექსი კი არ უნდა აკეთო, საჩუქარავით

გვერდზე უნდა გადადო და რეალობას თვალი გაუსწორო, რაც თითქმის გმირობის ტოლფასია. ლიტერატურული კრიტიკა შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყანაში ყვაოდეს, რომელმაც იცის, რა უნდა, რა არის მისი მიზანი, რა ამოცანები დგას საზოგადოების წინაშე... ილიამ ეს იცოდა! ჩვენ ვიცით? – არა! აბა, რა კრიტიკაზეა ლაპარაკი. ამასთან, ეს მძიმე შრომაა და მას შესაფერისი ანაზღაურებაც სჭირდება. ლიტერატორის შრომას კი დღეს ფასი არა აქვს და სწორედ იმიტომ, რომ არ არსებობს ეროვნული კონცეფცია. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების ზედაპირულობა და იმ მწერალთა და პოეტთა რეკლამირებაც, რომელნიც თავის თავს თვითონ ახვევენ მასმედიას.

– როდის და როგორ დაიწყეთ წერა? რა არის თქვენთვის პოეზია?

– წერა მაშინ დაიწყე, როცა ასოების გამოყვანა შეგძელი. ჩემი პირველი ლექსი არავის ჩაუწერია, მე თვითონ დავწერე მორცეილი და მსხვილი

ნინო ქუთათელაძე:

ჩემთვის პოეზია ცხოვრებაა...

ეს არის ერთადერთი რგოლი,

რომლითაც მიბმული ვარ ამ ქვეყანაზე

უნდა მიიღო უფლისგან. ჩემი სტიქია რიტმულად მოწესრიგებული ვერლიბრია. ის არ გიზღუდავს სათქმელს, არ გიწესებს ჩარჩოებს, განგაწყობს სააზროვნოდ... მე ჩემს მასწავლებლად ქართული საგალობლები მიმაჩნია, ოღნავ არეული რითმითა და სათქმელის სიღრმით, განუმეორებელი რიტმითა და სულიერი სიფაქიზით. აი, სწორედ მათში მჟღავნდება, რომ სიტყვა უფალია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საგალობელი რელიგიის კუთვნილებაა, არამედ იმიტომაც, რომ მასში სიტყვისა და სათქმელის ესთეტიკა აბსოლუტურად თანხვედრილია.

რაც შეეხება თავის დამკვიდრებას, ეს ნამდვილად არ ვიცი... მე რომ ეს მცოდნოდა, არც ადრე ვიდგებოდი სადღაც კუთხეში და არც ახლა ვიქნებოდი გამოუვალ სიმარტოვეში. ლიტერატურული კრიტიკა კი ძალიან რთული დარგია, დიდ განათლებასა და ანალიტიკური უნარის ქონას მოითხოვს. ეს ისეთი სფეროა, სადაც სუბიექტური დამოკიდებულებები

ასოებით. ჩემთვის პოეზია ცხოვრებაა და როცა წერას შევწყვეტე, ესე იგი, დასრულდა ყველაფერი. მართალი ვითხრათ, ეს არის ერთადერთი რგოლი, რომლითაც მიბმული ვარ ამ ქვეყანაზე.

– რით განსხვავდება 21-ე საუკუნის პოეტის საფიქრალი მე-20 საუკუნის პოეტის საფიქრალისგან?

– 21-ე საუკუნის პოეტის საფიქრალი მხოლოდ ნიუანსებით განსხვავდება მე-20 საუკუნის პოეტის საფიქრალისაგან, რადგან ენა, რომლითაც ჩვენი მწერლობა საზრდოობს, დღეს გერის როლშია. მაშინ თუ რუსული გვეძალეებოდა, ახლა ინგლისურის ამერიკული დიალექტი გვიტევს. თანამედროვეთა თხზულებებში ისეთი ენობრივი კონსტრუქციები გაჩნდა, დედა შვილს რომ არ აიყვანს ხელში. ამას, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყო ხელი ჩვენმა განათლების სისტემამ. ახლა, მართალია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არ გვჭირდება, მაგრამ ფიქრის, აზროვნების დეფიციტი,

დიახაც, სახეზეა, ეროვნულად აზროვნების საჭიროება ხომ საერთოდ გამოირიცხა.

– ვინ არიან თქვენი რჩეული ავტორები და რატომ?

– ვგიჟდები ბარათაშვილზე! მან, სრულიად ახალგაზრდა ადამიანმა, შეძლო დაენახებინა ჩვენთვის, რისთვის და რატომ უნდა იცხოვრო კაცმა. კი... წუთისოფელში ყველაფერი ამაოა, გვეუბნება ის და ამასვე გვასწავლის „ეკლესიასტეც“, მაგრამ შენ იმისთვის მოდიხარ, რომ აშენო მომავალი, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს... ეს მთელი ფილოსოფიაა, გააზრებული და გათავისებული ფილოსოფია. ტყუილად კი არ ეთავყვანებოდა გალაკტიონი ბარათაშვილსა და აკაკის. მას სურდა ეს ორი ფენომენი შეერწყა საკუთარ პოეზიაში – აზრი და მუსიკა. ხშირად ვკითხულობ ფრანგ და რუს სიმბოლისტთა ნაწარმოებებს, თუმცა, ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ფრანგული არ ვიცი. ვცდილობ, წელიწადში ერთი-ორჯერ მაინც წავიკითხო „ვეფხისტყაოსანი“. ნეტავ, იცოდეთ, როგორ მეხმარება ეს ნაწარმოები ცხოვრებისეული პერიპეტეიების ახსნაში, მეხმარება სასოწარკვეთილებისას, მეხმარება ყოველდღიურ ყოფაში. მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილი, რადგან მის ნაწარმოებებში ქართველთა სულიერი სამყარო სუნთქავს. ამ ბოლო ხანს უფრო და უფრო მივეძალე ფილოსოფიურ ლიტერატურას. ამის გამო ხანდახან საკუთარ თავსაც დავკინი, როგორც ჩანს, დავბერდი-მეთქი. მეტი რა ვითხრათ?!

– ცოტა ხნის წინ თქვენს გადაცემაში „სარკმელი“ ვისაუბრეთ პოეზიაზე და მის ბედზე დღევანდელ სამყაროში... რატომ უნდა უჭირდეს პოეზიას, როცა საქართველოში ყოველი მეორე ლექსებს წერს?

– ლექსის გაგება ძალიან რთულია... მის გაგებას სპეციალური მომზადება და გული სჭირდება. თანამედროვე საზოგადოებას უტილიტარული, მომხმარებლური დამოკიდებულება გაუჩნდა სამშობლოს მიმართაც კი და ლექსი რაში უნდა მოიხმარო, მათი გაგებით, რა თქმა უნდა. თუ ლექსი არ დამასახლებს, სარგებელს არ მომიტანს, რატომ წავიკითხო, აი, თანამედროვეთა ფსიქოლოგია. რასაც ყოველი მეორე წერს საქართველოში, თქვენ გგონიათ ლექსია? ეს სიტყვების გროვაა და ამ სიტყვათა საერთო რაოდენობა 100-ს იშვიათად სცდება. ჩვენში ამ თვალსაზრისით, მაინც უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე დღევანდელ ევროპაში. გოეთესა და ჰაინეს ქვეყანაში თითქმის აღარ იწერება ლექსი. ეს ტრაგედიაა! და იცით, რატომ? ადამიანები აღარ განიცდიან კათარზისს, ცრემლი მხოლოდ ფიზიკური ტკივილისას თუ მოადგებათ თვალზე... პოეზია კი კათარზისის სათავეა!

– თქვენ ლევან გოთუასთან მეგობრობდით... ხომ ვერ გაინსენებდით მასთან ურთიერთობის განსაკუთრებულ შემთხვევას, ან სიტყვებს,



ნინო ქუთათელაძე

რომელმაც თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა?

– ერთ საოცარ ამბავს მოგიყვებით, არსად მომიყოლია და... მე, რა თქმა უნდა, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გავიცანი ლევან გოთუა. მოგესხენებათ, რა წლები გადაიტანა ვორკუტაში, სოლოგკებზე და განსენებაც არ მინდა, კიდევ სად... ვერ იტანდა, როცა ვინმე რუსულად საუბრობდა, სახე აენტებოდა ხოლმე, თავს ძლივს იკავებდა, სახეზე ისეთი ტკივილი გამოეხატებოდა, თითქოს ისევ მიწურში იწვა და სიცვიისაგან სუნთქვა ეკვროდა. ერთხელ ბატონი ლევანის დებს, თინათინსა და თამარს ვესტუმრეთ, ბიძია ლევანიც იქ დავგვხვდა. მე და მამას თან გვახლდა მამიდაჩემიც, რომელსაც ქართული კი ესმოდა, მაგრამ მშობლიურ ენაზე თითქმის არ ლაპარაკობდა... გადაირია და ბოლოს ისიც კი თქვა, ეს ქალი თუ კიდევ მოვა, წინასწარ გამაგებინეთ, რომ მე არ მოვიდეთ. მაშინ ეს ძალიან გამიკვირდა. ახლა მესმის მისი... მეც ასე ვარ, ინგლისური რომ მესმის ტრანსპორტში, ან ქუჩაში, თავს ვერ ვიკავებ, რადგან ვიცი, რომ სიამტკბილობითა და ფლიდობით მოსული მტერი მტერზე მტერია. არა, ისე არ გამიგოთ, თითქოს ინგლისურ ენაზე შექმნილი ლიტერატურა არ მიყვარდეს, ძალიან მიყვარს უიტმენის, ეზრა პაუნდის, თომას ელიოტის, ემილი დიკინსონის პოეზია და ზოგი მათგანი ორიგინალშიც წამიკითხავს, მაგრამ უკვე კარგა ხანია, აღარ დავბრუნებივარ მათ შესანიშნავ და ამაღელვებელ თხზულებებს.

– თქვენი თარგმნილი წიგნი ანდრე ბელის რომანი ხანგრძლივი დროის მერე გამოიცა. რატომ აირჩიეთ ამ წიგნის თარგმნა და რას ნიშნავს თქვენთვის მისი გამოცემა?

– ჰო, ახლა თქვენ შეგიძლიათ, მკითხოთ, მაშ, ანდრეი ბელის შემოქმედება რაღად თარგმნო? ჩემთვის ლიტერატურა და პოლიტიკა აბსოლუტურად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. მაშინ, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ბევრი იყო გატაცებული რუსული ლიტერატურით (სამწუხაროდ, დღეს ინგლისურენოვანი მწერლების შემოქმედება არავის აინტერესებს), უმეტესობას ესენინისა და ბლოკის ლექსები ხიბლავდა. ჩემთან გაცილებით უფრო ახლოს იყვნენ: რუსული ლექსის ნოვატორი – ვლადიმერ მაიაკოვსკი და სრულიად ფენომენალური ანდრეი ბელი, ბორის ნიკოლაევიჩ ბუგაევი. პირველად ანდრეი ბელის „პეტერბურგი“ ჩემმა მუსიკის მასწავლებელმა მაჩუქა, რადგან იცოდა ჩემი გატაცების შესახებ. მას შემდეგ მე და ანდრეი ბელი არ დავშორებივართ ერთმანეთს. მხოლოდ ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ახლებურად გაიხსნა ჩემთვის მისი პოეზია. ამ წიგნის გამოცემა დიდი ხანია, მინდოდა, მაგრამ ვთვლიდი, რომ ამგვარ წიგნს ძალიან დაინტერესებული პირი თუ

გამოსცემდა, ამიტომ ხელნაწერი სახლში მედო და არავის ვაწუხებდი.

„პეტერბურგი“ გამოცემა ჩემი ცხოვრების ერთი ეტაპის დასასრულია და, ამასთან, ის ანდრეი თუ თხოვნაც შევასრულე, რომელიც ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, მიხეილ ქურდიანმა დამიბარა. როცა ის საავადმყოფოში მოვინახულე, დამიმართოხელა და მითხრა, მე ალბათ ვეღარ და როგორმე შენ თვითონ უპატრონე შენს შემოქმედებასო, აუცილებლად გამოეცი, რაღაც არ უნდა დაგიჯდეს, „პეტერბურგი“, დაასრულე შენი ნაშრომი ლევან გოთუაზე, დაწერე ბიოგრაფიული რომანი, და კიდევ... გახსოვს? – ჩვენ ერთად გვინდოდა დაგვეწერა ისტორიული პიესა გორგასლის ეპოქაზე, ესეც შენ უნდა გააკეთო უჩემოდ... ერთი პუნქტი შესრულებულია! სანამ ყველაფერს არ გააკეთებ, ვიცი, რომ უფალი დამინდობს და არ მიმიხმობს თავისთან, თუმცა მე ამისთვისაც შინაგანად მზად ვარ.

ესაუბრა თამარ შაიშველაშვილი

მამია ზაქრადე – 95



ნიუ-იორკში მცხოვრებ უხუცეს ქართველ ემიგრანტს, ბატონ მამია ზაქრადეს სულ ცოტა ხნის წინ საიუბილეო თარიღი, დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ ვალმოხდილ ქართველ ემიგრანტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და მხნეობას თავის შთამომავლობასთან ერთად!

ბატონი მამია ზაქრადე დაიბადა 1920 წლის 10 აპრილს სამტრედიის რაიონის სოფელ გომში. ჯარში გაწვეულმა ახალგაზრდამ მალე ომში ამოყო თავი. იგი თავგამოდებით ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს, უკრაინის ტერიტორიაზე კი ტყვედ ჩავარდა და ისეთი საშინელება გამოიარა, რომ კარგა ხანს ყველა გერმანელი მხეცი ეგონა...

შემდეგ, მუშათა ბანაკში უმძიმეს სამუშაოს ასრულებდა. 6 წელი შიშით იცხოვრა მიუნხენში, რადგან „ენკავდე“ ყოფილ საბჭოთა ტყვეებზე პირდაპირ ნადირობდა. ცოცხლად გადარჩენილს, ოცნებად ჰქონდა, როგორმე ევროპას გასცლოდა და 1950 წლის 10 ივნისს აშშ-ს მიაშურა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მას ბევრი საინტერესო მოგონება აკავშირებს ძველი და შემდგომი თაობის ემიგრანტებთან. ყველაზე მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში მაინც ისაა, რომ იგი 31 წლის მანძილზე საოცარი ერთგულებითა და თავდადებით ხელმძღვანელობდა კავკასიურ სახლს „ალავერდს“, რომელიც 1937 წელს ბატონმა სიკო სიღამონ-ერისთავმა დააარსა ნიუ-იორკში და რომლის პირველი პრეზიდენტიც თავადვე იყო (შემდეგი პრეზიდენტები: გიორგი მაჩაბელი, ირაკლი ორბელიანი). „ალავერდში“ ქართველები და ჩრდილო კავკასიელები მეტად საინტერესო თავყრილობებს აწყობდნენ. „ალავერდი“ ქართული სულითა და გულით იყო გაჯერებული, რომელიც სამშობლოდან იძულებით გადახვეწილებს ძალზე ენატრებოდათ.

ბატონმა მამია ზაქრადემ ამ სახლს 1964-1995 წწ-ში დიდი სიყვარულით უხელმძღვანელა.

ციცინო ჯერვალიძე

დავიბადე 1955 წლის 10 აპრილს, კახეთში, ჩემს საგვარეულო სოფელ გიორგიწმინდაში. 1972 წელს დავამთავრე სკოლა და ჩავირიცხე თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1977 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და იმავე წელს დავიწყე მუშაობა შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში. 1983 წელს დავიცავი დისერტაცია მეოცე საუკუნის ათიანი წლების ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების საკითხებთან დაკავშირებით. ლიტ.ინსტიტუტის პარალელურად, დავიწყე მუშაობა ე.წ. გერმანულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდეგი 7 წელი ვიყავი ამ სკოლის ერთ-ერთი განაყოფის – მე-ნ გიმნაზიის დირექტორი.



პირველი ლექსები უნივერსიტეტის გაზეთში დამიბეჭდა ბატონმა ზალიკო ყვანიამ, შემდეგ ჟურნალ „ცისკარში“ – ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, „ლიტერატურულ გაზეთში“ – ბატონებმა: ვახტანგ ჭელიძემ, ელიზბარ ჯაველიძემ და ბოლოს – ირაკლი ჯავახიძემ (ჩემმა ნამოწაფარმა), „ჩვენს მწერლობაში“ – როსტომ ჩხეიძემ და ასე მოვედი დღემდე.

მაქვს ლექსების ორი კრებული – „დაბრუნება ძველ სახლში“ და „საგაზაფხულო ლოცვა“. მყავს ერთი შვილი – ქრისტინე კანდელაკი, ჯერჯერობით ერთი შვილიშვილი – ირაკლი კლდიაშვილი, ლაბრადორის ჯიშის ძაღლი – ლეკი და ნახევარი სამშობლო...

* * *

* * *

ვერ ავასრულე პაპის ანდერძი,
ამ ფიჭვის ძირას დამმარხეთო,
რომ დამიბარა....
მე კი მეგონა,
მთელი სოფელი იქ არის და
აქ, მარტოკას, მოსწყინდებოდა...
ახლაღა ვხვდები,
თავის ნაფერებ კარ-მიდამოს
ამაგრებდა:
თუ ღმერთი გაუწყრათ
და გაყიდვა დააპირეს,
პაპის ძვლები შეაჩერებთო...

გულო, რისთვის შეყუჟულხარ,
მარტოობის კარიბჭესთან?
თუ ერთხელაც არ აფეთქდი,
ისე როგორ მიხვალ ღმერთთან?...

თუ მამულის გრილი ღამე,
გულზე არა გფარებია,
არასოდეს არ ყოფილხარ,
არასოდეს გყვარებია...

ისე როგორ მიხვალ ღმერთთან,
მცხეთას როგორ დარეკ ზრებს,
ვინ მიგიშვებს უფლის სახლთან,
ვინ გაგიღებს ზეცის კარებს?...

* * *

* * *

გიხსენებ და ჩემს თვალებში,
შავი ეშმაკები ხტიან,
რა გინდოდა, რას მერჩოდი,
ობოლსა და ოხერ-ტიალს?...

მაყვლის ბუჩქში ვიჯექი და
მამისათვის ვქსოვდი წინდას,
როცა შენი თეთრი ცხენი,
ცისკარივით ამობრწყინდა...

ნუ უყევ მთვარეს, პატარა ძაღლო,
შენმა ყმუილმა შეძრა მიდამო,
ეგება შეგხსნან ეგ მოკლე ჯაჭვი,
ან ეგებ თავი მოიმძინარო....

მძინებოდა ნეტავ ტყეში
და მემწყემსა ცხვრების ფარა
და შენს სავალ ბილიკებზე,
ვარსკვლავები დამეყარა...

ნუ უყევ მთვარეს, პატარა ძაღლო,
ნუ აფრთხობ ცაში გაბნეულ სულებს,
კიპარისების სიმშვიდე უნდათ,
შეყვარებულებს და მთვარეულებს...

* * *

ჩემი ფიჭვის სიზმარი ხარ,
მარტოდმარტო დგახარ ბაღში,
რა საოცრად მელოდები!
სევდა შეგპარვია ხმაში...

მოვდივარ და ისევ აქ ხარ,
ჩამოღვენილ თითებს ვკოცნი,
თურმე როგორ შეგძლებია,
ასრულება ყველა ლოცვის...

რა საოცრად მელოდები!
სევდაც შეგპარვია ხმაში,
ნათელი და მარტოსული,
მაინც იყურები ცაში...

რარას გახსენება

სულ ყველაფერი იყო ნამდვილი
და არაფერზე გული არ მწყდება,
მთელი ცხოვრება ეკიდა ბეწვზე,
ბეწვი გაწყდა და.... თოკი არ წყდება!

გამიშვი ხელი... დაღლილი სული
უკვე მდინარის ნაპირს აწყდება,
ნუ გეშინია.... არ არის ძნელი:
თოკს ჩამოვაბამ.... თოკი არ წყდება!

მათვის, ვინც მარტოა

მე ისე მიყვარს ჩემი მარტოობა,
როგორც სამშობლო.
მარტოობა ჩემი სამშობლოა
და კვლავ მარტო ვარ
ჩემს სამშობლოში....
ველარ ვიხსენებ,
სხვამ თქვა ეს ფრაზა
თუ მე წამომცდა?...
არა, მგონი ასე იყო ნათქვამი:
„და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე“...
ჩემს წინაშე კი დღისით მზეა
და ღამით – მთვარე.
ორივე მარტოა,
თუმც მათ ფეხთაქვეშ
გადაშლილია მთელი სამყარო...
ერთად კი...
ერთად პირველყოფილი
ადამიანები ცხოვრობდნენ,
თემურად, ჯოგურად, ჯგუფურად...
დღეს მწყემსი გაირეკავს ცხოვარს
(ცხვრის ფარას, ძროხის ჯოგს)

და თავად მარტოობის სალამურს ააკვნესებს...
ყველა მარტოა –
მზეც, მთვარეც, დედამიწაც,
პატარა მუსიკოსიც
და დიდი მწყემსიც,
მაღლებიან მარადიული მარტოობით,
რადგან მარტოობა მათი სამშობლოა...
სწოედ ამიტომ
მეც მარტო ვარ,
შენც და ისიც,
ისინიც...
ძნელია, მაგრამ მაინც ხომ გვიყვარს
ჩვენი მარტოობა –
ჩვენი სამშობლო...

მთვარის ციკლიდან

ამოდი, მთვარე,
მომიყევი ძველი ზღაპარი,
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს
რომ უამბობდი....
მარტივი იყოს ყველაფერი
და ბუნებრივი.
ადამიანებს დაავიწყდათ სათნოება
და შეახსენე...
ამოდი, მთვარე,
მე მარტო ვარ და მომეწყინა.
ბედნიერება მინდა და მიკრძალავენ,
ჯერ სადა გაქვს მაგისი დრო.
მე კი რა ვქნა,
სინამდვილეში თვალიც არ მომიკრავს
აყვავებული ზეთისხილის ხეებისათვის,
მაგრამ მათ ნაყოფს
ხელისგულებით ვგრძნობ და მიხარია, მიხარია...
სინამდვილეში არც ვიცი,
რა არის ბედნიერება,
მაგრამ ეს ნათელი,
სულ რომ ვხედავ,
სულ რომ დამყვება?...
მითხარი, მთვარე,
ძველისძველი ზღაპარი მომიყევი,
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს
თავი რომ ბედნიერი ეგონათ,
როგორ ეგონათ?...
ადამიანებს დაავიწყდათ სათნოება –
სხვისი ბედნიერებით გახარება,
შეახსენე, შეახსენე, მთვარე...
მე კი, მგონი, მართლა გავეიჟდი,
რადგან ისე მიხარია,
თითქოს მკვდარ ქალაქში
ბავშვის ტირილი გამეგონოს...

ღამშვიდება სავსე მთვარეზე

დღეს სავსე მთვარეა
და შენ დარდიანი გადიხარ ქუჩაში.
ნუ ბრაზობ,
მთვარე გამაძლარი ობობასავით
გაკრულა ცაზე და იწოვს,
იწოვს შენს ენერგიას...
მერე რა?
ვის რა შერჩენია,
მთვარეს რომ შერჩეს!
მალე ისიც დაილევა
და ფერმკრთალი, გაკნაჭული გოგოსავით
ჩამოეკიდება ღრუბელს.
ხომ იცი,
ყოველივე ამქვეყნიური წარმავალია,
ფილოსოფოსები კი იმიტომ არსებობენ,
რომ მოიგონონ ის,
რაც არა აქვთ,
დაამტკიცონ ის,
რაც აკლიათ,
შეებრძოლონ იმას,
რაც მათ სულს ფენს აბიჯებს...
რა მოხდა,
მთვარე თუ რამდენიმე დღით გჩაგრავს
და შენს ენერგიას ისაკუთრებს...
სამაგიეროდ შენ იცი,
სად არის შენი სული
და იმ ადგილს ყოველთვის
საოცარი სინათლე დაჰკაშკაშებს...
მერე რა,
მთვარეც დაილევა და შეგეცოდება,
ვის რა შერჩენია,
რომ მთვარეს შერჩეს!
ახლა კი აინთე ღამის ნათურა
და შენი საყვარელი ფილოსოფოსები იკითხე.
ისინი მოხუცები და კეთილნი არიან,
ზოგჯერ საოცრად დაუნდობელნიც,
მაგრამ ყოველთვის
იციან,
სად არის მათი სული
და იმ ნათელს უფრთხილდებიან...
ნუ გეშინია,
შენც ხომ იცი,
სად არის შენი სული,
გაუფრთხილდი,
იმ ნათელს გაუფრთხილდი...



ნიმა-მახინა
ბახიანი

„ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა
და უნეტარესს – ილია II-ს მოკრძალებით ვუძ-
ღვნი სტრიქონებს, რომელიც მის ღვთიურ ბაგეთა-
გან ვისმინე და უფლის შეწევნით, სულთმოფენობას
პოეტურ ტრილოგიად იქცა.

უფალო, დიდება და მადლობა შენდა!

სადიდებელ – სავედრებელი
ყოველთა ქართველთა

„ღმერთო, გაამთლიანე და
გადაარჩინე საქართველო“!

უწმინდესი და უნეტარესი ილია II

დედაო ღვთისა – უკვდავების სპეტაკ – შროშანო,
წყაროვ სიცოცხლის... დაუშრეტო... გაუხუნარო..
მარადქალწულო, ედემს შინა სავსე მტევანო..
შუამდგომელო, მვედრებელთა წმიდა ტაძარო.
ყოვლადწმიდაო, დედუფალო, მოგვეც შევებანი...
შენ გვედრები,

ცოდვილ შვილთა კალთა გვაფარო,
განკურნე სენნი სხეულისა... სულთა ვნებანი...
მოწყალებაო – მონანულთა თავშესაფარო.
დაშრიტე ჩვენი უღონობა და უმწეობა..
ბჭეო ნათლისა, ჭეშმარიტის წმიდა ანბანო,
გთხოვ, შეგვაძეცნო ცოდვა ჩვენი, თავი, მეობა...
რომ სინანულის ცხარე ცრემლით
სული განვბანოთ...
გმადლობ... დედაო – აღდგომაო დაცემულთაო...
მხსნელო, მფარველო,

გული წმიდა დაბადე ჩვენდა...
სადიდებელი... არს და იყოს საყოველთაო...

უფალო, დიდება შენდა!

საქართველო გაბრწყინებას ელის

„იბრძოლეთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა, საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო, დღეს ევ ომია, თქვენი დიდგორი და თქვენი ბასიანი“...

უწმინდესი და უნეტარესი ილია II

უფლის ნებამ გვშვა, შთავგებერა სული..
 ხატად, მსგავსად – სადიდებლად ღვთისა,
 თან გვიბოძა არჩევანი სრული
 სიკეთის და ბოროტების გზისა.
 თითქმის განვვლეთ გზა გოლგოთის, ჯვარცმის...
 აღდგომა და ამაღლება გველის...
 თავად უნდა ავირჩიოთ, რა გვსურს,
 გზა კაენის... თუ აბელის წრფელი.
 უფალმა ხომ ჩვენთვის დაღვრილ სისხლით
 შეგვაერთა თავის ღვთიურ ნებას...
 დრო არ ითმენს, ახლოსაა ჟამი...
 გადარჩენა, თუ დაღუპვა გვნებავს?!
 შევინანოთ ღვთისმშობელის შვილნო,
 განვიწმინდოთ ქრისტეს სისხლით, ხორციით...
 შევუერთოთ ჩვენი ძალა ღვთიურს,
 სული ვიხსნათ სინანულით... ლოცვით.
 ღირსეულად ვზიდოთ ჩვენი ჯვარი...
 ნუ გვეშინის უფლის მაღლი გვეფარავს,
 ღმერთი – თავად სიყვარული არის,
 უფლის ძალი სუყველაფერს ფარავს.
 სამყაროში თვით უფალი მეფობს,
 წმინდა საქმით აღვასრულოთ ვალი...
 ჩვენი ნება შევუერთოთ ღვთიურს
 ბოროტებას და ვუყენოთ თვალი.
 ღვთისკენ სწრაფვით, მორჩილებით თავის,
 სინერგია, როცა უხვად ჰქროდა...
 „გალობანი სინანულის“ – დავითს
 ამაღლებდა... ოქროს ხანა ჰქონდა.
 ფეხშიშველი მეფეთ-მეფე თამარ
 ჯვარით ხელში მიუძღოდა ლაშქარს,
 ლოცვის ძალით და ღვთიური მაღლით
 ამარცხებდა მტერს ბოროტს და აშარს...
 თუ სიყვარულს შევაგებებთ ციურს...
 ამოვიძირკვავთ ღვარძლს, მოვსხეპავთ ცელით..
 ჩვენი ძალა შეერწყმება ღვთიურს
 და აღდგომა... ამაღლება გველის!

უფალო, დიდება შენდა!

საქართველოს „მზიანი ღამე“

„საქართველოვ, ნუ გეშინია,
 უფალი შენთანაა“...

უწმინდესი და უნეტარესი ილია II

ფურმა დაგვწიხლოს ისეთმა,
 მეტი რომ მოუწვევლია...
 ქვაც, იმან უნდა გვესროლოს,
 ვინც ჩვენზე უცოდველია,
 ყელმოღერება უხდება,
 ვინაც პირმშვენიერია...
 ერობაც მან დაიქადნოს,
 ვინც უფრო ძველთაძველია.
 მრავალჟამიერ მისია,
 ვისი გზაც უფრო გრძელია...
 სამების მაღლით ფენილი,
 სამ ხმაში მგალობელია.
 გულში ჩამწვდომად ის მღერის,
 ვისაც ტკივილი სჩენია...
 ნიკორასავით უღელში –
 ურმული შემორჩენია.
 მკვდრეთით აღმდგარი
 ლ ა ზ ა რ ე
 იმ ენის წარმოძჩენია,
 რაიც ღვთიურ მაღლს ინახავს,
 უფლის კვართთან რომ ჰფენია...
 ის რწმენისათვის ჯვარცმული,
 ქრისტესმიერი ერია,
 დედა უფლისა –
 მფარველი და მისი გადამრჩენია!
 მოგვიხმობს დიდი მეუფე,
 მამა ჩვენი ილია...
 მეორედმოსვლის ჯვარ-ნიში
 ლოცვისთვის უკვე თლილია,
 „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“
 გზა თითქმის გამოვლილია,
 ის ზარებს რეკავს ზეციურს...
 უფლისგან მოვლენილია!”

უფალო, დიდება შენდა!

საფერავი

დამაქვს დაღონება, როგორც ბალდახინი,
ალარ მეკარება დღეთა იდილია,
როგორც შერისხული დავალ თავდახრილი,
უფალს ჩემ გამო ხომ ბევრჯერ უტირია.
დილა მირაჟია ალბათ შებინდების,
სივრცეს უჩვეულო მოსავს არითმია,
ცაო, გათენებას ნულარ შემპირდები,
შენი საიდუმლო როდის გამითქვია.
შორის გაუვალი ჩანან ტრამალები,
ჩემი სტრიქონებიც თითქოს მუხნარია,
ღვინოს მივეძალე ისევ გამალებით,
თითქოს ქვეცნობიერს რაღაც უხარია.
ტანი გიტარა და ბაგე ალუბლები,
ჩემკენ ქალი მოდის, როგორც აკვირტება,
მერე გავაგრძელოთ ლექსზე საუბრები,
ქვევრში საფერავი როცა დაღვინდება.

სტალაქტიდები

გარკვეულწილად მართალი ხარ, ცა მზის ბიდეა,
პოეტის სულშიც შერჩენილან სტალაქტიდები,
არც უნდა ცნობდე, ვისაც არ ცნობ, მზერა კიდეა,
გარკვეულწილად მართალი ხარ, ცა მზის ბიდეა,
ქვიშის ტალღაა, აბსტრაქტული, ყველა იდეა,
უდაბნოსფერი ხალიჩებით არ გაფრინდება,
რადგან უდაბნო, ქვიშანარევ მზეთა ბიდეა,
და პოეტის სულს ამძიმებენ სტალაქტიდები.

თავშესაფარი

ერთ წამშია ყველაფერი, რაც არი,
ყველას ერთი წამი კლავს და ახარებს,
წამი ერთი თვალში შეყრა ნაცარის,
წამში მოხდა, თვალეები რომ დახარე.
რას გაიგებ, ლოცვაა თუ საგზალი,
ბოჰემაა თუა მელანქოლია,
კარგად ვიცი, ეს ცხოვრება რაც არი,
არ იცისო, სხვებს ტყუილად ჰგონიათ.
მტერს რა უჭირს, ერს ეცემა თავზარი,
ყველა მრუში, თავს აფარებს ყაბალანს,
გაიხსენა ზოგამაც ბრმათა ბაზარი,
ვინც შავ ჩოხას თავი ვერ შეაფარა.
მე კი ვიცი, ეს ცხოვრება რაც არი,
წამი ერთი, შავზე შავი მალარო,
შენ კი იყავ, ძმაო, ჭალის აფთარი,
თავი ზოოპარკს ან ცირკს არ შეაფარო.

თოხინია ბობნიაშვილი



რაც კი

წვიმა და წვიმა, სეტყვა და სეტყვა,
თებერვლის მკრთალი საღამოს ბინდი,
პოეტმა რაც კი აქამდე ვერ თქვა,
აქამდე რასაც სიცრუედ ვთვლიდი.
სიცოცხლე ჩემგან წასულა იქნებ,
ყრუ ვაგონების ხმაურში ჩანდა,
ტყე უსასრულო, მაგონებს იფნებს,
პეიზაჟში რომ ვიხილე სადღაც.
და სკოლა ბზების და ჩრდილი დაფნის,
უემოციო ნოტების სოლო,
სასაცილოა გიყვარდეს ხალხი,
ხალხი, რომელიც ბოდვაში ცხოვრობს.
წვიმა და წვიმა, სეტყვა და სეტყვა,
თებერვლის მკრთალი საღამოს ბინდი,
პოეტმა რაც კი აქამდე ვერ თქვა,
აქამდე რასაც სიცრუედ ვთვლიდი.

სოფელი

სოფელი ტბასავით მშვიდი,
ჭალები ზეცაზე ფართო,
წვება და თხელდება ბინდი,
მე ვრჩები იორთან მარტო.
კენჭებზე დგანან ტალღები,
მაყვლები მღერიან თითქოს,
მე ვფიქრობ იმედად განგების,
ცაზე და წვიმაზე ვფიქრობ.
ველარ ვიგონებ იმ სიზმარს,
ველარც ამინდს და გზას,
სოფელში სადაც იწვიმა,
სოფელში სადაც სწამთ.
სოფელი ტბასავით მშვიდი,
ჭალები ზეცაზე ფართო,
წვება და თხელდება ბინდი,
მე ვრჩები იორთან მარტო.

ვაჟა

ვაჟა, შენს თვალებში როცა, მწკრივად აირეკლნენ მთები,
ღვინოც მოგეკიდა როცა, ჭიქაც გადააგდე იქვე,
ძმები წავიდნენ და ახლა, მარტო დარჩენილი ხვდები,
ძმები პოეტების გარდა, ღმერთის აჩრდილებიც იყვნენ.
ცხრა დღე ვაწრიალე გზები, ცხრა დღეს გონებაში ვმაღავ,
ყველა ციხე-კარი, რასაც მივწვდი, ვანგრიე და ვსრისე,
ერთი ეს მითხარი, ჩემო, ოქროსფერთმიანი ქალავ,
სხვას თუ ეყვარები, აბა, მე რომ შემეყვარდი ისე.
ველარ იხსენებენ მთები, წელზე შემობნეულ ჩოხას,
აღარც სალამური ახსოვთ, ნისლში ჩახორცებულ ვერხვებს,
სხვისთვის პეიზაჟში ცა და ჩემთვის საოცნებო ღრო ხარ,
სივრცე მზისთმიანი მარტის, ქარი ბასრ ხელებს რომ ვერ ხვევს.
შენი სიზმრებიდან თოვდა, ჩემი სიზმრებიდან არც კი,
ბასრი ღამეების მწკრივი, ბასრი ღამეების ფეთქვა,
რა გზებს დაეძებ და ჰპოვებ, რა გზებს დაეძებ და ასცდი,
რაც კი გინდოდა და წერე, რაც მზის პეიზაჟმა ვერ თქვა.
ვაჟა შენს თვალებში როცა, მწკრივად აირეკლნენ მთები,
ღვინოც მოგეკიდა როცა, ჭიქაც გადააგდე იქვე,
ძმები წავიდნენ და ახლა, მარტო დარჩენილი ხვდები,
ძმები პოეტების გარდა, ღმერთის აჩრდილებიც იყვნენ.

ფორთოხლისფერი ცა

თითქოს დროდადრო, არა აღარც დროდადრო, მაგრამ
სიმღერას, როგორც იავენანას, მაინც სულ ელი,
ქროდეს გრიგალი, ფიჭვნართა ჯარს ხელი რომ აკრა,
ქროდეს გრიგალი შენი თმის და მერქვას სულელი.
იყოს რაც იყო, რაც არ იყო გაჰყვეს მოლოდინს,
ეს გაზაფხულიც შენს თვალებში იყოს დირე კვლავ,
ვისაც სწამდი და მოგელოდა გეძებს მხოლოდ ის,
ვისაც სიმღერად გადაქცეულ ქარში ირეკლავ.
გაქრნენ წამები, საფირონის, ლალის, კორუნდის,
იკლო ლოცვამ და გუმბათებში ქუფრმა იმატა,
შენ რომ ზღვას ზურგი შეაქციე, მთისკენ მობრუნდი,
იმ ზღვის ტალღები, სისხლისფერი სძულდათ იმათაც,
ვისაც ამდენ ხანს ელოდი და დღეებს ჩუქნიდი,
დღეებს, სევდიან სალამოებს, არნაზიარებს,
ღრო მოერევა ლამპიონს და შეჭამს შუქს ბინდი,
ფორთოხლისფერ ცას, ტაძრის ქუფრი დაატრიალებს.
ჩადგა გრიგალი, ფიჭვნართა ჯარს ხელი რომ აკრა,
გაჰყვა სიმღერა ფორთოხლისფერ ბალში დილის მწყემსს,
აღარც დროდადრო იავენანა, ძვირფასო, მაგრამ,
შენი თვალების ნათება ვერ გადავივიწყე.

არყოფნა

გამაძლებინე ნი... აქ ყოფნა არყოფნას ნიშნავს,
შუქნიშნებით და ნათურებით, ძელებით, ქვებით,
სიმღერად სულში ჩამოყრილი წითელი ქვიშა,
ვცოცხლდები ზოგჯერ, ვცოცხლდები და ათასჯერ ვკვდები.
უკვე არ მიკვირს, ხმაური რომ მატულობს მკერდთან,
რომ არ იცვლიან ზნეს და იერს ქალაქის ხმები,
უდაბნოსფერი ორნამენტი, რიგები ღლეთა,
ღლეებში ვკვდები, ვცოცხლდები და ათასჯერ ვკვდები.
და სიკვდილია უშენობის პროლოგის მიღმა,
და მირაჟია ყველაფერი, ქალაქი, ხალხი,
სიმღერად სულში ჩამოყრილი სიზმრები მიმყავს.
გამაძლებინე ნი... აქ ყოფნა, რა გითხრა, რად ღირს.

ლოდინის სონეტი

მე თქვენ გელოდით, დანისლული ზღვებით და მთებით,
ვამკობდი გრიგალს ყვავილებით, ვარდით, ენძელით,
მე თქვენ მიყვარდით და ეს გრძნობა იყო სანთელი,
სანთელი, რომლის დანაცრებაც ველარ შევძელით.
მე თქვენ გელოდით და ამ ლოდინს ერქვა სახელად,
ღმერთის ცრემლებით დანამული ვარდის სინაზე,
ვფანტავდით ვარდებს, ვაჭედებდით სიცხეს მახვილად,
სიცხეს, რომელიც ფრთებს იშლიდა ადამიანზე.
მე თქვენ მიყვარდით და ამ გრძნობას ერქვა ფიალა,
გრძნობას, რომელმაც ღვინოსავით დამატრიალა.

მაისის ტრიოლეტი

ღამე გაორებულ ფიქრთა პარადია,
ზღვებზე დაწვებიან ლურჯი დამბაჩები,
ვიწრო ნაბიჯები გზებზე გადადიან,
ღამე გაორებულ ფიქრთა პარადია,
ლექსიც გაცრეცილი თითქოს ქალღია,
ვნების დანაცრება, სულის გადამრჩენი,
ღამე გაორებულ ფიქრთა პარადია,
ზღვებზე დაწვებიან ლურჯი დამბაჩები.

„ტკივილი რაღაცის სანაცვლოდ გვერება“...

მხატვარ ელენე გამგონიძის სულის პალიტრა არა მხოლოდ უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის დასტურია, არამედ დიდი იდუმალებითა და მისტიკურ-რელიგიური ნაზრევით არის შექმნილი.

ელენე გამგონიძემ მხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა დაამთავრა. მისი პერსონალური გამოფენები გაიმართა: ეროვნულ გალერეაში, მწერალთა სახლში, ჭადრაკის სასახლეში, სამების ტაძარში, რუსთაველის თეატრის ფოიეში, ორჯერ გერმანიაში მიიწვიეს. გაფორმებული აქვს: ოტია იოსელიანის, ტარიელ ხარხელაურის, დავით შემოქმედელის და სხვა შემოქმედთა წიგნები.

„ფიქრით მოდის ყველაფერი, მაგრამ არის წამები, რომ არ სჭირდება ფიქრი. ბოლო დროს ძალიან დიდი ტკივილით მოდის შთაგონება. საერთოდ, რაც ხდება, ყველაფერი კანონზომიერია. ტკივილი რაღაცის სანაცვლოდ გვერება, რაც ჯერ არ გავცივობიერებია და მოგვიანებით აღმოვაჩინებ ხოლმე“... – მეუბნება ელენე. მართლაც, ფიქრიან-ტკივილიანია ეს სამყარო, რომელიც ცოდვა-მადლის საიდუმლოს იტევს.

– ელენე, როდის დაიწყე ხატვა და რას ნიშნავს შენთვის მხატვრობა?

– მხატვრად დავიბადე... 3 წლიდან დეღამ უკვე იცოდა, მე რომ მხატვარი ვიყავი. ვფიქრობ, მხატვრობა სიცოცხლის მშვენიერებაა, არა მხოლოდ ჩემთვის, ყველა უნდა ხედავდეს, ერთი წამით წარმოიდგინე, სამყარო ფერის, გემოვნების, არქიტექტურის გარეშე ხომ არაფერი იქნებოდა? ვინ ისურვებდა ასეთ ქვეყანას. ან რამდენი ქალი ატყვევებს მამაკაცებს მხოლოდ მხატვრობის მეშვეობით. მხატვრობის გარეშე ამ წუთისოფელში სიცოცხლის ნაკლები სურვილი იქნებოდა.

– თქვენს ნახატებში რელიგიური თემები სჭარბობს. რატომ? როგორ მოდის შთაგონება?

– სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. თუ გრძნობ სამყაროს, ერთად ქმნით საუკუნეს, როდის რაც სჭირდება, ის თემა მოდის და მეც ვხატავ. ჩემთვისაც იგივეს აკეთებს სამყარო – როდის, რა ან ვინ მჭირდება, მას მივლენს. შთაგონება სხვადასხვანაირად მოდის, ბოლო დროს – დიდი ტკივილის შედეგად. სამყარო ჩემთვის ისეთივე სხეულია, როგორც ყოველი ჩვენგანი, რა თქმა უნდა, თავისი დიდსულოვნებით.

– როგორია შენეული სამყაროს პორტრეტი? როგორ წარმოგიდგენია? რატომ მიმართავ ხელების ესთეტიკას? რატომ არის შენთვის ხელები მნიშვნელოვანი?

– ზღვა თვალებია სამყაროსი. ზღვის თემა ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო და სასიამოვნო საფიქრალია. ხელი ჩემთვის ყველაფერზე სუფთა, ძლიერი და საინტერესოა. საერთოდ, ამას ამბობენ თვალებზე. მაგრამ მე ვთვლი, რომ ხელები არასოდეს ტყუიან. ეს დიდი თემაა. ჩემს ცხოვრებას მნიშვნელოვანი



მომენტები კი არა, უფალი ცვლის, უფალი მირჩევს მეგობრებს გარკვეულ დროს, ალბათ, შემოქმედების მრავალფეროვნებისთვის. ჩემთვის სასწაული ყოველი ადამიანია, ყველაზე კარგად უფლის არსებობა მეგობრის გამოჩენაში იგრძნობა. ის ყოველთვის დროულია.

– გაიხსენე მნიშვნელოვანი მომენტები შენი ცხოვრებიდან... რამაც, ასე თუ ისე, შეცვალა შენი ცხოვრება?

– თუნდაც კაჭრეთი, ვაპირებდი გერმანიაში წასვლას. თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, როცა აღმოვჩნდი კაჭრეთის კოლეჯში. ვერ წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში ასეთი სიყვარულით კიდევ რამე კეთდებოდა. ამ ყველაფერს ღირეპტორის – ნათელა პაპუნაშვილის დიდი სიყვარული და რწმენა აკეთებს, მე მას გადარჩენილი საქართველო ვუწოდებ და ბედნიერი ვარ, რომ აღმოვაჩინე. ჩვენი თანამშრომლობაც პროფესიის დიდმა სიყვარულმა გადაგვაწყვეტინა, ალბათ, რადგან ჩემი ყველაზე დიდი წუხილი, როცა რომელიმე დაწესებულებაში შევდივარ, ნახატის სიმცირეა. რატომ? როცა ამდენი კარგი მხატვარი გვყავს, გავამდიდროთ ჩვენი შენობებიც და მხატვრებიც გადავარჩინოთ.

– შენ ხელოვნების გილდიის თავმჯდომარე ხარ და კაჭრეთში ხელოვნების სასახლე შენდება... გვიამბე ამაზე...

– სამწუხაროდ, ერთეულებს ესმით. როდესაც ამ თემას შეგვხვ, მაშინვე დამეთანხმა ჩვენი საოცარი ქალბატონი ნათელა პაპუნაშვილი. გადავწყვიტეთ, კაჭრეთში ყველა მსურველისთვის გვესწავლებინა ხატვა, ფერწერა, მინაქარი, კერამიკა, მომავალში ვაპირებთ ფაკულტეტების დამატებას. ქალბატონი ნათელას და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, ეს სასწრაფოდაა გასაკეთებელი, რადგან ქართული ტრადიციული მხატვრობა უნიკალურია, თუნდაც ზარი, რომელსაც დავიწყება უწერია და კიდევ ბევრი, თუნდაც ქართული ფარდაგი, ანდა, თქვა ბუნებრივი ფერებით. უკვე ნელ-ნელა ამ ყველაფრის აღდგენას ვიწყებთ. დიდი გეგმები მაქვს, რის განხორციელებაშიც გვერდით მყავს ქალბატონი ნათელა პაპუნაშვილი.

ასე დამტოვა კაჭრეთმა და გერმანიაში არ „გამიშვა“. ვნახოთ. მართალია, ამჯერად სხვა საქმეს ვაკეთებ, მაგრამ ძირითად სახს არ ვლაღატობ. ესეც, რა თქმა უნდა, უფლის ნებით ხდება.

ბევრი რამ ვერ ვთქვი, ალბათ, ჩემს განსაკუთრებულ მშობლებზე, რომლებსაც დიდი როლი მიუძღვით, ჩემი, როგორც მხატვრად ჩამოყალიბებაში. ჩემს ოტია იოსელიანზე არაფერი მითქვამს, ოტია „პეგენია“ დამარქვა. დიდი მეგობარი იყო. დიდებს დიდი მეგობრობა შეუძლიათ. ნიტა ტაბიძეც მინდა მოვიხსენო და გერმანიაში ჩემი ექიმი – ვერა მინკე, ასევე დანიელ კუტკოვსკი. შემოდგომით გერმანიაში, ბონში გამოფენას ვგეგმავ. დღესაც დუსელდორფის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულება „პრაქციონი“ ჩემი ნაბეჭებებით არის გაფორმებული. ახლა ციხეში ვაპირებ გამოფენას ინგა ფერაძის კონცერტთან ერთად, თემა – ქართული ორნამენტი და ბაიათი იქნება.



ერთი ლექსი

**ლეილა
ჩისოშვილი-
სახცოხუსიშვილი**

ერაზმ როტერდამელის, სპინოზას,
რემბრანდტის სამშობლოში

...ფერად ტიტებს, ნარცისებს,
ასტრებს, ჰიაცინტებს...
მოაქვთ როტერდამის ლენბანი და სკვერები...
მტრედების გუნდს მოჰყვება
პატარების მფარველი,
ყოვლისშემძლე სინტერკლასის
მზით გამობარი ლეგენდა...
ხმაურიან ქუჩებს არეკვლია
ჰეხელიგის ფანჯრები და მინა –
გაოცდები, დაინახავ
შეუნიღბავ ბინას?!
ხეთა ჩრდილში ისარკება
მასი და ტალღა მისი,
ხიდების და წისქვილების
ბაასია ხმათა კრინით.
...ზაანდამში პეტრე დიდის
სულ უბრალო ქანდაკება...
არჩილის და კიმ მიკლოშის
ქართულ შრიფტის წარმატება...
ვერ ვივიწყებ: – ტექსელს, დედა კორნელიას,
ანა ფრანკის სათნო სახეს...
ურიცხვ არზებს, ფერად ტიტებს...
მაკეტავით ჰოლანდიას!..

¹ ლენბანი – ქ. როტერდამის მთავარი გამზირი;
² სინტერკლასი – ლეგენდის მიხედვით, მას ოდესღაც სამონელი სიკლიისგან უხსნია სამი განწირული ბავშვი და მას შემდეგ ფინიზლად სდარაჯობს პატარებს;
³ ჰეხელიგისი – რაც ბინაში ხდება, უფარდებო ფანჯარა. – შეხედეთ, რა მყუდროა, როგორი მოვლილია ბინა. ეს ტრადიცია დაკავშირებულია ისტორიასთან: ერთ დროს ჰოლანდიას ესპანეთი განაგებდა, პეტროვი ალბა, რომელსაც მოუნდომებია, რომ მის ეკვიან თვალს არაფერი გამოჰპარვოდა. ამ მიზნით აუკრძალავს ფანჯრებზე რაიმეს ჩამოფარება (1508-1582 წწ).
⁴ მასი – მდინარე;
⁵ ზაანდამი – გემთმშენებლობის პატარა ქალაქი, სადაც პეტრე დიდის ბრინჯაოს ქანდაკება დგას; ძველებურ ჰოლანდიურ სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი გვირგვინოსანი ნაჯახით ხელში ბოტის კეთებითაა გართული. ამ ქალაქში მასთან ერთად უცხოვრია ალექსანდრე ბატონიშვილს;
⁶ ტოტოლოფუმი კიმ მიკლოში – ამსტერდამელი მესტაპე, ეროვნებით უნგრელი, რომელმაც 1686-87 წწ. დაამზადა ქართული შრიფტის ჩამოსახსნელი მატრიცები. მეფე არჩილს მიმოწერა ჰქონია ამსტერდამელ ბურგომისტრ ვიტცენთან;
⁷ დედა კორნელია – ჰოლანდიელი ქალი, რომელმაც საკუთარი ოჯახის სასიკვდილო საფრთხეში ჩავდებით, შეიფარა და გადაარჩინა ტექსელის აჯანყების 25 მონაწილე. ყოველ კვირა დღეს გადიოდა 18-კილომეტრიან გზას თავისი შვილობილების სასაფლაომდე. არჩულ იქნა თბილისის საპატიო მოქალაქედ... „ქართველების დედად“ შერაცხული.



რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს...

ინტერვიუ მიხეილ ქვლივიძესთან

ოცდათორმეტი წელიწადი მოსკოვში გაატარა და მხოლოდ ცამეტი წლის წინათ მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა ჩვენი საყვარელი პოეტი მიხეილ ქვლივიძე. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გულწრფელად გვესაუბრება მისი განვლილი და ახლანდელი ცხოვრების შესახებ.


– ბატონო მიხეილ, საკმაოდ დიდი დრო, თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაატარეთ, რა მოგცათ ამ წლებმა და რა დაგაკარგვინათ, რაიმეზე ხომ არ გტკივათ გული?

– მაშინ 27 წლის ვიყავი. ძნელია სასწორზე აწონო, რა მომცა და რა დამაკარგვინა დრომ, რომელსაც სამშობლოს დაშორება ჰქვია. ეს რომ არა, ასე არანორმალურად ნამდვილად არ მეყვარებოდა ჩემი ერი, ჩემი სათაყვანებელი სამშობლო. გაუნელებელ ნატვრაში გავლიე ის პერიოდი, ამიტომაცაა, რომ ვერ ვძლები მისი სიანხლოვით, თუმცა უქმად არ გამიტარებია ის წლები, ჩემი სამშობლოს მაჯისცემაში ვიყავი ჩართული. სსრ კავშირის მწერალთა კავშირში ჩვენი წარმომადგენლის პოსტი მეკავა. იძულებული ვიყავი, ყველაფერი წამეკითხა, ყველანაირ ლიტერატურას გავცნობოდი, რაც საქართველოს შესახებ იწერებოდა. „ჟანგბადის ბალიშისათვის“ წელიწადში სულ ცოტა ექვსჯერ მაინც ჩამოვდიოდი თბილისში.

– **გვიამბეთ თქვენს ოჯახზე?**

– ოქროს ბავშვობა მქონდა. დიდი, თბილი ოჯახი. ბაბო, დედა, მამა, და, ძმა, დიდი ნათესაობა. მამა ინჟინერი გახლდათ, გიორგი ქვლივიძე, პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული, როგორც „ხალხის მტერმა“ ოცდაათიან წლებში ორი წელი ციხეში გაატარა. დედა დიასახლისი იყო, წმიდა ნინოს რუსული პანსიონი ჰქონდა დამთავრებული, მისი წყალობით ბრწყინვალედ შევისწავლე რუსული ენა. ძმა სამამულო ომში დაიღუპა, მამაც იბრძოდა ქერჩში, სადაც დაინვალიდა.

ჩემი პირველი ქორწინება ღვთის რწმენასთანაა დაკავშირებული: ორმოცდაორი წლის ასაკში გარდამეცვალა დედა, ღმერთს აღვუთქვი (მორწმუნე გახლავართ), მალე დაქორწინდებოდი, მეყოლებოდა პირველი შვილი, აუცილებლად ქალიშვილი და დავარქმევდი დედის სახელს – თამარს. ისე ავიხდეთ ყველაფერი, შევირთე უკრაინელი ქალი – ლილი



ერქვა. შეგვეძინა ორი ქალიშვილი, რვა კვადრატულ მეტრ ოთახში ხუთი სული ვცხოვრობდით. უბინაობამ მაიძულა დამეტოვებინა სამშობლო. ასე დავსახლდით ხლებნიკოვოში. პედაგოგად ვერ ვივარგე, შვილებს ვერ შევასწავლე მშობლიური ენა. ჩემი მიზანი იყო – თავად არ გაგრუსებულყავი. ახლა თამარი ორმოცი წლისაა, ამერიკაში ცხოვრობს, გერმანული ენის სპეციალისტია, ორი შვილის დედა, მეუღლე დიპლომატი ჰყავს. უმცროსი ქალიშვილი ნატოც გერმანისტია, მოსკოვში ცხოვრობს, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირს, ქმრებს ვერ ეგუება, მესამე ქმარს გაეყარა, ერთი გოგონა ჰყავს – ვერიკო ქვლივიძე. ახლახან მძიმედ ვიყავი ავად, ამერიკიდან უმცროსმა შვილიშვილმა კატიუმამ „ბარბისთვის“ შეგროვილი ორასი დოლარი გამომიგზავნა, წამალი იყიდოს პაპამო. ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა უკურნებელი სენით ლილი. მოსკოვში შევხვდი ასპირანტ მედეა შალამბერიძეს, მოვიკიდე ხელი და მოვაშურეთ საქართველოს. ბედნიერი კაცი ვარ, ძლივს დავსახლდი თბილისში. – ჩამოსვლიდან

რვა წლის შემდეგ, ჯუმბერ პატიაშვილს ვუმაღლი, საკუთარი ჭერიც მეღირსა.

– „გაჩენის დღიდან მოძმის სულში ვიყურებოდი და ბოლოს მასში – საკუთარი თავი ვიციანი“... თქვენი სიტყვებია.

– ჩემს თავს არ გამოვარჩევ ნებისმიერი ქართველი კაცისგან, ჩემი ერის ნამდვილი შვილი ვარ, მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი. ფუფუნებას მოკლებული, მანქანით არასოდეს მივლია, ზემოდან არავისთვის დამიხედავს, მებრალემა მათხოვარი, უქონელი და უსასო, შვიდ საათზე კაფეში ჩაის დასალევად გავსულვარ თბილისის ქუჩაში....

– თქვენი პოეზია გამსჭვალულია სამშობლოს, მშობლიური თბილისის სიყვარულით, რა იყო ეს, ნოსტალგია თუ პოეტის შთაგონების წყარო?

– არ ვაჭარბებ, თბილისის მემატიაზე ვარ. მისადმი მიძღვნილი ლექსი მოსკოვიდან ტელეფონით საათობით წამიკითხავს ოთარ მამფორიასთვის. სტრიქონი არასოდეს დამიწერია რუსულად. ერთხელ ბატონმა პავლე ინგოროყვამ მითხრა, რა ოხერი კაცი ხარ, საყველპუროდ გაიხადე რუსული, ქართული ლოცვისათვის შემოინახე.

– თქვენი პოეზია გამორჩეულია, რადგან მასში სინამდვილის უტყუარი სურათია დახატული.

– ჩემთვის სიყმაწვილიდან ყველაზე საინტერესო პოეტი იყო არჩილი, როგორც პატრიოტი და „მართლისა მთქმელი“. ერთი მისხალი ტყუილი სპობს ლექსს, ფასს უკარგავს. ლექსი ვერ ეგუება სიყალბეს, როცა ხალხი უბედურია და მწერალი წერს, ბედნიერიაო, ეს ნამდვილი უხამსობაა. უზომოდ მიყვარს ლადო ასათიანი, მისი პატრიოტული ლირიკა. სრული დაღვინება არ დასცალდა, ის ხომ გალაკტიონის სანაცვლოდ მოდიოდა, გალაკტიონი კი ჩემი ეტალონია. ჩემი აზრით, კარგი კაცის, კარგი პოეტის დაწერილ ლექსს რომ წაიკითხავ, უფრო უკეთესი უნდა გახდეს, ვიდრე მანამდე იყავი.

– თქვენს ლექსებს მღერიან, ზეპირად სწავლობენ, მრავალრიცხოვანი მკითხველი გყავთ, ახლა კი არა იმთავითვე, როცა ფეხი შედგით მწერლობაში.

– ჩემი ღირსებაა ის, რომ გვარიანად ვკითხულობ ლექსს, ისე ვკითხულობ, როგორც ვწერ და ვწერ იმისთვის, რომ ახალი აზრი და გრძნობა მივაწოდო მკითხველს. თუ ლექსი მუსიკალურია, ამაში კომპოზიტორებიც მიწვობენ ხელს. ქალბატონმა ნუნუ დულაშვილმა დაწერა შესანიშნავი მუსიკა ჩემს ლექსზე „...ქართულო მიწავ, შენს ქვიან გზებზე, სიმართლის მეტი რა მიძებნია“... ვფიქრობ, ლექსის კარგი წაკითხვა ხელს უწყობს ჩემს პოპულარობას, როგორც თქვენ ბრძანეთ.

– ბევრს მოგზაურობდით?

– მოსკოვი ჩემი მშობლიური ქალაქი რადგან არ იყო, ამიტომ ჩემთვის სულ ერთი იყო, სად

ვიქნებოდი – ხაბაროვსკში თუ სამარყანდში. დელეგაციების მეშვეობით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები კიდით კიდემდე მაქვს შემოვლილი, ბრესტიდან – კამჩატკამდე, სულ დავეხეტებოდი.

– ბევრი ლექსი გაქვთ მიძღვნილი კახეთისადმი, საიდან იცნობთ ასე კარგად სოფელს?

– მთელი ჩემი ბავშვობა დაკავშირებულია სოფელ ხაშთან, საგარეჯოსთან. ვენაცვალე საქართველოს ყველა კუთხეს, მაგრამ ქართლ-კახური დიალექტი ხომ ძირის-ძირია ქართული ენისა.

– „ნეტა რა მეშველებოდა, ოცნება რომ არ მქონოდა“, – ბრძანებთ ერთგან.

– სამშობლოს ნოსტალგიით შეპყრობილი, ოცნებამ გადამარჩინა. უკვდავია, ის ვისაც შეუძლია იოცნებოს. გარანტირებულია, ერთდროულად იყოს აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიც.

– ბატონო მიხეილ, მაპატიეთ, ერთი უხერხული შეკითხვა: ლექსების მიხედვით დიდად შეყვარებული მუუღლე ჩანხართ... ნუთუ ცოლისთვის არასოდეს გიდალატიათ?

– ამაზე გიპასუხებთ ლექსით – „ჩემს მეუღლეს“:

ჩემზე კარგო და ჩემზე ჭკვიანო,
შენ შევიძლია იეჭვიანო,
მე გაძლევ ამის საკმაო საბაბს,
მეოცნებე და სახით ვნებული,
ასე უზომოდ და ასე ხარბად
მთელ ქვეყანაზე შეყვარებული“.

და მაინც, მიუხედავად ამისა, არასოდეს მიდალატია ოჯახისათვის, შვილებისათვის, რასაკვირველია, მქონია გატაცებები, მაგრამ ამაშიც ვიცოდი ზღვარის დაღება.

– მართლა „ოჯახის ზრუნვის ჯვარზე გაკრულმა“ გაატარეთ ახალგაზრდობა?

– დიახ, სრული სიმართლეა, თუმცა თვალი ყოველთვის უნებლიეთ გამიბოდა განზე!

– როდის დაწერეთ „ჩემო პატარა თამარ! ჩემო პატარა ნატო, თქვენი ქართველი მამა ცხოვრობს თბილისში მარტო?!“

– სამშობლოს თავდავიწყებულმა სიყვარულმა ბევრჯერ მიმატოვებინა მოსკოვი, ერთხელაც მე დამეუღლემ „გავიყავით“ შვილები, უფროსი – თამრიკო თბილისში წამოვიყვანე, ორი წელი ჯვარს ვეცვით მეცა და ჩემი გოგონაც, მომკლა ფაფების ხარშვამ, ვერც სამსახური გამოიძებნა ჩემთვის და ვერც ბინა, მოსკოვში კი დიდ პატივში ვიყავი, ლამის კალთას მახევენენ, არ წამოვსულიყავი, იძულებული შევიქენი (უკვე მერამდენედ), დავბრუნებულყავი უკან.

– „... გეტყობა, ტვირთი დაგაწვა მძიმე, ხუმრობა საქმე არ არის ცოლი! და იქვე „მართლა ტვირთია ბედნიერება“?

– ბედნიერებას გაფრთხილება უნდა. ყველა გრძნობით შეიძლება დაკმაყოფილდეს კაცი, სიყვარულით კი ყოველთვის მშვიერი კვდები, სიყვარული დიდი დარდია, ზრუნვაა, პასუხისმგებლობაა, მაგრამ, ამავე დროს, დიდი ბედნიერებაცაა. იმაზე ძვირფასი რა უნდა იყოს, როცა ვინმეს სჭირდება, უყვარხარ და გიყვარს.

– **ბატონო მიშა, თქვენი შესანიშნავი ლექსი „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“... რამდენმა ჟურნალისტმა გამოიყენა ეს ფრთიანი გამოთქმა.**

– გიორგი შავგულიძე ახალი გარდაცვლილი იყო, სიზმარში ვნახე, ავდექი და ცხელ გულზე ეს ლექსი დავწერე, ღმერთს ვთხოვ, თითოეულმა ჩვენგანმა ისე იცხოვროს, რომ ოდესმე დააკლდეს ქალაქს.

– **თქვენზე ამბობენ, საოცრად თბილი და უშუალო იყავით ქალებთან ურთიერთობაში, ქალი თქვენთვის მუდამ იყო სათაყვანებელი არსება.**

– ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება დედამ მასწავლა, სათნობა, სიტბო დედისგან მომდგამს. გუშინდელივით მახსოვს, საბანს როგორ მახურავდა, ხელს როგორ გადამისვამდა თავზე. ქალი არ შეიძლება ცუდი იყოს, იგი ხომ „კაცობრიობის მოწყალეების დაა!“

– **თქვენ მხატვარიც ბრძანდებით?**

– წარჩინებით დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. შემდეგ ორი წელი ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ჩემი სათაყვანებელი პედაგოგები იყვნენ: კოტე ბაქრაძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მოსე გოგიბერიძე, გრიგოლ კიკნაძე, მაგრამ ომმა ხელი შემიშალა სწავლაში, ვერ დავასრულე უნივერსიტეტი. შრომით რეზერვებში მოვხვდი მობილიზაციით და ქარხანაში ხარატად დავიწყე მუშაობა. მხატვრობა ჩემთვის ჰობია. იგი თითქოს ლექსის წერაშიც მშველის, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, როცა ვწერ, ვხატავ კიდევც.

– **ასევე ეწვეით მთარგმნელობით საქმიანობას.**

– რუსულად ლექსის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია. რამდენიმე პროზაული ნაწარმოები მაქვს ქართულიდან რუსულად თარგმნილი, მაგრამ ეს ჩემთვის შემოსავლის წყარო იყო, მეტი არაფერი. ვიცი პოლონური. ვისლავა შიმბორსკას ლექსები მომეწონა და ვთარგმნე ქართულად. რუსულად ვთარგმნე კინოფილმები: „ნატკრის ხე“, „მონანიება“, „იავნანა“, „უძინართა მზე“ და გავახმოვანე კიდევც.

– **უთუოდ ბევრი მეგობარი გეყოლებათ მოსკოვში, კარგად იცნობთ რუსულ საზოგადოებას, გულთან თუ მიაქვთ ჩვენი დღევანდელი გასაჭირი და რას აკეთებენ ჩვენთვის, საერთოდ სიმართლისათვის?**

– სამწუხაროდ, ბევრს არაფერს! მოსკოვში ცხოვრების დროს ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ: ვვგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ალ. მეფიროვი,

ბულატ ოკუჯავა, ა. ვოზნესენსკი, ა. ტარკოვსკი, კ. სემიონოვი, ა. ახმატოვა, ნ. ზაბოლოცკი... ვერ გამოვიცა, რატომ სდუმან საქართველოს „ურთგულესი“ მეგობრები – ევტუშენკო, ახმადულინა და სხვები. არ მინდა ვიფიქრო, რომ ისინი ცუდი ხალხია, ეჭვი კი გამიჩნდა მათ მიმართ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა – ახმატოვა, ზაბოლოცკი და ტიხონოვი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ასეთ პოზიციას ნამდვილად არ აირჩევდნენ. ეტყობა ახალგაზრდებში მედროვეობის სიმპტომმა იმძლავრა.

– **ახლა ჩვენი მიწა-წყლის შვილი, ქართველი მეუღლე გყავთ, მისგან ცამეტი წლის ბიჭუნა – გიორგი გულს გინახებთ, ბედნიერი ხართ?**

– ძალიან! მადლობას ვწირავ ღმერთს. საკუთარი ჭერი მაქვს, ჩემი სახლიდან, ლესელიძის 18 ნომრიდან, თოთხმეტი ეკლესია მოჩანს. ასე აღამიანურად არასდროს მიცხოვრია: რაც მაკლდა და რაც მენატრებოდა, შევისრულე, ცოლ-შვილს ქართულად ველაპარაკები. ჩემი გაგებით „ბედნიერი“ შეიძლება ეწოდოს იმ კაცს, ვისაც ისეთი ვინმე ჰყავს გვერდით, ურმოლისოდაც ორ წუთსაც ვერ იცოცხლებს, თუმცა, ამას ესეც მინდა დავუმატო:

„საჩუქარი ხარ ბედისა? რა ხარ?

თუ სასჯელი ხარ მაცდური ბედის,

და შენ იმიტომ მოხვედი ახლა,

როცა თავდება ჩემი ცხოვრება,

რომ კიდევ უფრო გამწარდეს ჩემთვის

წუთისოფელთან გამოთხოვება...“

ცოლისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებში, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

– **ბატონო მიხეილ, თქვენი გატაცება?**

– ძალიან მიყვარს მცენარეები, განსაკუთრებით ყვავილები. ამას ფილოსოფიური საფუძველი აქვს, ყველაფერმა რომ გიღალატოს, თუ თესლი ვარგისიანია, არ გიღალატებს, ნაყოფს გამოიღებს!

– **რა აზრის ბრძანდებით ჟურნალისტებზე?**

– მიყვარან. ბევრმა მათგანმა კეთილშობილური პოზიცია დაიკავა, ისინი მუშა ფუტკრებს მაგონებენ, შუამავლები არიან საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. მათთან ურთიერთობა ყოველთვის მახარებს.

– **რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?**

– გეგმაში მაქვს, თუ მოვასწარი, ჩემი ლექსების სრული კრებულის გამოცემა, მაგრამ ეს უკვე ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რასაც ყველანი ვნატრობთ.

1997 წ.

P.S. მიხეილ ქელიძე გარდაიცვალა 2005 წელს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

ძეგლი ონის ნიგნაკილას

ჯამბუჯი ჯიშხაიანი



რამ გამახსენა?!

ეს იყო სამი ათეული წლის წინ.

1991 წელი. მოსკოვი. ყრილობათა სასახლე. დეპუტატებით გადაჭედილი დარბაზი გასუსულია. ბოროტი, ავისმომასწავებელი ღუმლით მისჩერებიან ტრიბუნას, სადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დგას. მაღალი, წარმოსადეგი, დახვეწილი მანერების ვაჟკაცი მზეჭაბუკს ჰგავდა.

მომხსენებელმა დარბაზს მზერა მოავლო...

Дамы и господа!

წამით, გარინდულ დარბაზში თითქოს მათრახმა გაიტყლაშუნა. შემდეგ, ვიღაცამ დაიფხუკუნა. თითქოს ნიშანს ელოდნენო, დარბაზი ახარხარდა... მსოფლიოს ზესახელმწიფოს „ელიტა“, ქვეყნის საუკეთესო „მოაზროვნე“ ნაწილი ლამის ჩაბჟირდა.

— ერთი ამას დამიხედეთ, მეტიჩარა რესპუბლიკის პარლამენტის მეტიჩარა თავმჯდომარე როგორ მოგვმართავს, — დამი ი გოსპოდა — ხარხარებდა დარბაზი... ვერც კი ხვდებოდნენ, საკუთარ თავს რომ აყენებდნენ შეურაცხყოფას...

ქართველმა პარლამენტარმა, საუკუნოვანი ხუნდებისგან სულ რამდენიმე დღის წინ თავდახსნილი ქვეყნის თავისუფალმა მოქალაქემ სცადა, ღირსება აღედგინა რუსი ხალხისათვის; სურდა. მათთვის შეესხენებინა, რომ „წითელი ეშმაკუნების“ მიერ დამკვიდრებული „ამხანაგო“-ს ნაცვლად დროა აღადგინონ მშვენიერი სიტყვები — „ქალბატონებო“, „ბატონებო“...

მიუხედავად მწვავე რეაქციისა და დამცინავი რეპლიკებისა, მომხსენებელმა სიტყვა ღირსეულად დაასრულა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ შოკური თერაპიის სენსი რუს დეპუტატებს საკუთარ მოედანზე ჩაუტარა.

იმ დღიდან მოვლენები კალეიდოსკოპურად განვითარდა. თიხის კოლოსი დაემხო! ურჩხულმა სული განუტევა! მაგრამ მის ადგილზე ახალი გველეშაპი აღდგა...

მაღე რუსეთის პარლამენტში აქა-იქ მორცხვად გაისმა: „господа.“

1993 წლის 25 თებერვალს, ცხრა საათსა და 25 წუთზე, ოსტანკინოელმა მომხიბლავმა დიქტორმა კეკლუცად გაგვიღიმა, თვალები მინაბა და ამოშქრა — „Дамы и господа!“

ესეც ასე! ორ წელზე მეტი დასჭირდათ რუს დეპუტატებს ფიქრისთვის, ვიდრე მიმართვის ამ მშვენიერ ფორმას დაამკვიდრებდნენ.

P.S. საინტერესოა, დღეს რომელიმე რუს დეპუტატს თუ ახსოვს, რა დღე აყარეს ქართველ პარლამენტარს, რომელმაც მსოფლიოს ზესახელმწიფოს კანონშემოქმედთ ადამიანურად მიმართა...

იმ დღეს ქართველმა დეპუტატმა მათ მრავალი წლის წინ დაკარგული საკუთარი ღირსების აღდგენისკენ უბიძგა...

რაინდად დაბადებული

ჯუმბერ ჯიშკარიანს აქამდე მხოლოდ პრესაში დასტამბული წერილებითა და ჩემი მეგობრების მონათხრობით ვიცნობდი (პროფ. ელგუჯა მალრაძე, აკადემიის წევრ-კორი სარგის ცაიშვილი, პროფ. სერგი სერებრიაკოვი, პროფ. სოსო სიგუა, დამსახურებული ჟურნალისტი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჯაფარიძე, პროფ. ალექსანდრე კალანდაძე, მწერალი ემზარ კვიციანიშვილი და სხვ.).

ახლახან პირადადაც გავიცანი. თუმც მხედველობის პრობლემები შეექმნა, მაინც სულიერად გაუტეხელი დარჩა, თავის შინაგან მოწოდებას, იღუმალ ხმას ემორჩილება.

ამ ცოტა ხნის წინ გაიმართა მისი წიგნის წარდგინება მწერალთა სახლში. კიდევ რამდენიმე წიგნი აქვს გამზადებული დასასტამბად. ასეთი რისკი ვაჟკაცობაა, ვაჟკაცობა კი ყოველთვის პატივისცემას იმსახურებს.

გაგრძელება იხილე 51-ე გვერდზე

ჯუმბერ ჯიშკარიანმა — მეცნიერმა, სპელეოლოგმა, დამსახურებულმა ჟურნალისტმა რაინდულად იცხოვრა. უფალმა სულიც რაინდული უბოძა.

შეხედავ — რაინდია, მოქმედებებში — რაინდი — მუდამ უშიშარი და გაბედული.

სჯერა, როგორც ნებისყოფის სიმტკიცის, ისე — ბედისწერის.

ერისკაცობაში, მეგობრობაში, თანამშრომლობაში უღალატოა.

აზროვნებაში, ღუმილში, ჭირსა შიგან თმენაში, გაუტეხელი.

არაერთხელ მიხილავს მისი ფაქიზი ურთიერთობა გაუიშვილთან.

ოდესმე ყველაფერს მოევლება, — ამბობს; ესეც რაინდული იმედია.

სიყვარულში ხომ რაინდია და რაინდი...

ახალი წიგნიც — „ჩვენი ოტია“ რაინდული გვაჩუქა, რომელიც გამოჩენილ მწერალს ოტია იოსელიანს ეძღვნება.

იგი ანალიტიკოსიცაა და დოკუმენტალისტიც. ჰუმანისტური ოპტიმიზმია მისი რელიგია. რწმენა ერთგულებას ითხოვს. საჭიროა სუბსტრატი, რომელსაც შეიძლება ამოუხსნელის პასუხისმგებლობა დააკისრო. მას სწამს ამგვარი ზეარსება. იგი რთული შემოქმედია.

წარსული თავდება მომავლისა. მასთან რაინდული სამყაროს კანონები უცვლელია.

ამ ასაკშიც კვლავ რაინდული, დიდებული, ურყევი რჩება ჯუმბერ ჯიშკარიანის გონება, ისევე, როგორც მისი ნერვები. მისი ქმედითი სული არასოდეს ისვენებს, არასოდეს სძინავს და არ თვლემს გულარხინად ეს ფხიზელი, დაუდგარი გონი.

ჯუმბერ ჯიშკარიანი სინამდვილეს ჭვრეტს არა მხოლოდ გონებით, არა მხოლოდ ჭკუით, არა მხოლოდ გრძნობით, არა ერთი რომელიმე უნარით, არამედ მთელი თავისი არსებით. ჯუმბერ ჯიშკარიანის ცხოვრების სტილი ინტიმური მეტყველებაა სულისა. დაე, იდინოს დრომ და თან მოიტანოს ახალი მოთხოვნებიანი. ახლა კი ვისურვოთ, რომ ეს საუცხოო ნიჭი დიდხანს ბრწყინავდეს მეცნიერებაშიც, ჟურნალისტიკაშიც და სპელეოლოგიაშიც.

ფასი თანადროულობისა ვიცით მხოლოდ წარსულთან ზიარებით.

დრო მიდის, დრო ამტკიცებს ჭეშმარიტებას.

ლუიზა ბოჩკოვა-ხეჩია,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი, რედაქტორი ჯუმბერ ჯიშკარიანის ჯერ დაუსტამბავი წიგნისა „ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან“.

კვლავ ქართლის ბედთან „მიმართებით“

სათაურში ირონიას შენიშნავდით, ასე დამახასიათებელს იმ შემოქმედისთვის, რომელსაც ეს წერილი ეძღვნება. წარმოვიდგინოთ, როგორ ჩართავდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისში დატრიალებული ამბების კალეიდოსკოპურ აღწერაში ახალი თაობის მეტყველების ამ „საუცხოო“ სიხლეს (მაგალითად, ასე: „საყვარელო, ძმაო გრიგოლ! რა მოგწერო თბილისთან მიმართებით? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა, მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არცერთ ხომალდს არ შეხვედრია“...).

იმდენად, რამდენადაც ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები მრავალგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა და მათში ყოველთვის შეიძლება დღევანდლობისთვისაც აქტუალური თემების „აღმოჩენა“, ისევ „ბედი ქართლისას“ მიუბრუნდეთ, მანამდე კი გავიხსენოთ, რომ ცნობილი ტექსტების ახლებური წაკითხვა, რაც ზოგადად ხელოვნებათმცოდნეობისა და, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებით პოპულარული პოსტმოდერნისტულ ეპოქაში გახდა, მკითხველის მსოფლაღქმაზე, თანამედროვე ეპოქით განსაზღვრულ მის ეთიკურ და ესთეტიკურ ფასეულობებზეა დამოკიდებული. პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები (ჟ. ლიოტარი, ლ. როზენბლატი, რ. ბარტი, ჟ. დერიდა) მკითხველს ტექსტის თანავტორად განიხილავენ, ზოგჯერ კი მას უფრო აღმატებულ მნიშვნელობასაც ანიჭებენ.

როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილმა პოემა 1839 წელს შექმნა და მასში გააცოცხლა ჩვენი ისტორიის ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი — საბედისწერო დამარცხება კრწანისის ბრძოლაში 1795 წელს და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა. მიჩნეულია, რომ ნაწარმოებით ავტორმა პატივი მიაგო ჩვენს წარსულს, დიდ წინაპრებსა და მათ „ანდერძნაბავს“ (თუმცა დღემდე კამათის საგნად დარჩა პერსონაჟთა პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ ავტორის დამოკიდებულების საკითხი). მაგრამ რატომღაც სათანადო ყურადღება არ მიქცევია იმას, რომ დიდოსტატმა საოცარი რეალისტურობით

გაგრძელება იხილეთ 52-ე გვერდზე

ე.წ. ლირიკული გადახვევებით გამოკვეთა თავისი თანამედროვე ქართველების ყოფა, მათი ფსიქოტიპიც (ამდენად, ნაწარმოების ანალიზისას ორი დროითი პლასტი უნდა გამოიყოს).

გავიხსენოთ ცნობილი ლირიკული ჩანართი, რომელიც პოემის მე-2 კარი იწყება: არაგვი ხმაურით მორბის ატეხილი ჭალების გულში, ტყიანი მთები მას მოძახილს ეუბნებიან... ეს საოცარი სურათი თვალს სტაცებს მნახველს და რადგან ბუნება ასე მომხიბლავად გამოიყურება, აბა, „ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს“, რომ არ შეჩერდეს?! ამ შეჩერებაში იგულისხმება ღვინის მირთმევა (3-ჯერ მაინც), ცხენის საძოვარზე მიშვება, განსვენება-თვალის მოტყუება და გამოღვიძებულზე „ქართველური“ შეძახილები... ეს ყველაფერი იმ შემთხვევაშიც ხდება (ამისკენ საგანგებოდ მიმართავს მკითხველის ყურადღებას ავტორი), როცა ქართველი „გზას ეშურება“ (ე.ი. უნდა იქაროს) და, მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, დააგვიანდება თავისი საქმეების აღსრულება, „იგი ამისთვის აღარ დაღონდეს“.

მაგანს ეს სტრიქონები ქართველის სილალის, დროსთან თავისებური – „ქართველური“ დამოკიდებულების დასტურად მოჰყავს, მაგრამ როცა ამ მონაკვეთს სხვა პოპულარულ ლირიკულ ჩანართში გამოთქმულ თვალსაზრისს დაეუკავშირებთ, მძიმე ვითარება დაინახება: ბარათაშვილის თანამედროვეთა უმრავლესობას, ნებსით თუ უნებლიეთ, საქვეყნო, მამულიშვილური სატკივრისთვის ზურგი უქცევია – მანდილოსნებს, „დედებს“ ეს სულისკვეთება წარსულში ჩარჩენიათ; „ჩრდილოეთის ქარს“ მათთვის, უპირველეს ყოვლისა, „ცხოველი გული“ შეუცვლია; საკუთარი სიამოვნებისთვის მათ მამულისა და შვილებისთვისაც ქოქოლა მიუყრიათ და „უცხო ტომობას“ ეპოტინებიან („რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?“). ამით გამოწვეული ავტორის გულისტკივილი ჩანს რემარკებში: „ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი მამულს ასული ახლა თქვენგარი?... რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?“ ქართველი ვაჟკაცები უკეთეს შემთხვევაში არხეინი,

უდარდელი ხასიათის გამოვლენაში გასჯიბრებიან ერთმანეთს; უარეს შემთხვევაში კი, როგორც ბიძის – გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილის ზემოთ მოტანილი ნაწევები ცხადყოფს, თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩრდილოკავკასიელების დათრგუნვაში.

განხილულ ლირიკულ ჩანართს მოსდევს მეფისა და მისი მსაჯულის უმნიშვნელოვანესი დიალოგი – „ქართლის ბედის გასამართლება“, თანამემამულეთა ქცევით გამოწვეული გულისტკივილი ერეკლესი („... აი მის ნაცვლად მე რა მომაპყრეს ჩემმა შვილებმა და ვინ ახარეს! ...ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ“...) და მისი მტკიცე გადაწყვეტილება („მას მინდა მივცე მემკვიდრეობა“...). აშკარაა, რომ გენიალური პოეტი ჩხრეკს თავისი დიდი პაპის მიერ გაკეთებული არჩევანის მოტივებს და მკითხველებს გვაიძულებს, ვიფიქროთ ეროვნული მენტალიტეტისა და პოლიტიკური ქართველების ურთიერთგანპირობებულობაზე, იმაზე, შეიცვალა თუ არა რამე ქართველთა თვითშემეცნებაში და როგორია ამჟამად ბედი ქართლისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ერის ღირსეული შვილი იყო, სისხლხორცეულად დაკავშირებული მის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან. პოეტის თვითირონიაც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომელიც მისმა ღირსეულმა შთამომავალმა – დიდმა ილიამ მოგვიანებით ასე ჩამოაყალიბა: მოთხრობას („კაცია-ადამიანი?!“) „მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს (მკითხველო)... შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო“... ქართული რომანტიკული სკოლის უძლიერეს წარმომადგენლად მიჩნეული ნ. ბარათაშვილი „მართლის თქმის“ ტრადიციის გამგრძელებლად და მე-19 საუკუნის სამოციანელთა იმ წინამორბედად უნდა ვაღიაროთ, რომელსაც სწამდა: „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“ და „ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდიონოს“.

ლილი თაბორიძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

„გონების გონიერება“

ზვიად გამსახურდია – გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი დასასრული

სიტყვა „ხანა“ -ს უქონლობა კიდევ ერთი ფაქტორით არის განპირობებული. „ხანაობა“ იქ იჩენს თავს, სადაც თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა არ არის. ქრისტიანული იდეალი კი მხოლოდ იქ ხორციელდება მთელი სისრულით, სადაც პიროვნების სრული თავისუფლებაა, სადაც ადამიანი თავისუფალი ნებით ეუბნება „ჰოს“ სულიერ სამყაროს, სადაც იდეალის სამსახური იძულებით თავზე მოხვეული უღელი როდია, არამედ პიროვნების ორგანული მოთხოვნილება, მისი ერთადერთი გზა (აქ გავიხსენოთ დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორი“). ევანგელური დევიზი: „ჭეშმარიტებამან განგათავისუფლეს თქვენ“, უნდა გადაიქცეს არა მარტო ცხოვრებისეულ კრედიტად, არამედ თავად ცხოვრებად.

რა შობს მოყვასისათვის თავგანწირვას? სიყვარული, ყოვლისმომცველი, უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი. რა შობს თავისუფლებას? იგივე სიყვარული, ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი. სად არიან ჩვენში მოწმენი უზენაესი ჭეშმარიტების სიყვარულისა? ესენი არიან გელათის აკადემიის აწ დახვავებული კედლები, ეს გახლავთ იყალთოს კიპარისების მისტიური სიჩუმე. სად არიან მოწმენი მოყვასისათვის თავგანწირვისა? ესენი გახლავთ ველები ანისისა, დიდგორისა, ბასიანისა, მანციკერტისა, მარაბდისა, კრწანისისა.

ახლა კი პირველთქმულს მივუბრუნდეთ. გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკულმა აღსასრულმა აღმიძრა ამგვარი ფიქრები ქართველი ადამიანის ხასიათთან დაკავშირებით. იგი დაუფიქრებლად გადაეშვა აბობოქრებულ ზღვაში რუსი ჭაბუკის გადასარჩენად. ის ჭაბუკი შემდეგ ვერტმფრენმა ამოიყვანა, გურამი კი დაიხრჩო.

უნებლიედ გვახსენდებიან სხვა ახლახან დაღუპული ქართველი ალპინისტები, განა მათი დაღუპვის მიზეზი მათი მდარე ოსტატობა იყო? არა, ეს გახლდათ სიმამაცე მოყვასისათვის თავგანწირვაში. ასეთები იყვნენ: თემურ კუხიანიძე, ჯუმბერ მემშირიაშვილი, მიხეილ ხერგიანი. მათი სახელის ხსენებისას უთუოდ გაგახსენდებათ დიდი რუსთაველი:

„მე იგი ვარ, ვინ საწუთროს არ ამოკვრებ
კიტრად ბერად,

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს
მღერად“.



გურამ რჩეულიშვილი

ეს სიტყვები უთუოდ ეპიტაფიად გამოადგებოდა გურამ რჩეულიშვილს!

გურამ რჩეულიშვილის მთელს არსებაში ხშირად მოვარდნილი სტიქიის მსგავსად ვლინდებოდა ის პრომეთესეული ცეცხლი, რომელსაც განათლებული ევროპელები ერთხმად უწოდებენ კოლხური, ქართული ხასიათის ძირეულ მახასიათებელს. რა არის პრომეთესეული ცეცხლი, თუ არა ცეცხლი სიყვარულისა, თავგანწირვისა? განა რად მიაჯაჭვეს პრომეთე – ამირანი კავკასიის ქედზე? იქნებ მივიღოთ მითიური ტიტანი ერის სულის პერსონიფიკაციად?

ჩვენი დროის ნაკლი ის გახლავთ, რომ მითოლოგიას ორგანულად აღარ განვიცდით.

მითის სამყარო მრავალთათვის ხელოვნური, ცხოვრებისეულ რეალობას მოწყვეტილი სამყაროა, სინამდვილეში კი მითის ცოცხალი განცდის დაკარგვა უკიდურესი გაფილისტერებაა ადამიანისა, ესაა თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების კრიზისისა და გაბერწების უმთავრესი მიზეზი. მითოლოგიაში მოცემულია კოსმიური და ადამიანური ყოფის არქეტიპული მოდელები. სწორად გაშიფრული მითი ადამიანური ცხოვრების მრავალ საიდუმლოს ხდის ფარდას.

კიდევ ერთი სისუსტე გვჩვენებს ადამიანებს: როდესაც ჩვენს გვერდით უჩვეულო ადამიანი დადის, ჩვენ მუდამ მისი „ჩვეულებრივი“ შტრიხების ძეგნით ვართ გართული, ხოლო ყოველივე ის, რაც გვეუცხოება მასში, გვსურს „უცნაურობის“, „ორიგინალობის თამაშს“ ან „პოზას“ მივაწეროთ. თუმცა ერთი რამ გვათავისუფლებს ხოლმე ამგვარი ფილისტერული ახლომხედველობისაგან: ეს არის სიკვდილი ამ ადამიანისა. პირუკუ, სიკვდილი ხშირად მეორე უკიდურესობაშიც კი გვაგდებს ხოლმე.

მასალა მოამზადა **სოფიო ჯაფარიძემ**



დავით შემოქმედელი – „ცოდვის ტირილი“

მკითხველისაგან სულიერი თანადგომა მწერლის უდიდესი მონაპოვარია. თავისი ნიჭის შინაგანი ბუნების ფარული გამოსხივებით მკითხველზე შემოქმედების უნარია. ღვთიური შინაგანაწესის ჭეშმარიტი ემოცია და განცდა, გრძნობების სიუხვე, მწერლის გარე სამყაროსთან ბუნებრივი შერწყმისა და მასთან თანაზიარობის უტყვი დასტურია.

დავით შემოქმედელის სულიერი წვა, ტკივილი, პიროვნული თვისებების, დახვეწილი გამოვნიებისა და მაღალზნობრივი ინტელექტის რეალური გაცხადებაა. „ცოდვის ტირილი“, – ასე უწოდა მან მოთხრობას. ამით სათაურიდანვე დააფიქრა მკითხველი და ადამისდროინდელი ზოგადკაცობრიული ცოდვის თანამედროვე განცდის შეცნობის უდიდესი სურვილით შთააგონა იგი.

თემა, რომელიც დავით შემოქმედელმა შეარჩია მოთხრობისათვის, ჩვენი ცხოვრების, ქართული სინამდვილის ტკივილიანი რეალობაა. თავისუფლების სისხლხორცეული შეგნება განსაკუთრებით ძლიერია მთიელ ხალხში, მით უმეტეს, სვანებში. მათი ადათები, საუკუნეობით დამკვიდრებული ტრადიციები სვანი მოსახლეობის თავისუფლების ბუნებრივი გარანტი გახლდათ. სვანების თავისუფლებისმოყვარული პატივი ერთ მშვენიერ დღეს საფრთხეში აღმოჩნდა...

მოთხრობის პირველივე წინადადებით ავტორი ამზადებს მკითხველს სიუჟეტში მოსალოდნელი სირთულეებისათვის: „ქარი ვალიაში გამომწყვედელი მხეცივით ღმუოდა“. რამ უნდა აიძულოს ადამიანი, რომ ასეთ „დაქნეული მათრახივით დახვეულ ბილიკს“ შეუდგეს და სიცოცხლე განსაცდელში ჩაიგდოს. ბექნუსა და ჯურხას მნიშვნელოვანი ცნობა უნდა მიეწოდებინათ მთის ამ მონაკვეთში მცხოვრებ სვანთათვის. მათთვის გვარლიანების გვარს უნდა გაეწია „პატრონობაც და ბატონობაც“. ამ გვარის (გვარლიანების) უპირატესობა ავტორმა სულ რამდენიმე წინადადებაში ისე ლაკონიურად განმარტა, რომ მხატვრულსიტყვაობის ეფექტმა მკითხველის ცნობისმოყვარეობა შთამბეჭდავად დაარწმუნა ამ გადაწყვეტილების აუცილებლობაში: „აბა, ასე უპატრონოდ სანამდე უნდა იყოს მთა მიგდებულო“ და მათი აფორიაქებული სულის დამშვიდებაც

შედლო თითქოს, თუმც, მწერლის სათუთი გემოვნება მკითხველს არ აძლევს მოდუნების საშუალებას.

„დაბლა, გზის ქვემოთ რუს ჩხრიალი ისე ისმოდა, თითქოს აუწყობელ ფანდურზე ვიდაც უკრავდა“. ეს არაჩვეულებრივი მეტაფორა ავტორისაგან მოზანდასხული გამოწვევაა მკითხველისა, რათა თავისი განცდები პირადულობის ჩარჩოდან გამოიყვანოს და ამ კუთხის საჭირობოტო საკითხს ზოგადეროვნული სახე მისცეს. მთიელი ხალხისათვის ერთსულოვანი გადაწყვეტილებების შეუვალი წესები თავს იჩენს უბატონო ხეობისათვის, ამ ახალი, მიუღებელი კანონის დამკვიდრებაშიც კი – „გვარში ერთიც არ უნდა დარჩენოდათ შემომტკიცების გარეშე“. გვარისკაცების შეკრებაზე ამ გადაწყვეტილების შეუვალობა ჯურხას პერსონაჟში გაორებას იწვევს, მისი შინაგანი ხმა არ ეთანხმება კრების გადაწყვეტილებას, რადგანაც იცოდა – „მთა ბატონს ვერ იგუებდა, თავისუფლების დამკარგველ ხუნდებს ვერ გაუძლებდა“. ჯურხა ის მთიელია, რომელსაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი საერთო გადაწყვეტილებების მორჩილება. მის პიროვნებას, მიუხედავად იმისა, რომ, სხვებისგან განსხვავებით, უპირატესად აზროვნებს და მოსალოდნელ სამიშროებასაც გრძნობს, ვერ ძალუძს თავის არსებაში ასეთი უსამართლობით დანთებული ცეცხლის ჩაქრობა. ბილიკზე მიმავალი სხვადასხვა მიზეზებს იშველიებს, რათა თავიდან აიცილოს გზის გაგრძელება და როცა ვერაფერს განდებდა, პირდაპირ უცხადებს თანამგზავს: „საშიშ და ხიფათიან საქმეს ვკიდებთ ხელს, ბექნუ“ – მისგან შეურაცხყოფელ პასუხს – „არ უნდა წამომეყვანე, ვაჟკაცს ასეთი სიმფრთხალე არ შეშვენის“ – უსიტყვოდ იტანს. ავტორი ისე ხატავს ბექნუს არასახარბიელო მისიას, რომ მკითხველი თანაბრად ავლენს მისადმი როგორც საყვედურს, ასევე სიბრაულს. საყვედურს გაუბედაობისა და მართალი ნების გამოუნატველობის გამო, ხოლო სიბრაულს იწვევს, როგორც მარტო მყოფი, მხარდამჭერების გარეშე ქვეცნობიერ, გაურკვეველ შიშს დამორჩილებული არსება. პიროვნება, ისიც სვანი ვაჟკაცი, ვერ დაუპირისპირდა საგვარეულოს. ამ პერსონაჟის

სისუსტე ის ოსტატური ხრიკია მწერლისა, რაც მოთხრობის ფინალს მეტად ამაღლებს და შთამბეჭდავს ხდის.

გვარის გადაწყვეტილებების მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა ის ეპიზოდი მოთხრობისა, რომელშიც ბერდო სტუმრებს აფრთხილებს: „ჩურჩულით ვილაპარაკოთ, ცოლმა არ გაგვიგოსო“. ავტორი ნათლად ამხელს პირად განწყობას ამ ფაქტის მიმართ და აცხადებს: „ბოლომდე მაინც არ ენდობოდა სხვა გვარის ქალს“.

გვარის გადაწყვეტილებები იმდენად შეუვალი იყო, რომ სხვა გვარის ყველაზე საყვარელ და ახლობელ ადამიანსაც კი არ გაენდობოდა. ამ ერთი პატარა მხატვრული მანევრით დავით შემოქმედელმა შექმნილი სიტუაციის სირთულე უფრო გაამწვავა და მკითხველის ინტერესი ერთიორად გააღვივა.

ავტორის ხელოვნების სიმაღლე აშკარაა. იგი თანამიმდევრული, მიზანდასახული თხრობით მიიწევს კულმინაციისაკენ, თითქოს გრძნობს მკითხველთა დაინტერესებას და თვალშისაცემია მწერლის პასუხისმგებლობა, გაამართლოს მათი მოლოდინი. არის მომენტები, მოთხრობის კითხვისას, როცა ავტორის გულის ფეთქვას ცხადად შეიგრძნობ. მწერალი მოთხრობის პერსონაჟებსა და მკითხველებს შორისაა გაჩხერილი და ამ სიტუაციიდან ვალდობდილი რომ გამოვიდეს, მისმა დადებითმა თუ უარყოფითმა პერსონაჟებმა სიმპათია უნდა მოიპოვონ. დიანს, ასეთია ავტორის მიზანი. კარგად ჩანს, თუ როგორ ესათუთება იგი თითოეულ გმირს და როგორი შემართებით მიიკვლევს გზას მკითხველის გულისაკენ.

საგანგებო კრებაზე ბექნუს განცხადება: „ხალხო, ეჭვს ვერ შეიტანო, რომ ჩვენი გვარი მთაში გამორჩეულია... ჩვენი გვარის გადაწყვეტილება საბოლოოა, მთა დღეიდან ჩვენ უნდა დაგვმორჩილდეს!“ – ნათელია, თუ რისი თქმა სურს ავტორს: დამთავრდა ის დრო, როდესაც გამორჩეულობისადმი მთიელთა მოწიწება, დაფასება, ვაჟკაცების მიმართ პატივისცემა მათი საუკუნეობით მომდინარე ადათ-წესებით გამყარებული შინაგანი ეთიკის ძირითადი და უმთავრესი გამოხატულება იყო. „ბარის წეს-წყობილებას რატომ უნდა ჩამოვრჩეთ?“ – მიმართავს ბექნუ შეკრებილებს. ამით თავს იჩენს ადამიანური წამხედურობა, ერის მონდომებით გარკვეულწილად გადაფარული ადამისდროინდელი ცოდვა, შეუცნობელის შეცნობისაკენ, ბიბლიური გველის შეგონების შესაბამისად ვითარდება. აქ, შესანიშნავადაა გამოკვეთილი მოთხრობის მთავარი თემა: ტირის ცოდვა დასაბამიდან, ადამიანთა მოღვაწეში მან ვერ მოიპოვა სინანული და გამოსყიდვა.

გამორჩეულობით გამოწვეული მედიდურობა გვარლიანებში პიკს აღწევს: „აღიარეთ ჩვენი ბატონობა, თორემ მომავალში სანანებელი გაგიხდებათ!“ – ისევ ბობოქრობს ბექნუ. ჯერეთ გაუგონარი რამ ხდება შეკრებაზე, რაც დაბნეულობასა და გაურკვეველობას

იწვევს მთიელებში. ძალმომრეობა აშკარაა. ეს ხდება არა გარეშეთაგან, არამედ შიგნით, ერთი მთის შვილებში.

გვარლიანების გვარში გაღვიძებულმა ბატონობის სურვილმა არტახები შეუხსნა სალიანების გვარიდან ცოდვის ამოხეთქვას, რამაც მათი გვარი ამოხოცა. – „გვარში არავინ დავტოვოთ!“ – შეძახილები სისხლში მოსვრილთა, სასოწარკვეთაა მათივე ნამოქმედართ შეძრწუნებული შიშმემდგარი ფიზიკური არსისა, მომავალი მონობის თავიდან ასაცილებლად. გავეშებულ ადამიანთა ხმაღს სალიანების გვარი ვერ გადაურჩა.

დავით შემოქმედელი, მართლაც რომ ღირსეული შემოქმედი. რამდენიმე აბზაცში მან შეძლო იმის ჩატევა, რასაც რომანიც კი ვერ დაიტევდა. რას უნდა მივაწეროთ ეს, თუ არა, მწერლის გონის მხატვრული აზროვნების დახვეწილ გენიას, გრძელი სიტყვის რუსთაველისეული გაგების (მოკლედ გამოთქმის) ფრთაშესხმას.

ომისათვის დამახასიათებელი შედეგის მაქსიმუმს მიაღწიეს სალიანებმა. შექმნილი სიტუაციის ემოციური სიმძაფრისათვის ავტორი მითიურ გმირებს აცოცხლებს: „ომის ღმერთი არესი ზეიმობდა“, თანატოსს თავისი ცივი ხელები შემოეხვია მთისთვის და სასიკვდილო სარეცელზე აწვევდა“. გულდათუთქულია ავტორი და აშკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას თავისუფალი, გალაღებული მთის ძალმომრეობის წინაშე დაჩოქების მიმართ. შესანიშნავია ის ფაქტი, რომ თავის გულისთქმაში მწერალმა მკითხველიც აიყოლია. ეპითეტები, მეტაფორები და შედარებები მოთხრობის არა მხოლოდ მხატვრულ ფორმას ემსახურება, არამედ სადად, უბრალოდ, მაგრამ შთამბეჭდავად წარმოაჩენს ავტორის გულისნაღებს – შური, მტრობა, ორგულობა და, რაც მთავარია, ამპარტავნება, თავისუფლების უპირველესი მტერი და ერთობის, სიმტკიცის ძირგამომთხრელი ამორალობაა.

მთიელი კაცის სიმკაცრე ოჯახში ქალის უსიტყვო მორჩილებას ითვალისწინებდა. ქალი ქმრის დაუკითხავ ნაბიჯს ვერ გადადგამდა. ამ შეულახავი წესების წინააღმდეგ ავტორი ქალის, როგორც დედის, გამჭრიახობას აპირისპირებს. უძლიერესია ქალი-დედა, მასში ჩაბუდებულ ამ ღვთიურ გრძნობას, ვერა კაცობა თუ ვაჟკაცობა ვერ გადაწონის. აკი, მოთხრობის დასაწყისში ჯურხამ ვერ შეძლო შეკრების გადაწყვეტილებისათვის შეწინააღმდეგება. უფრო მეტიც, მან ისეთი დავალება შეასრულა. რომელიც იცოდა, რომ უბედურებას მოიტანდა. ვაჟკაცობად მხოლოდ მთის დაუწერელი კანონების დამორჩილება და დაცვა ითვლებოდა. წლობით დამონებული სული ვერ სძლევდა ასეთი მორალის ბორკილებს.

სხვადასხვა გვარის მამაკაცებში ასეთმა გაუგონარმა სისხლისღვრამ მხოლოდ ერთი ვილაცის სინდისი გააღვიდა – „შეჩერდით, ხალხო!

რამ გაგაგიჟათ, განგება შეგრისხავთ“! – ყვიროდა ის, მაგრამ არავინ უსმენდა. ასეთი ვითარების ფონზე, ამ სისხლისღვრის მთავარი გმირის ცოლი შეიფარებს გვარლიანების ერთადერთ გადარჩენილ პატარა ბიჭუნას, რომელიც, სასოწარკვეთილი, შველას ითხოვდა. იდეალური ქალის მაღალზნეობრივი მხატვრული სახე ჩრდილავს და ამსხვრევს მთაში ვაჟკაცობის ნორმად დამკვიდრებულ ყველანაირ მორალს. გულიზარი გამხეცებულ ქმარს უწევს წინააღმდეგობას და არ ანებებს გვარლიანების ბიჭუნას. ჯამლეთი კი ცოლის დასაძლევად სხვებს მოუხმობს. უკანასკნელი გვარლიანის სიკვდილი გარდუვალია. სწორედ აქ იწყება ავტორის ზნემაღალი მხატვრული გონის მკაცრი გამოცდა.

როგორ მოიქცევა ქალი-დედა? – მან თავისი შვილი წარუდგინა გამხეცებულ ხალხს, რომელთაც დაუყოვნებლივ აღასრულეს მათში აყვილებული სისხლით დაუმცხრალი ეშმას ბოროტი ნება – „წამისუსწრაფესად ხალხმა საწადელი აღისრულა ისე, რომ არც იცოდა სინამდვილეში, ვის მოუსწრაფა სიცოცხლე“. მწერალმა არც ამ ბიჭუნას მკვლეელი წარმოაჩინა, ვინაიდან ამ სიტუაციაში არ შეიძლება ერთი იყოს მკვლეელი. დამნაშავე მთელი გვარია. ამით აშკარად ვხედავთ ავტორის მთავარი სათქმელი: ჯგუფური აზროვნების დრომოჭმულობისა და ინდივიდუალური მოწინავე ცნობიერების ახალ, ზოგადკაცობრიულ ასპექტში წარმოჩენისა. ვაჟკაცობა ხმლის მოქნევაში

არ გამოიხატება. ვაჟკაცობა ამაღლებული გრძნობაა, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტების საწონით საზღვრავს სამართალს. მოთხრობაში ვაჟკაცობა დამოუკიდებელი სიმბოლიკაა, რომლის სიმძიმეს ვერ უძლებენ მამაკაცები, ხოლო დედა – ქალი, გულიზარი კი ამ ზოგადკაცობრიული თვისების სულიერ რანგში მატარებელია, ამიტომაც შეძლო მან საკუთარი შვილის მსხვერპლად გაწირვა, სხვისი გვარის გადამრჩენელი დედა უფლის განგებას ქვეცნობიერში ახშიანებული შინაგანი რიტმით ერთმება და ამსხვრევს ოდინდელ შეხედულებას კაცების უპირატესობისა ქალებზე, როგორც პირად, ოჯახურ, ასევე საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. არ შეიძლება არ გაგახსენდეს რუსთაველი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

ნაწარმოების ფინალის სიმბოლოური გაგება სრულად აკმაყოფილებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას. – „ნაგვიანვეი მგ ზავრისათვის ძნელი გასაბელი უნდა ყოფილიყო პირდაღებული ხევის თავზე, მთის ციცაბო ბილიკზე სვლა“, – ამ მეტაფორით დავით შემოქმედელმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ გვარი უფლისგანაა კურთხეული და მოკვდავთა ხელიდან ის ვერ გადაშენდება. ძნელია წინსვლისათვის ფეხის აწყობა, მაგრამ არავის ძალუძს მისი შეჩერება, მაშინაც კი, „როცა ცის დასალიერზე მოვარე სუსტად ციაგებს.“

მუდამ სიკეთის მოესველი

80 წელი შეუსრულდა შესანიშნავ პიროვნებას, ქართული წიგნის მოამაგეს, მწერალს, მთარგმნელს, პუბლიცისტსა და ჟურნალისტს აკაკი ბრეგაძეს, რომელიც ათწლეულების მანძილზე მუხლჩაუხრელად, რუღუნებითა და სიყვარულით ემსახურება ქართული წიგნის გამოცემის საქმეს.

იმვითად შემხვედრია ადამიანი, რომელიც გამუდმებით ისე ზრუნავდა ბავშვის წიგნთან ურთიერთობაზე, მის ინტელექტუალურ აღზრდაზე, როგორც ბატონი აკაკი ბრეგაძე. სწორედ საქართველოს მომავალზე ფიქრი და ზრუნვა ხდის მას სუფთა, კრისტალურ პიროვნებად, იმ მეგობრად, ვისთან ერთადაც „შეიძლება დაზვერვაში წასვლა“, ვისაც შეუძლია სხვისი სიკეთით და წარმატებით გახარება, ვინც იცის ჭეშმარიტი შემოქმედის ფასი და ვისაც არასდროს ღალატობს ლიტერატურული გემოვნება. ამის უტყუარი დასტურია მის მიერ შექმნილი პატრიოტულ-შემეცნებითი საბავშვო გაზეთი „ციცინათელა“, რომელსაც დიდი მოწონება აქვს არა მხოლოდ მოზარდებში, არამედ უფროსებში. თავისი ოჯახის წევრებთან ერთად დაიწყო მან დიდებული საქმე – საბავშვო წიგნების სერია „საკითხავი ყმაწვილთათვის“ გამოცემა, ხოლო 2007 წლიდან გამოსცემს უბრწყინვალეს მრავალტომეულს „მწიგნობრობა ქართული“, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველა ოჯახში უნდა იდოს. დიდი მადლობა მას და მის დიდებულ ოჯახს ამ საგანძურისათვის.

შრომასა და კეთილი საქმისათვის უანგარო გარჯაში გავიდა წლები, თავის დაბადების 80 წლისთავს მხნედ, შემართებითა და ენერგიით სავსე ხვდება შესანიშნავი მთარგმნელი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი იუბილარი აკაკი ბრეგაძე. დღევანდელი, ჯანმრთელობა, სიკეთე და სიხარული არ მოგკლებოდეთ, ბატონო აკაკი!

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

ივანე ჯაფარიძე,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, ქალაქ ჭიათურის საპატიო მოქალაქე

ნიკოლოზ შამუგია – ძველბერძნულ-რომაული სიძველეთმცოდნეობის სპეციალისტი. სწავლობდა ჯერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ – პიზის სკუოლა ნორმალე სუპერიორეში. მთარგმნელობა ბაკალავრიატზე სწავლის პერიოდში დაიწყო. პირველად თარგმნა ლექსები უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლებიდან“. ამას მოჰყვა ახალი ბერძნული, ძველი ბერძნული და იტალიური მწერლობის ნიმუშთა გადმოღება ქართულ ენაზე. ეს თარგმანები იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში: „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ანეული“, „ჩემი აფხაზეთი“. აღსანიშნავია ჰესიოდეს „თეოგონიის“ ნიკოლოზ შამუგიასეული თარგმანი შენიშენებითა და ბოლოსიტყვით, რომელიც 2013 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოაქვეყნა „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ მეჩვიდმეტე ტომში. ნიკოლოზ შამუგიას ეკუთვნის ვალაკტიონის სამი ლექსის („თოვლი“, „ვერხები“ და „ქარი ჰქრის“) იტალიური თარგმანი; ისინი მთარგმნელის წინასიტყვი დაიბეჭდა სიენის უნივერსიტეტის ლიტერატურულ ჟურნალში „სემინერკიო: რივისტა დი პოეზია კომპარატა“ 2014 წელს.



წინამდებარე ხუთი ლექსიდან თითოეულს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათ ავტორთა შემოქმედებაში. **ეუჯენიო მონტალე** „ძვირფასო, შენთან ხელჩაკიდებულს...“ მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენსამე წელში დაწერა. მის მეუღლეს კარგი მხედველობა არ ჰქონდა; ეს იგულისხმება კიდევ ლექსის ბოლოსწინა სტრიქონში... თუმცა ავტორის მთავარი სათქმელი სწორედ მეუღლის თვალებითაა შთაგონებული: წლების შემდეგაც პოეტს არ განელებია ის განცდა, რომ ცოლის სახით მან დაკარგა ადამიანი, ვინც მეგზურობას უწევდა ცხოვრებაში.

ჩეზარე პავეზე 1950 წლის მარტ-აპრილში, თვითმკვლელობამდე ხუთიოდე თვით ადრე, დაწერა ლექსების კრებული: „მოვა სიკვდილი და ექნება შენი თვალები“. წინამდებარე ლექსი კრებულიდან ერთ-ერთია და იმავე სათაურს ატარებს. პოეტმა იგი კონსტანს დოულინგს მიუძღვნა, სამიოდე თვით ადრე რომში გაცნობილ ამერიკელ მსახიობს, ვინც უიმედოდ შეჰყვარებოდა და ვინც ამერიკაში დაბრუნებულიყო, რათა ჰოლივუდში ეცადა ბედი.

ჯუზეპე უნგარეტი ჯარისკაცი იყო პირველ მსოფლიო ომში. წინამდებარე ორი ლექსი სწორედ ომში მყოფმა დაწერა. ლექსი „დილა“ იმ განწყობას ასახავს, რაც ერთხელ ზამთარში, ცისკრისას, მზის ამოსვლისას დაუფლდა გაშლილ ველზე მყოფ ჯარისკაც პოეტს.

სალვატორე კვაზიმოდოს „და მეყსეულად დგება დაისს“ შექმნის კონკრეტული ისტორია არ აქვს. პირველად იგი 29 წლის ასაკში დაბეჭდა მომავალმა ნობელიანტმა, როგორც ლექს „მარტობანის“ ფინალი. მხოლოდ შემდეგ გამოცემებში იქცა იგი დამოუკიდებელ ლექსად.

ეუჯენიო მონტალე

ძვირფასო, შენთან ხელჩაკიდებულს...

ძვირფასო, შენთან ხელჩაკიდებულს, სულ მცირე, მირიადი კიბე მაინც ჩამომივლია.

ახლა, როს გვერდით აღარ მყავხარ, სიცარიელეა ყოველ საფეხურზე.

ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი დიდი მოგზაურობა!

მე კვლავ მგზავრი ვარ,

ვისაც განრიგი ან დაჯავშნა აღარ

სჭირდება,

ვისაც არ ელის არც საფრთხე, არც დამცირება მათი მხრიდან,
რომელთაც ჰგონიათ, რაც ჩანს, ოდენ ეგ არის ნამდვილი.

ძვირფასო, შენთან ხელჩაკიდებულს, სულ მცირე, მირიადი კიბე
მანც ჩამომივლია.

ცხადია, ხელში ხელს გჭიდებდი არა იმიტომ, თითქოს ოთხი თვალი უკეთ
ხედავდეს.

არა! კიბეები შენთან ერთად მე იმიტომ ჩამოვიარე, რომ ვიცოდი,

ჩვენ ორთაგან მხოლოდ შენი, ოდნავ მზერადანისლული თვალები ხედავდნენ
სამყაროს ნამდვილს.

ჩეზარე პავეზე

მოვა სიკვდილი, შემომხედავს შენი თვალებით

მოვა სიკვდილი, შემომხედავს შენი თვალებით,

ბედი სიკვდილი – განთიადიდან მიმწუნხრამდე ჩვენი მღევარი,
დაუძინარი, ყრუ, ვინც თან გვლევს, ვით აბსურდული
მანკიერება, ან ვით ოდინდელ შეცდომაზე სინდისის ქენჯნა.

დაედრებიან ეგ თვალები ამაო სიტყვებს,

აღფრთოვანებას, გულში ჩაკლულს, ღუმელს, სიჩუმეს.

სწორედ ასეთად ხედავ კიდევ საკუთარ თვალებს,

როცა სარკეში იყურები ცისმარე დილას

და ამჩნევ მხოლოდ საკუთარით შემოფარგლულ „მეს“.

ჩემო იმედო, იმ დღეს, როცა სიკვდილი მოვა,

ჩვენც მივხვდებით, რომ ხარ სიცოცხლეც და ხარ არყოფნაც.

სიკვდილი ყველას განსხვავებულ მზერას აგებებს.

მოვა სიკვდილი, შემომხედავს შენი თვალებით.

და მაშინ თითქოს განქარდება მანკიერება;

როცა სარკეში ჩაიხედავ, თითქოს იხილავ,

რომ ზედაპირზე გარდაცვლილი სახე ჩნდება ფსკერიდან;

თითქოს ვიღაცის დადუმებულ ბაგეთაგან ხმას გაიგონებ.

ჩავესვენებით ცივ მორევში სიტყვაუთქმელად.

ჯუზეპე უნგარეტი

სალვატორე კვაზიმოდო

ჯარისკაცები

და მეყსეულად დგება დაისი

შეკვიდებივართ სიცოცხლეს,
როგორც შემოდგომისას ხეებს – ფოთლები.

მარტო დგას ყველა წუთისოფლის გულზე,
მკერდში მზის სხივი აქვს განწონილი:
და მეყსეულად დგება დაისი.

დილა

ვნათლები
უსაზღვრობით.

იტალიურიდან თარგმნა ნიკოლოზ შამუგიაძე



წერილი შვილიშვილს*

– ჩემო ძვირფასო შვილიშვილო, არ მინდა, რომ ეს საშობაო წერილი მეტისმეტად დამრიგებლურად ჟღერდეს, დე ამიჩისის მსგავსად, გასწავლიდეს მოყვასის, კაცობრიობის სიყვარულს და მსგავს რამეებს. შენ ამას არც მოუსმენდი (უკვე დიდი ხარ, მე კი – მეტისმეტად მოხუცი), რადგან ფასეულობების სისტემა იმდენად შეიცვალა, ჩემი რეკომენდაციები შეიძლება უადგილოც კი აღმოჩნდეს.

მამ ასე, მინდა ერთადერთი რჩევა მოგცე, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად გამოგადგეს უკვე ახლა, როცა შენს პლანშეტში ხარ თავჩარბული. არ მოგცემ შენიშვნას, რომ შეეშვა მაგ საქმიანობას, რათა სულელ მოხუცად არ ჩამთვალო. მით უმეტეს, თავადაც ვიყენებ მას.

უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება გირჩიო, ყურადღება არ შეაჩერო ასობით პორნოგრაფიულ ვებგვერდზე, რომლებიც სექსუალურ თამაშებს წარმოაჩენენ ადამიანებს შორის, ადამიანსა და ცხოველებს შორის.

არ დაიჯერო, რომ სექსუალური ურთიერთობები ამ საკმაოდ მონოტონურ ქმედებებამდე მიდის. ეს სცენები იმისთვის არის მოფიქრებული, რომ შენ სახლში დაგაბან, იმის ნაცვლად, რომ წახვიდე და რეალური გოგონები გაიცნო.

ვიმედოვნებ, ჰეტეროსექსუალი ხარ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი რეკომენდაციები შენი სიტუაციის შესაბამისად მიიღე, ოღონდ უყურე გოგონებს სკოლაში და სათამაშო მოედნებზე, მერწმუნე, ისინი სატალღევიზიო პერსონაჟებს ჯობიან და ოდესმე გაცილებით დიდ სიხარულს გაჩუქებენ, ვიდრე გოგონები ონლაინ.

დამიჯერე, რადგან მე მეტი გამოცდილება მაქვს (მე რომ მხოლოდ კომპიუტერით მეყურებინა სექსუალური თამაშებისთვის, მამაშენი არასდროს დაიბადებოდა და არც შენ გაჩნდებოდი ამქვეყნად).

თუმცა მე ამაზე სულაც არ მსურდა შენთან საუბარი, არამედ დაავადებაზე, რომელმაც შთანთქა შენი და წინამორბედი თაობა, რომელიც უკვე უნივერსიტეტებში სწავლობს. მე მეხსიერების დაკარგვაზე გელაპარაკები.

მართალია, რომ თუ მოისურვებ იმის გაგებას, ვინ არის კარლ დიდი ან სად მდებარეობს კუალა-ლუმპური, შეგიძლია მარტივად დააჭირო ღილაკს თითი და მაშინვე შეიტყო ყველაფერი ინტერნეტიდან. გააკეთე ეს, როცა დაგჭირდება, მაგრამ როდესაც საჭირო ცნობებს მიიღებ, ეცადე, მათი შინაარსი დაიხსოვო, რათა მეორედ არ ეძებო, როცა ეს ცოდნა კიდევ დაგჭირდება, მაგალითად, სკოლაში.

იცოცხლე, რა არის ცული? იმის შეგრძნება, რომ კომპიუტერს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გასცეს პასუხი შენს შეკითხვას, გიქრობს სურვილს, ინფორმაცია დაიმასსოვრო. ამ მოვლენას შემიძლია შემიდეგი შედარება მოვეუბნო: როდესაც ადამიანი შეიტყობს, რომ ერთი ქუჩიდან მეორემდე შეიძლება ავტობუსით ან მეტროთი მისვლა, რაც ძალიან მოსახერხებელია, როცა გეჩქარება, რასაკვირველია, გადაწყვეტს, რომ აღარ არის აუცილებელი, ფეხით იაროს. მაგრამ თუ შენ სიარულს შეწყვეტ, გადაიტყვევი ადამიანად, რომელიც იძულებული იქნება, ინვალიდის ეტლით გადაადგილდეს. ო, ვიცოცხლე, რომ სპორტით ხარ დაკავებული და შეგიძლია საკუთარი სხეულის მართვა, მაგრამ დაუბრუნდეთ შენს ტვინს.

მეხსიერება შენი ფეხების კუნთებს ჰგავს. თუ მათ გავარჯიშებას შეწყვეტ, ის მოღუნდება და შენ (ოღონდ არ გეწყინოს) იდიოტად გადაიტყვევი. გარდა ამისა, ჩვენ ყველას გვემუქრება სიბერეში ალცჰაიმერის დასნებოვნების საშიშროება და ამ უსიავონების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა, გამუდმებით ვავარჯიშოთ ჩვენი მეხსიერება.

აი, როგორია ჩემი რეცეპტი. ყოველ დღით ზებირად ისწავლე რომელიმე მოკლე ლექსი, როგორც ჩვენ ბავშვობაში გვთხოვდნენ ხოლმე. შეიძლება, მეგობრებთან ერთად შეჯიბრება მოაწყო, ვის აქვს საუკეთესო მეხსიერება.

თუ პოეზია არ მოგწონს, შეგიძლია, საფეხბურთო კლუბების შემადგენლობა დაიმასსოვრო, მაგრამ არა მხოლოდ რომის საკლუბო გუნდის მოთამაშეების სახელები უნდა იცოდე, არამედ სხვა გუნდებისაც, ასევე მათი შემადგენლობა გასულ წლებში (წარმოიდგინე, მე მასსოვს ტურინის კლუბის მოთამაშეების სახელები, რომლებიც სუპერგის მთაზე ავიაკატასტროფას ემსხვერპლნენ: ბაჩიგალუპო, ბელარინი, მაროზო და ა.შ.).

*„დაიზებირე“ – ასე უწოდა თავის საახალწლო მიმართვას შვილიშვილისადმი იტალიელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა უმბერტო ეკომ. შემთხვევით როდი დაურქმევია ეს სახელწოდება – ბარათი მიუძღვნა ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც ჰქონდა და აქვს ადამიანს – მეხსიერებას. წერილი, მართლაც, შთაბეჭდავია, ამიტომაც ვუზიარებთ ჩვენს მკითხველს.

შევეჯობრეთ ერთმანეთს იმაში, თუ ვის ახსოვს უკეთ წაკითხული წიგნების შინაარსი, ახსოვთ თუ არა შენს ამხანაგებს სამი მუშაკეტერიისა და დარტანიანის მსახურთა სახელები (გრიმო, ბაზენი, მუშაკეტონი და პლანშე)... და თუ არ გინდა „სამი მუშაკეტერიის“ წაკითხვა (თუმცა შენ არც კი იცი, რას კარგავ ამით), მსგავსი თამაში შეგიძლია მოიგონო იმ წიგნისთვის, რომელიც წაკითხე. ეს თამაშს ჰგავს, ჰო, ეს თამაშია, მაგრამ დაინახავ, შენი თავი როგორ შეივსება პერსონაჟებით, ამბებით და სრულიად განსხვავებული მოგონებებით. მკითხავ, ოდესღაც რატომ უწოდებდნენ კომპიუტერს ელექტრონულ ტვინს. იმიტომ, რომ ის ჩაფიქრებული იყო შენი (ჩვენი) ტვინის მოდელის მიხედვით, მაგრამ ადამიანის ტვინს გაცილებით მეტი კავშირი აქვს, ვიდრე კომპიუტერს.

ტვინი ეს ისეთი კომპიუტერია, რომელიც ყოველთვის შენთან არის, მისი შესაძლებლობები განივრცობა გავარჯიშების შედეგად, შენი სამაგიდო კომპიუტერი კი ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ სიჩქარეს კარგავს და რამდენიმე წელში სულაც გამოსაცვლელია. აი, ტვინს კი შეუძლია, 90 წლამდე გემსახუროს, და ოთხმოცდაათი წლისას, თუ ტვინს გამუდმებით ავარჯიშებ, გაცილებით მეტი რამ გეხსომება, ვიდრე ახლა. თანაც, ტვინი უფასოა.

კიდევ არსებობს ისტორიული მენსიერება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფაქტებთან შენი ცხოვრებიდან, ან იმასთან, რაც შენ წაგიკითხავს. ის იმ მოვლენებს ინახავს, რომლებიც შენს დაბადებამდე მოხდა.

როდესაც დღეს კინოთეატრში მიეშურები, აუცილებლად ფილმის დაწყებამდე უნდა მიხვიდე. როცა ფილმი იწყება, მაშინაც თითქოს სულ ხელს გკიდებენ და გიხსნიან, რა ხდება. ჩემს დროს შეიძლებოდა, კინოთეატრში ნებისმიერ მომენტში მისულიყავი, ფილმის შუალედშიც კი. უამრავი მოვლენა მომხდარა შენს მისვლამდე და გიწვედა იმის წარმოსახვა, თუ რა მოხდა მანამდე.

როცა ფილმი თავიდან იწყებოდა, შესაძლებლობა გქონდა, გენახა, სწორი იყო თუ არა შენი რეკონსტრუქცია. თუ ფილმი მოგწონდა, შეგეძლო დარჩენილიყავი და ხელახლა გენახა. ცხოვრება მაგონებს ფილმის ყურებას ჩვენს დროში.

ჩვენ იმ მომენტში ვიბადებით, როცა უკვე მრავალი მოვლენა მომხდარა ასობით ათასი წლის განმავლობაში და მნიშვნელოვანია იმის გაგება, მაინც რა მოხდა ჩვენს დაბადებამდე. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ უკეთ მიხვდე, რატომ ხდება დღეს ამდენი ახალი მოვლენა.

დღეს სკოლას ალბათ აქვს ვალდებულება, გასწავლოს ის, რაც შენს დაბადებამდე მოხდა, მაგრამ ეს მას ცუდად გამოისის. სხვადასხვა გამოკითხვით დასტურდება, რომ დღევანდელმა ახალგაზრდობამ, საუნივერსიტეტოამაც კი, რომელიც 1990-იან წლებშია დაბადებული, არ იცის, ან იქნებ, არც უნდა, იცოდეს, რა ხდებოდა 1980 წელს, რომ ადარაფერი ვთქვათ 50 წლის წინანდელ მოვლენებზე.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ როდესაც ახალგაზრდებს ეკითხებიან, ვინ არის ალდო მორო, ისინი პასუხობენ, რომ იგი „წითელ ბრიგადებს“

მეთაურობდა, არადა, სწორედ ამ იატაკქვეშა მემარცხენე რადიკალური ორგანიზაციის წევრებმა მოკლეს.

„წითელი ბრიგადების“ მოღვაწეობა ბევრისთვის საიდუმლოდ რჩება, არადა ისინი სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ იდგნენ პოლიტიკურ სცენაზე. მე 1932 წელს დავიბადე, ათ წელიწადში მას მერე, რაც ხელისუფლებაში ფაშისტები მოვიდნენ, მაგრამ ვიცოდი, ვინ იყო პრემიერ-მინისტრი რომში გამართული მარშის დროს. შეიძლება, ფაშისტურ სკოლაში მიამბეს მასზე, რომ აესხნათ, რა სულელი და ცუდი იყო ის მინისტრი, ფაშისტების მიერ ჩანაცვლებული. დაე, ასე იყოს, მაგრამ მე ვიცოდი ეს. თუმცა სკოლას თავი დავანებოთ.

დღევანდელმა ახალგაზრდობამ არ იცის ოცი წლის წინანდელი კინომსახიობების სახელები, მე კი ვიცოდი, ვინ იყო ფრანჩესკა ბერტინი, რომელიც ჩემს დაბადებამდე ოცი წლით ადრე თამაშობდა მუნჯ კინოში. იქნებ, იმიტომ ვიცოდი, რომ ჩვენი სახლის სხვენზე დაყრილ ძველ ჟურნალებს ვფურცლავდი. შენც გთავაზობ ძველი ჟურნალების თვალიერებას, რადგან ეს დაგეხმარება იმის გაგებაში, რა ხდებოდა შენს დაბადებამდე.

მაგრამ რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, იცოდე შორეული წარსულის მოვლენები? იმიტომ, რომ ხშირად მსგავსი ცოდნა გვეხმარება დღევანდელი მოვლენების მსვლელობის გაგებაში და ნებისმიერ შემთხვევაში, ისევე, როგორც საფეხბურთო გუნდების შემადგენლობის ცოდნა, მენსიერების გამდიდრებაში გვეხმარება.

დამიხსოვრე, რომ შენ შეგიძლია ავარჯიშო შენი მენსიერება არა მხოლოდ წიგნებისა და ჟურნალების დახმარებით, არამედ ინტერნეტის დახმარებითაც. ის არა მხოლოდ იმისთვის არის გამოსადეგი, რომ მეგობრებთან იყბედო, არამედ მსოფლიო ისტორიის შესასწავლადაც. ვინ არიან ხეთები და კამიზარები? რა ერქვა კოლუმბის სამ გემს? როდის გადაშენდნენ დინოზავრები? ჰქონდა თუ არა საჭე ნოეს კილობანს? რა ერქვა ხარის წინაპარს? ასი წლის წინ მეტი ვეფხვი იყო თუ ახლა? რა იცი მალის იმპერიაზე? ვინ გაიამბო მის შესახებ? ვინ იყო ისტორიაში მეორე პაპი? როდის შეიქმნა მიკი მაუსი?

შეკითხვების დასმა შემიძლია, უსასრულოდ გაგავრძელო, და ისინი შესანიშნავ თემებად იქცეოდა კვლევისთვის. ეს ყველაფერი უნდა გახსოვდეს. დადგება ის დღეც, როცა დაბერდები, მაგრამ იგრძნობ, რომ ათასობით ცხოვრება გაგივლია, თითქოს ვატერლოოს ბრძოლაში მიგიღია მონაწილეობა, იულიუს ცეზარის მკვლელობას დასწრებიხარ, იყავი იმ ადგილას, სადაც იყო ბერტოლდ შვარცი, რომელიც სხვადასხვა ნივთიერებას აზავებდა ოქროს მისაღებად, შემთხვევით კი ღენთი მოიგონა და ცაში აიწია (ასე უნდა მაგას!). ხოლო შენი სხვა მეგობრები, რომლებიც არ იზრუნებენ მენსიერების გამდიდრებაზე, მხოლოდ ერთ, საკუთარ ცხოვრებას გაივლიან, მონოტონურსა და დიდ ემოციებს მოკლებულს.

ჰოდა, ასე, გაიძიდრე შენი მენსიერება და ხვალ ზეპირად დაისწავლე „La Vispa Teresa“.

თარგმნა **ლელა ზურებიანმა**

ბი ა ჰ ი ნ ა შ ვ ი ლ ი



გია ბიპინაშვილი დაიბადა 1958 წლის 12 ივნისს და გარდაიცვალა 1982 წლის 18 აპრილს. იგი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა და დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მოასწრო, დაეტოვებინა პოეზიის ულამაზესი ნიმუშები.

გია მოვლენათა აღწერის უზადო ოსტატია, მისი ლექსები ნაღველსაც იწვევს და იმედსაც უსახავს მკითხველს.

მისი პოეტური კრებულიდან შემოთავაზებული ნიმუშები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და ამიტომ ითარგმნა ორ ენაზე – რუსულად და გერმანულად.

მისივე ლექსებით მიგულოცოთ მას დაბადების დღე, ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

მთარგმნელი ნინო მჭედლიშვილი

ნ ა ვ ე ბ ი

ზღვას ნარნარით მიაპობენ ნავები,
ფარფატებენ გაბერილი აფრები.
თამაშობენ, ქანაობენ ანძები,
ცას ქათქათა შეუბია ბაფთები.
ჯერ არ სჩანან, ჯერ არ სჩანან ქარები,
ცისფერ ზეცას არ შეუკრავს წარბები,
ჯერ კვლავ სძინავთ, არ ამდგარან ტალღები,
მძინარე ზღვას მიაპობენ ნავები.
მიაპობენ, ზვირთებს ჭრიან ნავები,
ფარფატებენ სიოსაგან აფრები
და გაისმის ხმა ბუკის და დაფების,
ცამ დაჰკიდა შავი ბაირაღები.
როს ისევე ცას მოაწვა დარღები,
შავი ღრუბლის დასცა ბრძოლის კარვები.
ისრებივით დაუშინა წვეთები,
ქარიშხალი ჩაუყენა ფლანგებში.
შთასანთქმელად აიფოფრნენ ტალღები,
თავს დაატყდათ ნავებს ზეცის ჯარები,
დაუსველდათ, დაეფლითათ აფრები,
გადაუტყდათ, გადაემსხვრათ ანძები.
დაეძგერა დასაპყრობად სტიქია,
გაახვია ძონძებში და ძაძებში...
და დაჰყვირის: ჩაკვლავთ თუ არ დამნებდით,
მაგრამ მაინც წინ მიდიან ნავები.
წინ მიდიან, წინ მიჰქრიან ნავები,
უკან დარჩნენ, ტალღები და ქარები,
ჩაეხუტნენ ნაპირს, გულზე დაადეს,
ბრძოლისაგან გაოფლილი თავები.

ტ ა ძ ა რ შ ი

სანთელი ციმციმებს, სანთელი ღნება,
სანთელი ტირის, მერე კი კვდება.
ტაძარში გალობენ, მე ვუსმენ ჰანგებს,
ო, რა საოცრად მიქარვებს დარღებს.
თუმცა იქავე ვილაცა ტირის
და სწორედ მისკენ გამიბრბის ფიქრი.
ვილაცა ოხრავს, ჩურჩულებს ლოცვას
და საცოდავად მოთქვამს და მოთქვამს.
დაჩოქილები იწერენ პირჯვარს
და ბუტბუტებენ: „უფალო, წმინდავ.“
გალობა წყდება, მოთქვამენ ისევ
და მათხოვრებიც მიჰკვირან კიბეს.
ტაძარში ბნელა, მხოლოდ სანთლები
აცისკროვნებენ ხატების სახეს.
წმინდა გიორგი, მიძღვნია თავი –
ამ ცოდვილთათვის, შეუნდე, ამინ!
სანთელი ციმციმებს, სანთელი ღნება,
სანთელი ტირის და მერე კვდება...

ქ ო ხ ი

სადღაც შორით, ხეთა შორის,
მიყუჟულა კენტად ქოხი,
ამ ღამეში მასაც ჰღვიძავს,
ბჟუტავს ჭრაქი უცხო ფორმით.
სევდიანად იყურება,
ამჩნევია შუბლზე ღარი,
ხედავ? მასაც ამ ცხოვრების –
დასტყობია ჭმუნვის დაღი.
გააბოლა ყალიონი
ბუნარიდან აღის კვამლი.
მასაც ალბათ ნაზი ფერით
დაუნატავს ოცნებანი.
ან იქნება მოგონება
მოუხმია იმას მარტო
და ეგების მომავალზე
ის წარსული უფრო ატკობს.
როცა იყო ახალგაზრდა,
ახსოვს ტრფობით გონის რევა,
აბა რაა, ახლა საწყალს –
მალე ჭერიც ჩაექცევა.
წვიმა აწვიმს ყავარიდან,
ზეცის ცრემლი წვეთავს, წვეთავს,
ახსოვს, ახსოვს ის დღეები
და ღიმილით გული სწყდება.
ახსოვს, ახსოვს მას ის ქოხი,
მის მახლობლად რომ უყვარდა;
ახსოვს ის ხე, თავზე ნაზად –
მწვანე თითებს რომ უსვამდა.
ეთვლიმება უკვე მოხუცს,
ჩაექინდრა თეთრი თავი,
ჩაეფერფლა ყალიონი
და მბჟუტავი ჩაქრა ჭრაქიც
და სიომაც მოიტანა
მისი გულის მოოხება,
ასე იცის, ასე იცის
ოცნებამ და მოგონებამ.



ნიმუ აქადიოზიცი

Лодки

Лодки нежно плывут вперед,
Слишны чудесные голоса:
Развеваются надутые паруса,
Играют, качаются мачты,
Небо себе завязал белые банты,
Как символ простоты и чистоты.
Ветров не видно, не видно ветров,
А также не видно на небе облаков,
Голубое небо не хмурится еще,
Не встали волны, спят еще.
В спящем море плывут лодки,
Плывут, колют лодки волны,
И вдруг слышен звук трубы,
Как знак морской борбы.
Развеваются от ветра паруса...
Как только небо охватит тоска,
Так и пишется ветром строка.
Небо повесило черные флаги,
Разбило лагерь черных знамен,
Стрелами набросало капли,
Бьют капли, как могут, камни,
А ветер отправлен на фланги.
Вступили в борьбу волны,
Морским злом они полны,
Наступили безжалостно на лодки,
Намочились, растрепались паруса,
Сломались и сокрушились мачты,
Подчиняет себе все сразу стихия,
Выполнимая у нее миссия,
Окутал их трауром и тряпьем...
И кричит им: «сдайтесь живьем.»
Но плывут лодки вперед,
Идут вперед, мчатся вперед...
Вот отстали волны и ветры...
И обняли лодки берег,
Прильнули...любя друг друга,
Устали от боя, от страшного испуга,
И, там же, на сердце земли
С запотевшими волосами прилегли.

В соборе

Свеча мерцает, свеча горит,
Свеча плачет, потом умирает.
В соборе поют, слышу я звуки,
О, как чудно, разгоняет тоски.
Но там кто-то стоит и плачет,
И к нему стремятся мысли мои.
Кто-то вздыхает, шепчет, молится
И так, несчастный, плачет и плачет.
Все крестятся стоя на коленях,
«Господи,.. Святой,..» шепчут о страданиях
И нищие у лесницы стоят
В своих разочарованиях.
В соборе темно и только свечи
Дают искру иконам лучи.
Святой Георги, молюсь за них...
Прости их...
Покаются в грехах своих.
Свеча мерцает, свеча горит,
Свеча плачет, потом умирает.

Лачужка

Где-то далеко между деревьями
Лачужка стоит одинокая.
И ей не спится этой ночью
Горит лампада иной формою.
Выглядит она печально,
И клеймо на лбу не случайно,
Знак жизни своей суровой,
Знак мечты заветной, безнадёжной.
Подкурил трубку свою,
С камина идет дым вовсю.
Дым как утешение,
Мечты прошлой озарение.
Может прошлое ему дороже,
Чем сомнительное будущее,
Что же.....
Когда была она молода,
Стояла влюбленная горда,
Не уходили быстрее года,
Видела милую рядом тогда.
Ну, а теперь, бедная одна.
Крыша валится на ее глазах,
Нет будущего в ее слезах.
Дождь капает сверху
Превращаясь в волны...
Капают небесные слезы...
А она в мечтах....

На небесах... в слезах...
Улыбка прошлого на устах.
Вспоминает лачужку желанную,
Рядом нежную,
А над ней дерево зеленое
Зелеными пальцами ласкало сонное.
Вздремнет уже старик,
Повесил белую голову и
Окунулся во сне мужик,
Пеплом стала трубка его
И мерцающая лампада
Погасла, как свидетель всего.
А ветерок принес отчаянье,
Минутное приятное страдание.
И так знает, вот так знает,
Мечта и воспоминание.

Студень-декабрь, 2013

Перевод Нино Мчедlishvili

Die Boote

Die Boote schwimmen im Meer zärtlich, sanft,
Die geschwellte Segel der Boote flattern,
zappeln zart,
Die Mastbäume spielen, schaukeln frei,
Wohl freuen sie sich über reine Räume dabei.
Noch nicht kommen die Winde,
noch nicht kommen,
Wehen sie wohl, wehen in den fernen Räumen.
Blauer Himmel zieht die Augenbrauen noch
nicht zusammen,
Sind noch nicht aufgestanden, schlafen
die Wogen zusammen.
Die Boote schwimmen kühn
im schlafenden Meer,
Schwimmen sie durch die Wogen,
wollen den Boden nicht mehr,
Vom Windchen flattern,
zappeln Segel der Boote.
Plötzlich hört man die Sturmgeläute
vom Himmel,
Die schwarzen Wolken decken
im Nu den Himmel,
Der Himmel ist mit Gram und
Kummer wieder gefüllt,
Schlug er die Kampfszelte der schwarzen
Wolken auf



თივის ლოგინი

სკოლაში შორს მიხდებოდა სიარული. ამიტომ დილით ძალიან ადრე მიწვევდა ადგომა, სკოლის შემდეგ კი იმ ოთხკილომეტრიან აღმართს ამოვითავებდი, ჩანთას დავაგებდი, ყველს და პურს ავიღებდი და საქონლის საძებნელად წავიდოდი, ვეძებდი გაუთავებლად ტყე-ღრეებში, ხეებსა თუ სათიბებში, ძლივს მოვუყრიდი თავს, ასე ხდებოდა თითქმის ყოველ დღე, ხშირ შემთხვევაში, შეღამებისას ვბრუნდებოდი შინ, თუ ერთი მათგანი მაკლდა, დასჯა არ ამცდებოდა, თუ ძილის წინ გაკვეთილებს არ ჩავაბარებდი, მაშინაც. მერე, როცა არდადეგები იწყებოდა, რომელიც ერთი შვება იყო ბავშვებისთვის ეძინათ, ენებოდათ, დაესვენათ. მე, როგორც ჩემი სოფლის ყმაწვილების უმეტესობა, მთელ ზაფხულს მთაში ვატარებდი. იქ კი, დილის ექვსზე თუ არ ადგებოდი, ძროხების ჩამოწვევას ვერ მოასწრებდი, აიშლებოდნენ, საძოვრებზე გაგასწრებდნენ. არადა ყველაზე მაგრად იმ დროს მინდებოდა ძილი, გამთენიისას, როცა მთის პირველყოფილი შეციებული ქარი დაბერავდა, ჩვენი ქონის ქვემოთ, მარად მოხმაურე ჩანჩქერებიან ხევიდან. მე კი ჩათბუნული ვიწექი, უხეშად გამოთლილ ხის ლოგინში, რაც მაშინ საერთოდ არ მაწუხებდა. ერთი დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის მარიობის დღესასწაულის წინა დღეებში ბარად ჩამობარგება, მერე ისევ სკოლაში სიარული, ფეხით, რვა კილომეტრის გავლა ყოველდღე...

მაგრამ იყო ამაზე უფრო რთული პერიოდი, რასაც ყველაზე მეტად ვერ ვიტანდი, ეს იყო შემოდგომის დასაწყისში, მთიდან ხარებით თივის ჩამოტანა, ეს ერთადერთი იყო, რასაც სკოლაში სიარული მერჩია. ღამის პირველი-ორი საათისთვის ვიწყებდით სახლიდან გასვლას, მთელი ღამე უნდა გვეწოწიალა, ჩვენს ხარებიანად, ხან ხეებზე, ხან რიყზე,

ხან კედელივით აღმართულ უღრანში, უცნაურად დაკლაკნილ, სამარხივ გზაზე, რომ გამთენიისას ადგილზე ვყოფილიყავით. სულ ტანში მცრიდა ხოლმე, როცა მამაჩემი სამზადისს იწყებდა, უღელს ადგამდა ზანტ ხარებს, ხმამაღალი შეძახილებით რომ აჩქარებდა. მათ, ცხადია, ჩემზე მეტად ეზარებოდათ ეს ყველაფერი. შემდეგ უღელზე ჯაჭვით მარხილს აბამდა, უღელის შუაში ჭრაქს ამავრებდა, იმ კუნაპეტ ღამეში ხარებსაც რომ დაენახათ გზა. ასე ზოზინით ავივლიდით სოფლის ორღობებს, ორივე მხრიდან რომ მარხილის ხრივინით დამფრთხალი ძაღლები გვხვდებოდნენ ჭიშკართან ყეფით, რასაც ჩვენი ძაღლებიც აყვებოდნენ ხოლმე. სოფლის ბოლოს შორიდან მოკვრავდი თვალს შორს, ტყის სიღრმეში მოციმციმე რამდენიმე წერტილს, ვიღაცებს უკვე გაესწროთ ჩვენთვის, ისინიც ისე ნელა მოძრაობდნენ, მეგონა, ის წერტილები ერთ ადგილზე ციმციმებდნენ.

გავიარეთ წისქვილებიანი ხევი, შევედით თხმელიან უღრანში, სადან ხშირი ნეშომპალა ფარავს საურმე გზას. ამ რბილ ნიადაგზე, უხმაუროდ მივივარო, მე უკან მივეყვები ბარბაცით, ნახევრად მძინარე. ჩემს პატარა ანთებულ, ხელის ფარანს მოვატარებ ხოლმე გარშემო, ზოგან ხის ძირში ღორები მიწოლილან ერთმანეთზე, ერთ ადგილას დახვავებულ ხმელ ფოთლებზე, ისე ტკბილად სძინავთ, მეც მინდება მიუწვე და მზის ამოსვლამდე ჩავთვლიძო. ისევ შორს გავიხედე, იმ მოციმციმე წერტილებს ვუახლოვდებით, ნუთუ მათზე სწრაფად ვმოძრაობთ? არა მგონია! იქ ერთი დიდი ძოლია, სადაც დიდი პანტა მსხლელები დგას, ასევე ბებერი კაკლის ხეები, სადაც თხმელის ძირას, ცივი წყარო მორაკრაკებს, იქ ვისვენებთ ხოლმე და ერთმანეთს ველოდებით. ამ ადგილს „მოცალადაშტვ“, იგივე „უბრალოდ სადათვე“ ჰქვია, რადგან ზაფხულის მიწურულს ამ მწიფე მსხლელებს დათვები შემოეჩვევიან ხოლმე. წლების წინ, როცა მამაჩემთან ერთად აქ ამოვიარეთ, მსხლის ჭამით გართულმა, ერთმა დამშეულმა დათუნამ ეტყობა გვიანდა იცნოსა ჩვენი მიახლოება, ჩვენ იმ სიბნელეში, ცხადია, ვერაფერი დავინახეთ, მაგრამ მიხვდით ჩვენი ბალანაშლილი ძაღლი როგორ გავარდა ყეფით, შემდეგ ტოტების ლეწვის, ძირს დავარდნის ხმა გავიგეთ. ფარანის შუქზე წამიერად უზარმაზარი მხეციც კი დავლანდეთ. ადრე ჩვენი მონადირეები ხშირად იჭერდნენ მსხალზე დაგებული „ტროსებით“. ალბათ რომელიმე მათგანმა ბელებიანი დათვი დაიჭირა, უპატრონო ბელები კი მთიდან ძაღლით მომავალ მამაჩემს გადაყრიან, – ასე უთავბოლოდ რომ დაეხეტებოდნენ ტყეში.

მაშინ უზარმაზარი აზიური ჯიშის ძაღლი გვყავდა – თეთრი, გრძელბეწვა „ჯოლორი“, გაავებული დატაკებია იმ საცოდავებს, უსუსური ბელები ყოფილან, ჩარევია მამაჩემი, გავველება უცდია, ვერაფერი გაუწყვია სიავისგან დაბრძავებულ ძაღლთან, შემდეგ იძულებული გამხდარა, ნაჯახის ყუით ეცემა, გაუშველებია, მაგრამ ერთი გზაზე მოკვდომია, მეორე – გვარიანად დასისხლიანებული სახლში მოიყვანა,

მასსოვს, რა საყვარელი არსება იყო, დამფრთხალი, ოთახის კუთხეში მიყუჟული, ახლოს რომ არავის იკარებდა, რომ მისთვის მოეხრათ. კი მოუარეს მაგრამ, რამდენიმე კვირაში მაინც მოგვიკვდა.

როგორც იქნა, ჩვენც ავივაკეთ. უძინარი, მძიმე დღის მომლოდინე კაცები უხასიათოდ, უბრად ისხდნენ, თავჩაქინდრულნი, ზოგი მათგანი იქნებ თვლემდა კიდევ. მხოლოდ ხარების ქშენა და ერთმანეთს გამოძწევად დატოლებული ძაღლების ღრენა არღვევდა იმ შიშისმგვრელ სიჩუმეს. შემდეგ ვდგებოდით და ასე ზოხინით მივეყვებოდით აღმართებს. მე, ხშირ შემთხვევაში, გავუსწრებდი ხოლმე, მერჩია მამაჩემის ამოსვლამდე, სულ ბეჭით მეწიკა თივა კლდოვან, ძეძვებიან ადგილებზე, ვიდრე აქოშინებული, გატანჯული ხარებისთვის მეყურებინა უკნიდან. თივა ისედაც ბეჭით იყო გამოსაზიდი, იქამდე, სადაც მარხილი უნდა შეგვეკრა. ისედაც სხვებზე ადრე უნდა მოვრჩენილიყავით, მაღლიდან წამომსვლელთათვის ხელი რომ არ შეგვეშალა.

ადგილზე მისულს, სწორედ ის შემთხვევა გამახსენდა. ერთხელ იმ მთაში ჩვენ მიერ დათბული თივის შესაგროვებლად წავედით მე და მამაჩემი, პატარა-პატარა ზვინებს ვდგამდით, თივას ისე ვანაწილებდით, წინასწარ ვიცოდით, მარხილზე რამდენი მთავსდებოდა, რამდენი მარხილი გამოვიდოდა. დამთავრება ვერ მოვასწარით, მზე ჩასვლაზე იყო. მეორედ ამ სიშორეზე ამოსვლად არ ღირდა, მან დარჩენა გადაწყვიტა, რადგან საგზალი უკვე შემოლუული გვქონდა. მირჩია, სახლში წავსულიყავი, მე, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი, ან მარტო როგორ დავტოვებდი, როცა იმ მომენტისთვის ისედაც ვერ იყო კარგად. ლოგინად, ბლომად თივა შევაგროვეთ ერთ დავაკებულ ადგილას, ცხადია, ღია ცის ქვეშ. მამაჩემი ცოტა ხნით სადღაც გაუჩინარადა, მერე დაბრუნდა, სვანური ქუდი მოცვის და მაყვლის მწიფე ნაყოფით ბლომდე გაეკსო, ისეთი გემრიელი არასდროს ყოფილა ეს დალოცილი კენკრა. თავიდან დაძინება გამიჭირდა. დამეული, უცნაური ხმები მიშლიდნენ ხელს, ბოლოს კი, როგორც იქნა, ჩამთვლიძა. მთელი დღე უამრავი, მსხვილი, მწვანე კალიების ნაყურებს, ეტყობა სიზმარში ჩამყვა ის იდუმალი განცდა, რასაც მაშინ განვიცდიდი. მეძინა და მთელი ღამე სიზმრებში დავხტოდი, სანამ დილის სიცივემ არ გამაღვიძა.

სოფელი „მუსორკა“

ვოლგის წყალსაცავის ჩრდილოეთით, ერთ მიგდებულ სოფელში უზარმაზარი წისქვილკომბინატი შენდებოდა, იქ მოვეწყვეთ სამუშაოზე. ოთხნი ვიყავით. ნორმალური ანაზღაურება გვქონდა, სამარადნ ოთხი საათის სავალი იყო ავტობუსით, ამიტომ გადაწყვიტეთ, დროებით მაინც, რადგან მთელი ზაფხულის გატარება იქ გვიწევდა, ადგილზე გვექირავებინა რამე სახლი, ან თავშესაფარი, როგორც არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ

გავიჭედეთ, იმ სოფელში ისეთი აბდაუბდა, უცნაური ჯიშის ხალხი ცხოვრობდა, მივხვდით, მათთან არაფერი გამოვიდოდა.

უფროსმა ინჟინერმა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩვენ მიმართ, საიდანღაც სპეციალური, საცხოვრებლად განკუთვნილი ვაგონი მოათრია, კი მოვთავსდით, მაგრამ საშინელება იყო იმაში ცხოვრება, ერთი კვირა ძლივს გავძელით. სხვა გზა არ იყო, სხვა რამე უნდა გვეღონა, ბოლოს შევთანხმდით, სოფლის განაპირას მდგარი, მიტოვებული დიდი ხის მაღაზია დაგვეკავებინა. გარგად გავასუფთავეთ, რაღაც-რაღაცები შევაკეთეთ, მინები ჩავასმევით, დანარჩენზე თავად იზრუნეს, ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი ორი კარადა დაგვიდგეს, ასევე მაგიდა და პატარა, ნახევრად ჟანგბანი მაცივარი. რამდენიმე დღე უშუქოდ ვიყავით, იატაკზე დაგდებულ ლეიბებზე გვეძინა, ერთი კვირაში კი ყველაფერი მოგვარდა, ახალი ჩემბაც კი დაგვიდგეს ეზოში, ერთი სიტყვით, საბოლოოდ კომფორტულად მოვთავსდით. ყოველი კვირის ბოლოს, რიგრიგობით მივიღოდით ქალაქში, ჩემი მეგობრებისთვის იქ წასვლა თუნდაც ერთი დღით, დიდი შვება იყო. მათ უცებ მოიწყინეს, მათგან განსხვავებით, ჩემთვის დიდი ფუფუნება აქ ცხოვრება იყო, სრული თავისუფლების განცდა დამეუფლა. მათი კიდევ მიკვირდა, ცხადია, კარგი იყო რბილ ლოგინში მოწოდებული ჩაის სმა და მოწოდებულ გოგონასთან ერთად კოტრიალი, მაგრამ იმ გაგანია ჩემთვის ომის დროს, სისხლს გვიშრობდნენ ძალოვნები, სულზე იყვნენ ადგილობრივი პილიციელები, როგორმე კავკასიელი დაეჭირათ, ეწვალბინათ, დაემცირებინათ. მათ სულ ფეხებზე ეკიდათ, შენ პატიოსანი იყავი, ქურდი თუ დაქირავებული მკვლელი, მათთვის ყველა კავკასიელი ერთი ფეხები იყო, „ჩორნაჟობი“ და მორჩა. ხო და, რა ძალა მედგა, მეც ვიყავი იმ სიმშვიდეში, ულაამაზეს, მოველურო ბუნებაში, უსწორმასწორო, მაგრამ უკიდევანოდ გამლილ, უხვმოსავლიანი მინდვრების შუაგულში, ზოგან ტბები, ტბების ბოლოს კი ხშირი ტყე იყო, სოფელშიც ბლომად იდგა აკაციის და ცაცხვის ხეები, ზაფხულის დასაწყისში მათი ტკბილი სურნელი, ფერმის ახლო-მახლოს მძაფრსუნთან ჰაერს რომ ერთვოდა. ნატურალური სოფლის პროდუქტი სულ ყელამდე გვქონდა.

ქალაქიდან რაღაც აქოთებული სპირტიანი სასმელი ჩამოგვქონდა, ნაცნობ სომხებთან ვმოულობდით „ლეკად“. აქ კი, ნახევარლიტრინ ბოთლებში ვასხამდით, ასე ვანაწილებდით, შემდეგ დავარიგებდით, დავარიგებდით და... ზოგს ერთი ვედრო უგემრიელესი ცოცხალი თევზი მოჰქონდა, ზოგს – ბოსტნეული ან კარტოფილი, ზოგს კიდევ რძის ნაწარმი, მოკლედ. ვცხოვრობდით და ვიყავით. ესენი კიდევ სულზე იყვნენ, აქედან წასვლას. აქ თავს მაინც არავინ გვამაღლიდა, მათი რუსული წარმომავლობით, მთელ მოსახლეობას ბაშკირები, ყაზახები და ყაზახეთიდან ჩამოსახლებული გერმანელები წარმოადგენდნენ, ეს იმ გერმანელების ჩამომავლები იყვნენ, სტალინურ რეპრესიებამდე

რომ გაერიდნენ განკულაკებს და რუსეთის ყველა ტერიტორიიდან ყაზახეთში გაიხიზნენ, სადაც 1880 წლიდან არსებობდა გერმანული დასახლებები, მაგრამ ტირანს სად გაექცეოდნენ, ჯერ ყველანაირი ქონება ჩამოართვეს, შემდეგ ვითომდა, გერმანიის სასარგებლოდ, შპიონაჟის ბრალდებით ზოგი დახვრიტეს, ზოგი დაიჭირეს, ზოგიც გადაასახლეს. გადარჩენილები, მოგვიანებით დაუბრუნდნენ თავიანთ გაციებულ კერას. ახლა კი აქ, ამ სოფლის მაცხოვრებელთა უძრავლესობას წარმოადგენდნენ.

სოფელში ერთი ადგილი იყო, სადაც კვირაობით ფრემბურთს ვთამაშობდით, იქ იკრიბებოდნენ ხოლმე ძალიან უგემოვნოდ ჩაცმული ახალგაზრდები, მოზარდები, ბავშვები, ერთ თორმეტი წლის გოგონას თავისი უძცროსი და-ძმა მოჰყავდა ხოლმე ხელჩაკიდებული. უცნაურად ლამაზი ბავშვები იყვნენ, განსხვავებული ნაკვებით, ყველასგან გამორჩეულნი. როცა ასე რამდენჯერმე შევათვალთქვეყნა მათგანი, უცებ ის გოგონა წამომიხტა: „რას გვიყურებ?“ მეც გაღიბებულმა ავუსხებნი ამის მიზეზი, მივხვდი, რომ ეს იამოვნა, თავის და-ძმას გადაავლო თვალი და რატომღაც ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მითხრა: „ჩვენ გერმანელები ვართ!“ მისმა ამ ნათქვამმა, რაღაცნაირი სევდანარევი სიხარულით ამავსო. თუმცა იქ მათი გერმანელობა არაფერ შუაში იყო, ალბათ პირიქით, ისინი ჩვენზე მეტი შავგერმანები იყვნენ.

მოგვიანებით ორი რუსი შემოგვისასხლეს, არ გვაწყობდა, მაგრამ უარიც ვერ ვუთხარით, რადგან მათგან დიდად ვიყავით დავალებულნი. ფართი ისედაც დიდი იყო, ერთი კუთხე ცალკე გატიხრეს და იქ მოთავსდნენ. ისინიც მუშები იყვნენ, იქ მუშაობდნენ, სადაც ჩვენ. წისქვილკომბინატში ელექტრობა გაჰყავდათ. ორივე შუახანს გადაცილებული მამაკაცი იყო, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხასიათებით. ერთს სმა უყვარდა, როგორც კი ფულს მოიხელთებდა, სულ გათიშული ეგდო, ერთხელ სახეგადატყავებული დაბრუნდა შინ, რა დაგემართა-მეთქი, ვკითხე: „არ ვიცი, მხოლოდ ის მასხოვს, ჩვეულებრივად მოვდიოდი და ასფალტი აღიმართა ჩემს წინ კედელივით“, – მიპასუხა. მეორე პირიქით, სასძელს ვერ იტანდა, სუნსაც კი. თავისებური ტიპი იყო, სულ გაზეთებში იქექებოდა, ისედაც ძალიან ნაკითხი კაცი ჩანდა, ეტყობა, ერთ დროს სულ სხვა კაცი იყო და გაუთავებელმა ლოთობამ ელექტრიკოსობამდე დააქვეითა. ასეთი რამ ხშირად ხდება იქ. ამიტომ ასე ვერ იტანდა. ასეთ შემთხვევაში იშვიათია ორი ასეთი განსხვავებული ხასიათის ადამიანის ერთმანეთთან თანაცხოვრება.

ისინი კი ერთად ცხოვრობდნენ, ცხოვრობდნენ იმიტომ, რომ ძმები იყვნენ. მსემელი უფრო კარგი საურთიერთობო კაცი გამოდგა, მეორე რამდენიმე დღე არც კი გვესალმებოდა, ამის გამო ჩვენი ბიჭებისგან საყვედური მიიღო, მას მერე გამარჯობას კი ამბობდა, მაგრამ ზედაც არ გვიყურებდა, თითქოს მისთვის არც

ვასებობდით, სულ ტელევიზორს იყო მიშტერებული, ხან თუ გადი-გამოდიოდა სახლში, სულ რაღაც ეჭირა ხელში და კითხულობდა. მე მაინც ავაწყვე მასთან ურთიერთობა, რადგან ვგრძნობდი, რომ წიგნიერი კაცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ვითომ ლიტერატურის ღრმა მცოდნემ, მასთან წავიმარიაჟე და ტიუტჩევზე ჩამოვუვადე სიტყვა, მან კი ცივად მითხრა, პოეზიას ვერ ვიტანო, ჩვენი ურთიერთობა დღითი-დღე უფრო საინტერესო ხდებოდა. უფრო სწორად ნიკოლაი ვასილევინმა დაგვაასლოვა, ჭკუა ეკეტებოდა გოგოლზე, იმდენად ჰქონდა შეტოპილი, საკუთარ თავში ბოლომდე დარწმუნებული, თავისივე ვერსიებს მთავაზობდა, როგორც „მკვდარ სულელებზე“, ასევე მისი ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მე მაშინ წაკითხულიც არ მქონდა გოგოლის ეს შედეგრი, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ასე საინტერესოდ და ემოციურად მიხსნიდა ყველა დეტალს, ერთი შერეკილი კაცის ნაბოღვარი მეგონა, მერე, როცა წავკითხე, შემრცხვა. ის, რაც მისი საუბრებიდან მასხოვდა, დიდად დამეხმარა, ბოლომდე ჩაწვდომოდი ამ მართლა გენიალური ნაწარმოების, არა მხოლოდ შინაარსს, არამედ იმ დაფარულ მხარესაც, რაც ყველა რიგითი მკითხველისთვის ძნელი მისაგნებია. ის ათასნაირი მისტიკურ, უცნაურ, დაუჯერებელ ამბებს მიყვებოდა, ამის შესახებ. მასხოვს, ისე იჭრებოდა როლებში, დაძაბული ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, მეგონა, ეს ხორციანი კაცი, მიხაილ სემიონოვიჩ საბაკვიჩის ანსახიერებდა. რატომღაც ჰგავდა კიდევ. ის ნამდვილი რუსი იყო, ყველაზე ჭეშმარიტი, მათგან, ვინც მანამდე მენახა. ერთ დღეს ის და მისი ძმა პოლიტიკაზე ბჭობდნენ, აპროტესტებდნენ, თუ რატომ არ ეხმარებოდა რუსეთი იუგოსლავიას, მათ მოძმე ერს, როცა მას ნატო და შეერთებული შტატები ასე თავხედურად დაესხნენ თავს, იგინებოდნენ, ერთ ამბავში იყვნენ. მე ვინ მეკითხებოდა, როცა ასე თავხედურად ჩავერთე და ვუთხარი, რომ ამერიკასთან მოჭიდავედ რუსეთი არ ვარგოდა, იქ ცხოვრების დონე შეუდარებლად მაღალი იყო, არანაირი კორუფცია, მაღალი ანაზღაურება, აქ კი დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, როგორ ცხოვრობს ხალხი. მეგონა, აგრესიულად მიპასუხებდნენ, მაგრამ სულაც არა, ჩემთან დაახლოებულმა კაცმა, მოულოდნელად, მზერა შემოატარა მთელი ოთახში, ჯერ ჭერზე მბჟუტავ ნათურას ახედა, შემდეგ მაცივარს, მაცივრიდან ტელევიზორზე გადაიტანა მზერა, სადაც რომელიღაც წამყვან, ინდუსტრიულ, ევროპულ ქალაქს აჩვენებდნენ, შემდეგ მე მომიბრუნდა და მშვიდად მითხრა: „ეს ყველაფერი ხომ არ არსებობდა ერთ დროს, მაგრამ ვიყავით“.

ამ პასუხის შემდეგ მივხვდი, რატომ შემოატარა მზერა იმ ნივთებზე, ნათქვამში მთელი ცივილიზაცია იგულისხმა, იგულისხმა ის, რომ ისინი მზად იყვნენ ყველაფრის დასათმობად, პირველობის გარდა. კიდევ იმას მივხვდი, რომ ასეთ ხალხთან კინკლაობას აზრი არ აქვს.

ოცდაექვსი საუკუნე საქართველოში

1945-46 წლებში, ე.წ. დიდი სამამაშლო ომის დამთავრებისთანავე, ცხინვალის ლენინგორში (ახალგორი) ებრაელთა სამი-ოთხი ოჯახი დასახლდა. მათი თავკაცები ჯარის, მაკულატურის, ცხოველთა ძეგლებისა და სხვადასხვა ნარჩენის შეგროვებით იყვნენ დაკავებული. ამისათვის განკუთვნილ საწყობებში ისინი ათასგვარ წვრილმან საყოფაცხოვრებო ნივთებსაც ყიდდნენ...

მცირე ასაკის მიუხედავად, კარგად მასსოვს ახალმოსახლე ებრაელთა მრავალშვილიან ოჯახებში უფროსებთან ერთად შვილთა მუხლჩაუხრელი შრომა და იმდროინდელ დუხჭირ ცხოვრებაში ლუკმაპურის მოსაპოვებლად მათი გარჯა. ახალმოსახლე ებრაელობა ერთობ უცხო სხეულად მოეგვინა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების მქონე ახალგორელ ხალხს. მაგრამ სტუმართა მხრიდან საყოველთაოდ ცნობილმა იშვიათმა ნიჭმა, ადამიანთა შორის დამაკავშირებელმა უნარმა და თბილმა დამოკიდებულებამ გააღწია მასპინძელთა გულები და ისინი ღირსეული მოქალაქენი გახდნენ. მათი შვილები ახალგორის საშუალო სკოლაში სწავლობდნენ. უფრო მოზრდილები, მათი შესაძლებლობების შესაბამისად, სხვადასხვა დაწესებულებაში მსახურობდნენ.

იუდეველთა მხრიდან ქრისტიანობის დევნამ, ისე როგორც მთელს მსოფლიოში და საქართველოში, ჩვენს დაბაშიც ჰპოვა თავისი ადგილი. უფროსები პატარებს ებრაელთა მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების შესახებ გვაფრთხილებდნენ. მაგრამ ჩვენს ცნობისმოყვარეობას და ბავშვურ გულუბრყვილო კეთილგანწყობას რა შეუშლიდა ხელს. ჩვენი უბნის ბავშვები ებრაელ პატარებთან სიხარულსა და მწუხარებას ერთად ვიყოფდით.

მასსოვს ექვსი წლის ასაკში თანატოლ ებრაელ ბავშვთან ურთიერთობა. მას ანზორი ერქვა. იგი უაღრესად გონიერი და საზრიანი ბიჭი იყო, რითაც თანატოლების პატივისცემას იმსახურებდა. ჩვენ ტყის მახლობლად ვცხოვრობდით და მიმდებარე ველზე, ხატებსა და საფლავებს შორის მწვანე მინდორზე ხშირად ვთამაშობდით. საბავშვო ბაღშიც ერთად დავდიოდით. დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, მუდამ უზრუნველად და ბედნიერად ვგრძობდით თავს. შემდეგ პირველ კლასშიც ერთად მოგვიხდა სწავლა. გავიდა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს ანზორი აღარ გამოცხადდა სკოლაში, არც მინდორში სათამაშოდ გამოჩენილა. როგორც შემდეგ გავიგე, იგი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ცხინვალში დაბრუნებულიყო.

გავიდა ხანი... 50-იანი წლების მიწურულს სამ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც, ძირითადად, მოღვაწეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ყოფილი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლები: იოსებ ცისკარიშვილი, ალექსანდრე მექვაბიშვილი, ოთარ ქაჯაია, კარპეს დონაძე, მეგრელიშვილი და სხვები. აგრეთვე მესიერებას შემორჩა სტუდენტთა ერთი ნაწილი, რომელიც ინსტიტუტს აკადემიური მოსწრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით გარკვეულ ტონს აძლევდა. აი ისინიც: პოეზიასა და იუმორში გაწაფული აღმანზორ თავაძე, სიდამონ წერეთელი (ირაკლი წერეთლის მამა), დურმიშხან აბაშიძე, დომენტი იასეშვილი, როლანდ ოვაშვილი, ნანა როსტიაშვილი, არჩილ ჩიტიშვილი, აწ განსვენებული ანზორ ფუხაევი, ფელიქს სანაკოევი და სხვები. მაგრამ სტუდენტთა შორის იყო ერთი შეხედვით შეუმჩნეველი და მოკრძალებული, ყოველთვის მოწესრიგებული, სათნო შესახედაობის ახლგაზრდა, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი გერმონ წიწუაშვილი. ზოგი სტუდენტი თუ მოდის კვალდაკვალ ძვირფასად იმოსებოდა და მათ უმრავლესობა, შეძლებისადაგვარად, ბაძვდა კიდევ, ისინი რესტორნებსა და გასართობ ადგილებსაც არ იკლებდნენ. სუფთად და სადად ჩაცმული გერმონი ვიზუალურად არავისზე ნაკლებად არ გამოიყურებოდა და გამორჩეულად მუდამ მიზანსწრაფული და მობილიზებული ყოველთვის სწავლასთან და სასარგებლო საქმესთან იყო დაკავშირებული.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევაა თქვენი მონა-მორჩილის სამოცდაათწლიანი ცხოვრების გადასახედიდან, როცა ისეთი შეჭირვებული ოჯახის შვილი, როგორც ბატონი გერმონ წიწუაშვილი გახლდათ, ჯერ სანიშნულ სტუდენტი, შემდეგ პოეტი, მწერალი და მოგვიანებით ისრაელში ერთ-ერთი გაზეთის მთავარი რედაქტორი გახდა, იგი ქართულ-ებრაული ურთიერთობების მკვლევარი და ებრაელი ერის წიგნთა-წიგნის „თორას“ ერთ-ერთი მთარგმნელია. დღეს ის ისრაელის ქალაქ იერუსალიმში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

...50-იანი წლების დასასრულს, პატარა, კოპწია ქალაქს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და ვსწავლობდით, ულამაზესი ღიახევის ხეობის ლანდშაფტი და უნიკალური ელფერი ამშვენებდა, რაც მას სხვა ქალაქებისგან ამკარად გამოარჩევდა...

ცხინვალისათვის ბევრ გამოჩენილ მწერალსა და პოეტს შეუსხამს ხოტბა, საკადრისი სიტყვაც უთქვამს და ახალს ვერაფერს იტყვი კაცი, მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუარო იმ ჭეშმარიტად ადამიანურ ურთიერთობებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ამ ქალაქში მცხოვრებ ხალხთა შორის ყალიბდებოდა.

ქალაქის გულის სიამაყე, ვიზუალური და კულტურული ცენტრი იყო თეატრის წინამძებარე მოედანი, სადაც შემთხვევით გამვლელ და მოსეირნე მოქალაქეთა შორის თავისი ღირსებით გამორჩეული ქალაქის იმდროინდელი საზოგადოება იყრიდა თავს, რომელიც კულტურაზე პოლიტიკასა და სპორტზე, ქვეყნისა და საკუთარი ქალაქის საჭირობოლო საკითხებზე საუბრობდა. აი ისინიც: გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე, მოგვიანებით მისი მთავარი რედაქტორი ვასილ საბანაძე, სპორტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე უმანგი მარგიევი, ცხინვალის თეატრის ქართული დასის წამყვანი მსახიობი ზაურ გასიევი, სამხრეთ ოსეთში ალპინიზმის ფუძემდებელი ბატონი პავლე ღვევიძე და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწე.

საქართველოს ფეხბურთის პირველობაზე ხშირად ლიდერთა შორის იყო ცხინვალის ფეხბურთელთა გუნდი „სპარტაკი“. ამ გუნდის ფეხბურთელებთან ახლო ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებდა, რამაც ჩემს მესხიერებაში წარუშლელი კვალი და უზომო შთაბეჭდილება დატოვა. იმდროინდელი თაობის წარმომადგენლებს შევახსენებ ისეთ ბრწყინვალე პიროვნებებსა და შესანიშნავ ფეხბურთელებს, როგორც იყვნენ: აწ განსვენებული გოლკიპერი ფელიქს ქესანაშვილი, ცენტრალური მცველი ოთარ ჯაფარიძე, ნახევარმცველები: ოთარ მარგიევი და ლევ კოჩიევი, ცენტრ-თავდამსხმელი ვაჟა მებურნუთოვი, მარჯვენა და მარცხენა გარემარბები – ალო გოგინოვი და ალექსანდრე ბუზალაძე და სხვები, რომლებმაც საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. და შეიძლება ითქვას, ამ ფეხბურთელების უმრავლესობა იმდროინდელი უმაღლესი ლიგის ნებისმიერ გუნდებს დაამშვენებდა...

...პედაგოგიურ ინსტიტუტს გვერდს უმშვენებდა კეთილმოწყობილი ოთხსართულიანი შენობა, სადაც განთავსებული იყო პირველი საშუალო სკოლა, რომელიც არა მარტო ქალაქისა და ოლქის მასშტაბით, არამედ მთელ საქართველოში იყო ცნობილი. სკოლის ცნობადობის სახელს ათწლეულების მანძილზე მისი უცვლელი დირექტორი და სახელმძღვანელო პედაგოგი, აწ განსვენებული ბატონი ვახტანგ კასრაძე მუხლჩაუხრელად უმკვიდრებდა. საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს და სასკოლო საქმიანობის უბადლო ორგანიზატორს ღმერთმა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის ნიჭიც უბოძა და ამ სიყვარულში დამაშვრალი იგი დღენიდავ იფერფლებოდა. ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით. ამიტომ ამ სკოლას ვახტანგის სკოლას უწოდებდნენ.

სწორედ ამ სკოლამ ჩაუყარა საფუძველი ბატონ გერმონ წიწუაშვილის სწავლა-განათლებას და მის საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბებას.

სტუდენტობისას ხშირად მიხდებოდა პედაგოგიური პრაქტიკის გავლა ამ სკოლაში და ბატონ ვახტანგთან მოკრძალებული და მოწიწებული ურთიერთობა მაკავშირებდა. სკოლას მრავალ წარჩინებულ მოსწავლესთან ერთად მუდამ ჰყავდა წარმატებული სპორტსმენები და, როგორც წესი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც ადგილობრივ და საქართველოს სასკოლო ოლიმპიადებზე ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა. ცეკვას და სიმღერას უშუალოდ ბატონი ვახტანგი ასწავლიდა. მან შესანიშნავად იცოდა ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მადლი, როლებსაც ასევე თავად შესანიშნავად ასრულებდა და მომავალ თაობას ქართული ხელოვნების მშვენიერებას უშურველად გადასცემდა. სიმღერისა და ცეკვის გარდა დიდი პედაგოგი სკოლის სპორტსმენებსაც ქომაგობდა და ზემოხსენებული ფეხბურთელების უმრავლესობა სწორედ ვახტანგის სკოლის აღზრდილები იყვნენ.

როგორც ძველი ქალაქების უმრავლესობა, ასევე ცხინვალის ორად – ძველ და ახალ ნაწილად იყო გაყოფილი, მაგრამ არა ისე, როგორც მდინარე ღიახევი ბუნებრივად ქალაქს დიამეტრალურად – აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ჰყოფს, არამედ ქალაქის განაშენიანების მიხედვით – სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებად.

ღიახევის მარჯვენა ნაპირის სამხრეთისაკენ მიმავალი ტელმანის ქუჩისა და მის აღმოსავლეთით ისაკის ქუჩის გასწვრივ 26 საუკუნის წინათ დასახლებული ებრაელთა შთამომავალნი ცხოვრობდნენ, რომლებიც მაშინდელ ცხინვალს განსაკუთრებულ ხიბლსა და კოლორიტულ ელფერს აძლევდნენ. ამ ქუჩას და მის მიმდებარე ტერიტორიას ებრაელთა უბანსაც უწოდებდნენ. ტელმანის ქუჩაზე და მის პარალელურ ისაკის ქუჩაზე განლაგებული იყო ებრაელთა და სომეხთა სახელოსნო ჯიხურები. ტელმანის ქუჩის დასაწყისში

მდებარე ერთ-ერთ ჯიხურში, ჩემი მეგობარი, ეროვნებით ებრაელი შოთა მექუდედ მუშაობდა.

ერთხელ მასთან ყოფნისას ჯიხურში შემოვიდა ჩვენი თანატოლი, წარმოსადეგი ახალგაზრდა. შოთამ თავის ახლო მეგობრად გამაცნო. მან გამიღიმა და ხელი გამომიწოდა, არონი მქვიაო – წარმოთქვა. მეც შევაგებე ხელი, მაგრამ ჩემი სახელი ვუთხარი თუ არა, არ მახსოვს. რადგან მეხსიერებაში ამოტივტივებულმა წარსულის ეპიზოდებმა სრულიად სხვა სამყაროში გადამიყვანეს. ათი-თორმეტი წლის წინ მეხსიერებაში აღბეჭდილი კადრებიდან ერთ-ერთი შეჩერდა და ჩემი ახალგაზრდობილი ახალგაზრდის სახეზე აღიბეჭდა.

– მაგრამ სახელი? – ის ხომ ანზორი იყო? – ეს კი არონია, – ვფიქრობდი და კითხვა-პასუხების კორიანტელი მიტრიალებდა თავში, გამოსავალს ვერ ვპოულობდი. დაბნეული და ორჭოფული მდგომარეობიდან ისევ შოთამ გამომიყვანა და ადრე ჩემ მიერ მისთვის მონაყოლი ამბავი გამახსენა.

– არონს ჩვენ ანზორს ვეძახით. ეს მისი მეორე სახელია, და ეს სწორედ ის ანზორია, რომელთანაც შენ ბავშვობისას მეგობრობდიო. ჩემი და ანზორის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ერთმანეთს ვეხვეოდით და ერთდროულად ორივე კიდეც ვიცინოდით და კიდეც ვტიროდით. სიხარულის ცრემლებით ბავშვობის ეპიზოდებს ვიხსენებდით... ის დღე არასოდეს დამავიწყდება.

მეგობრები ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ხან შოთასთან, ხან კი ანზორთან. ანზორი, სახლში ფეხსაცმლის საპირის გამოძვრელად მუშაობდა და თავისი შრომით ჯერ კიდეც სკოლაში სწავლისას და შემდგომაც უმაჰოდ დარჩენილ ოჯახს არჩენდა...

შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. მე ჩემს მშობლიურ ახალგორში დავბრუნდი. მცირე ხნით პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი მთაში. შემდეგ ორი წლით პოლონეთში – სამხედრო სამსახურში ვიყავი. სამსახურის გავლისას „ოსვენციმის“ საკონცენტრაციო ბანაკში საკუთარი თვალთ ვიხილე, სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად მილიონამდე ებრაელის მოწამებრივი სიკვდილის დამადასტურებელი ფაქტები. ამან ჩემში საუკუნო სულისშემძვრელი შთაბეჭდილება დატოვა...

სამშობლოში დაბრუნებისას შევიტყვე, შოთა ავტოკატასტროფაში დაღუპულიყო, ხოლო არონი დედასთან ერთად ისრაელში აღთქმულ მიწაზე გამგზავრებულა.

P.S. ერთი წლის წინ, ჩემს მეგობარს, ცნობილ სპელეოლოგსა და ჟურნალისტს ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს ჩემი იქ ყოფნისას ისრაელიდან ტელეფონით ვილაც დაუკავშირდა. – გერმონ ბენორენიაო, მითხრა კარგა ხნის საუბრის შემდეგ ჯუმბერმა და კვლავ საუბარი განაგრძო. – წიწუაშვილი ხომ არა-მეთქი, ხმადაბლა შევეკითხე მეგობარს. – კიო, ასევე ხმადაბლა მიპასუხა მან. საუბრის დამთავრების შემდეგ ჯუმბერი გერმონს გამოეთხოვა და უთხრა: სიურპრიზი მაქვს შენთვის, მინდა წარსულში დავაბრუნო და სიჭაბუკე გაგახსენო და ყურმილი გადმოძვა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი აღფრთოვანებით და სულმოუთქმელი ლოდინით ისმენდა მისთვის უცნობი, მაგრამ ახლობელი ადამიანისაგან გასული საუკუნის 50 - 60-იანი წლების ცხინვალის მისთვის ცნობილ ამბებს. ცდილობდა მხოლოდ შორისდებულები ჩაერთო, რომ ჩემთვის ხელი არ შეეშალა, მონატრებული მშობლიური ქალაქის წარსული ცხოვრების ამსახველი ეპიზოდების განხილვისას და უკვირდა არაცხინვალელისაგან ძველი ქალაქის ისეთ ამბებს რომ ისმენდა, რომელთა შესახებ მას არც კი სმენოდა. და როცა თითქმის მისი ყველა თანაკურსელის და ცხინვალის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გვარ-სახელები ჩამოვუთვალე, და ბოლოს, ებრაელთა უბნის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები დაწვრილებით და ზუსტად დავეხატე, რამდენადმე დიდი პაუზა გამოუვიდა ბატონ გერმონს. ეჭვი შემეპარა და შევახსენე, მისმენდა თუ არა. მან სულის მოთქმის შემდეგ ყელიდან აცანცახებული ბგერებით მიპასუხა, – გისმენო. აშკარად ვიგრძენი იგი ტიროდა.

* * *

21 ოქტომბერს, თბილისში დავით ბაახოვის სახელობის მუზეუმში დიდი ზეიმი გაიმართა. საპატიო სტუმრები ჩამოვიდნენ ისრაელიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან...

კონფერენციაზე ჩამობრძანდა ფილოსოფიის დოქტორი ბატონი გერმონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი). მან კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენება წაიკითხა, რომელიც ქართულ-ებრაულ ოცდაექვსსაუკუნოვან მეგობრობას ეძღვნებოდა.

კონფერენციაზე საშუალება მქონდა, გულში ჩამეკრა ადამიანი, რომელსაც ორმოცდათორმეტი წლის წინ დავცილდი.

გარდაიცვალა იოლანდა მარშევი



2015 წლის 3 მაისს, აშშ-ში, მასაჩუსეტის შტატში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი შვეიცარიელი ქართველოლოგი, ბატონი კიტა ჩხენკელის მოსწავლე და კოლეგა, ქალბატონი იოლანდა მარშევი. ამა წლის 11 მაისს მას დაბადებიდან 95 წელი უნდა შესრულებოდა. მეტად სამწუხაროა, რომ საქართველოს ერთგულ მეგობართა არცთუ მრავალრიცხოვან არმიას ასეთი ღვაწლმოსილი და ერთგული ადამიანი გამოაკლდა. უსაზღვროა მისი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება და ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს.

თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი, რომ მასთან სატელეფონო საუბრების საშუალება მქონდა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა სასიამოვნო იყო მისი თბილი და დახვეწილი ქართულის მოსმენა. რთულია, სიტყვით გამოვხატო მისადმი უსაზღვრო მადლიერება, სიყვარული,

აღფრთოვანება იმ დიდი და დიდებული საქმისათვის, რასაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში უდიდესი სიყვარულით საქართველოსთვის აკეთებდა. კარგი იქნებოდა, ჩვენს ქვეყანას მისნაირი გულშემატკივარი ბევრი ჰყოლოდა.

ქალბატონმა იოლანდამ ერთ-ერთი საუბრის დროს მითხრა: წინა ცხოვრებაში ალბათ ქართველი ვიყავი, ეს მაშინ გავაცნობიერე, როდესაც ბატონ კიტა ჩხენკელს შევხვდი, რის შემდეგაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ საქმეს სამუდამოდ დაუკავშირდა. თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ ჩემი ნათლულის, თენგიზ ტყეპუჩავას ოჯახში, ქართულ გარემოში ვცხოვრობ და ყოველდღე ქართულად ვსაუბრობთო.

P.S. ქალბატონი იოლანდა მარშევის უკანასკნელი სურვილი იყო, მისი ფერფლი საქართველოს მიწას მიმოაბნინონ და ამდაგვარად სამუდამოდ დააბრუნონ საქართველოში.

იოლანდა მარშევის მოკლე ბიოგრაფია

იოლანდა მარშევი (Iolanda Marchev), ცნობილი შვეიცარიელი ქართველოლოგი დაიბადა 1920 წლის 11 მაისს ციურიხში. 1939 წელს დაამთავრა გიმნაზია. სწავლობდა რომანულ და კლასიკურ ენებს. ციურიხის უნივერსიტეტში პროფ. კიტა ჩხენკელის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. თანამშრომლობდა კ. ჩხენკელის მიერ გერმანულ ენაზე გამოცემული „ქართული ენის შესავლის“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაში. კ. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ მარშევს მიენდო ამ ლექსიკონის დამთავრება. ლეა ფლურისთან და რუთ ნოიკომთან ერთად, მან ლექსიკონის გამოცემა დაამთავრა 1974 წელს (გამოცა 3 ტომად). 1964 წლიდან განაგებდა ქართული ენის კათედრას ციურიხის უნივერსიტეტში.

იოლანდა მარშევი ქართული კულტურის ამაგდარია, რომელმაც მთელი ცხოვრება შესწირა ქართულ საქმეს. იგი შვეიცარიაში „საქართველოს მეგობართა ასოციაციის“ ერთ-ერთი დამაარსებელია.

მისი სახლი ციურიხში წარმოადგენდა ქართული კულტურის კერას ევროპაში, სადაც უმდიდრესი ქართული ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. აქვე ინახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და დავით კაკაბაძის ტილო სერიიდან „იმერეთის პეიზაჟები“ (საფრანგეთში გადასახლებაში მყოფი საქართველოს მთავრობის მიერ გადაცემული), უძველესი მონოგრაფიები ვატიკანის ბიბლიოთეკიდან და სხვა, საქართველოსთან დაკავშირებული უნიკალური შრომები. მარშევის სახლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა 1982 წელს.

მარშევი შეყვანილია ქართულ და შვეიცარიულ ენციკლოპედიებში, მასზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კი ქართული კულტურის წინაშე გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის 2008 წელს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

1998 წლიდან იოლანდა ცხოვრობს აშშ-ში, მასაჩუსეტის შტატში, ნათლულის, ბატონ თენგიზ ტყეპუჩავას ოჯახში. ამჟამად გამოსაცემად გამოზადებული აქვს ვრცელი თანამედროვე ქართულ-გერმანული ლექსიკონი მოკლე ქართული გრამატიკის თანხლებით, გერმანულად, საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა, ლათინური სახელმძღვანელო, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვანთათვის

და ვრცელი ლათინურ-ქართული ლექსიკონი (დოქტორ თენგიზ და იო-ელენე ტყეშუჩავასთან ერთად). იოლანდა მარშევის თანადგომით შეიქმნა თენგიზ ტყეშუჩავას ვრცელი ინგლისურ-ლათინურ-ქართული და გერმანულ-ლათინურ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონები. ამჟამად მზადდება ამ სამედიცინო ლექსიკონების უკუვარიანტები, ქართულ-ლათინურ-ინგლისური და ქართულ-ლათინურ-გერმანული. ასევე, დასრულებული აქვს ქართველ კლასიკოსთა თარგმნა გერმანულად და ინგლისურად (უკანასკნელი, იო-ელენე ტყეშუჩავას ასისტენტობით).

2013 წელს, იოლანდა მარშევა, მასწავლებლისა და კოლეგის, ბატონ კიტა ჩხენკელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო მოგონება გამოაქვეყნა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (26 (208), 27 დეკემბერი, 2013).

გარდაცვალებამდე, იოლანდა მარშევი წერდა მემუარებს ქართულ და გერმანულ ენებზე, აქტიურად თარგმნიდა ქართულ ლიტერატურას.

ციცინო ჯერგალიძე

პოეზია

თამაჩ შაიშაძეაშვილი



თოვლი

ირმა ცუკილაშვილს – ამერიკაში!

ქართული თოვლი თვალებით დამაქვს,
თოვლი, რომელიც ლაჟვარდებშია...
ეს მონატრებაც გულივით აქ მაქვს –
სად წეროები სივრცეს ვედრიან...
სად სევდას ვაზის ცრემლად უვლია
და მზის ამბორი უყვართ ახლებს...
თოვლი სისხლი და სიყვარულია,
სამშობლოს ნაპირს რომ მიახლოვებს...

კოჯრის დამცველთა სიმღერა...

ქარებს ცრემლებით ვლუბავდით
და ენდროსფერში ვრთავდით...
საიდან ჩუქურთმის მჭრელამდი
ტკივილს ირგებდა ქართლი...
მზე მდინარეში წვებოდა,
სისხლის წვიმებით წრომთან...
მწკრივს მივყვებოდით წეროთა
შლილანგელოზებს თოვლთა...

რადგან სიცოცხლე...

შემომიფრინდა ჩემს სარკმელში
დილა ხშიადი
და უკურნებელ სევდასავით
ამიხშიანდი...
მოგისვირინგებს სურვილებად
სული სოსანი,
შენს თბილ კაეშანს მონატრებით
შეგიმოსავდი...
შენს მწველ იარებს გავუშლიდი
ცრემლის სალბუნებს,
რადგან სიცოცხლე მზის ბაღიდან
ერთხელ მარგუნეს...
ერთხელ გიწამე, ერთხელ გვედრე
და შემოგბედე,
რომ მათრობელა სიყვარულის
სივრცით შენ გენდე...
რომ მაშრიყიდან მალრიბამდე
კვრიფე იები –
სიზმრით ნატიფი სიმარტოვის
ნოსტალგიები...
მანც შენთან ვარ, გაზაფხულის
თეთრი მტევნებით
გადავიწყების ღამეებსაც
მოგიტეგებდი...
გაფრენილია ცხრა მთას იქით
შავი მიმინო –
უსასოობის ქარიშხლებში
წუხელ ვინ ივნო?
გაპოვინებდი უკვდავების
წყაროს, ნეტარო,
რომ მთვარიანში შროშანივით
მოგინეტარო...



ნუგზარ ძამუკაშვილი, რამაზ პატარიძე,
ელენე გამგონიძე, ნათელა პაპუნაშვილი



„კვართის საიდუმლო“



„ხატის შექმნა“

ელენე გამგონიძის ნამუშევრები

ჟურნალ „ანულის“ შემომწირველი: ირმა ცუკილაშვილი
კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

კვანჭ იწანიშვილის სახელობის
„ერთი მოთხრობის“ კონკურსში
გამარჯვებული მოთხრობები

პონა საკანაძის ღვაწლად

თამარ შიქაძე –

მოგონებები: ირაკლი შარაშიანი,
კაპანჯიანი, თამარ ჩხეიძე

ლალი გულიანაშვილის პოეზია

ინტერვიუ ნინო ჯუთათაძესთან

უგურობა – ნაკრები პიუბლიცისტიკა
(თარგმანი ლალი ჯუთათაძისა)

იოლანდა პარპაძის ანთაკაძი



ანგელოზი — გაბაყიულის სხული